

ქვიშის წიგნი

...thy rope of sands... George Herbert

...შენი ქვიშიანი ბაგირი... – ჯორჯ ჰერბერტი

ხაზი უამრავი წერტილისგან შედგება, სიბრტყე – უსასრულო რაოდენობის ხაზებისგან; წიგნი – უსასრულო ოდენობის სიბრტყეებისგან; ზეწიგნი – უსასრულო რაოდენობის წიგნებისგან. არა, გადაჭრით არ არის ასე. ასეთი მორე გეომეტრიცო-თი არ უნდა იწყებოდეს მოთხრობა. ახლა ნებისმიერ გამონაგონს უცილობლად თან ახლავს რწმუნება მის ჭეშმარიტებაში, თუმცა ჩემი ნაამბობი მართლაც წმინდა წყლის სიმართლეა.

მარტო ვცხოვრობ ბელგრანოს ქუჩაზე, მეოთხე სართულზე. რამდენიმე თვის წინ, შებინდებისას, კარზე დააკაკუნეს. გავაღე და უცნობი შემოვიდა. მაღალი კაცი იყო უფერული ნაკვთებით, რაც, შესაძლოა, ჩემი ახლომხედველობითაც აიხსნებოდეს. ერთი შეხედვით წესიერ ღარიბ კაცს ჰგავდა.

თვითონაც ნაცრისფერი იყო და მის ხელში საკვოიაჟსაც ნაცრისფერი ედო. უცხოელი იგრძნობოდა მასში. თავდაპირველად მოხუცი მომეჩვენა, მერე კი მივხვდი, რომ მისმა ღია ფერის, თითქმის თეთრმა – როგორც ჩრდილოელებს ახასიათებთ – თმამ ამირია თავგზა. ჩვენი საუბრის განმავლობაში, რომელმაც თითქმის ერთ საათს გასტანა, შევიტყვე, რომ ორკნეის კუნძულებიდან იყო.

სკამისკენ მივუთითე. უცნობი არ ჩქარობდა საუბრის დაწყებას. მოღუშული იყო, როგორც ახლა მე.

– ბიბლიებს ვყიდი, – მითხრა ბოლოს.

ერთგვარი თვითკმაყოფილებით ვუპასუხე:

– ამ სახლში რამდენიმე ინგლისური ბიბლიაა, მათ შორის პირველი – ჯონ უიკლიფის. ასევე მომეპოვება სიპრიანო დე ვალერასა და ლიუტეროვის ბიბლია, ლიტერატურული თვალსაზრისით ის სხვებზე უარესია, და ვულგატის ეგზემპლარი... როგორც ხედავთ, ბიბლიები არ მიკვირს.

მცირე ხანს გაჩუმდა და მიპასუხა:

– მე არა მხოლოდ ბიბლიები მაქვს. ერთ წმინდა წიგნს გაჩვენებთ, რომელმაც შეიძლება დაგაინტერესოთ. ბიკანერში შევიძინე.

საკვოიაჟი გახსნა და წიგნი მაგიდაზე დადო. არც ისე სქელი ტომი იყო, ტილოს გარეკანით. ჩანდა, რომ ბევრის ხელში გამოეცლო. წიგნი ხელში ავიღე. მისმა სიმძიმემ გამაოცა. ყუაზე ეწერა: Holy Writ და ქვემოთ: Bombay.

– ალბათ მეცხრამეტე საუკუნისაა, – შევნიშნე მე.

– არ ვიცი. ეს ძნელი სათქმელია, – იყო პასუხი.

ალალბედზე გავხსენი წიგნი. ასოების მოხაზულობა არ მეცნო. ფურცლები გაცვეთილი მეჩვენა, ფერმკრთალი ნაბეჭდი იყო, ტექსტი ორ სვეტად მიდიოდა, როგორც ბიბლიაში, წვრილი შრიფტით, აბზაცებად დაყოფილი. ზედა კუთხეში – არაბული ციფრები. ყურადღება მივაქციე, რომ ლუწ ფურცელზე ეწერა ციფრი, დავუშვათ, 40 514, მომდევნოზე, კენტზე კი – 999. წიგნი გადმოვაბრუნე – რიცხვი რვანიშნა იყო. ამ გვერდზე პატარა, როგორც ლექსიკონებში, სურათი ეხატა: კალმით, თითქოსდა გამოუცდელი ბავშვური ხელით დახატული ღუზა.

უცნობმა თქვა:

– კარგად დაათვალიერეთ, მეტად ვედარასოდეს ნახავთ.

მის სიტყვებში და არა ტონში, სიფრთხილე ჟღერდა.

გვერდი ჩავინიშნე და წიგნი დავხურე. მაშინვე გავხსენი. ამაოდ ვეძებდი ღუზის გამოსახულებას, ფურცელ-ფურცელ. დაბნეულობის დაფარვით ვკითხე:

– ეს სასულიერო ტექსტებია ინდოსტანის რომელიღაც ენაზე, არა?

– დიახ, – მიპასუხა. მერე ხმას დაუწია, თითქოს საიდუმლოს მიმხელდა, – ერთ-ერთ პატარა დასახლებაში მხვდა წილად, რამდენიმე რუპიისა და ბიბლიის სანაცვლოდ. მისმა მფლობელმა კითხვა არ იცოდა და ვფიქრობ, რომ ეს წიგნთა წიგნი თილისმად მიაჩნდა. უმდაბლეს კასტას მიეკუთვნებოდა, იმათგანი გახლდათ, საკუთარ ჩრდილზე დაბიჯების უფლება რომ არ აქვთ, რათა ის არ შეურაცხყონ. ამიხსნა, რომ მის წიგნს ქვიშის წიგნი ეწოდებოდა, რადგან ის ქვიშასავით არის, დასაწყისისა და დასასრულის გარეშე.

მთხოვა პირველი გვერდი მეპოვა. სატიტულე ფურცელზე დავდე მარცხენა ხელი და მჭიდროდ მოკუმული თითებით ვცადე წიგნის გახსნა. არაფერი გამომივიდა, ხელსა და სატიტულე ფურცელს შორის ყოველ ჯერზე აღმოჩნდებოდა რამდენიმე ფურცელი. თითქოსდა ისინი წიგნიდან იზრდებოდნენ.

– ახლა ბოლო იპოვეთ.

ისევ წარუმატებლობა. ძლივს გასაგონად ჩავიბუტბუტე:

– ეს შეუძლებელია.

ჩვეულებრივი, წყნარი ხმით თქვა ბიბლიით მოვაჭრემ:

– წმინდა წერილი... შეუძლებელია, მაგრამ ასეა. გვერდების რაოდენობა ამ წიგნში უსასრულოა. პირველი გვერდი არ აქვს, არც უკანასკნელი. არ ვიცი, რატომ არის გვერდები ასე არათანმიმდევრულად დანომრილი. ალბათ წარმოდგენა რომ შეგვიქმნას იმაზე, რომ უსასრულო მწკრივის წევრებს შეიძლება ნებისმიერი ნომერი

ჰქონდეთ, – მერე მეოცნებე, მჟღერი ხმით დასძინა, – თუ სივრცე უსასრულოა, სივრცის რაღაც წერტილში ვიმყოფებით. თუ დრო უსასრულოა, დროის რომელიღაც წერტილში ვართ.

მისი ფილოსოფიური მცდელობები მაღიზიანებდა. ვკითხე:

– მორწმუნე ხართ?

– დიახ, პრესვიტერელი ვარ. ჩემი სინდისი სუფთაა. მჯერა, რომ არ მომიტყუებია ის უცნობი, როცა ღვთის სიტყვა მივეცი ამ ეშმაკეული წიგნის სანაცვლოდ.

დავარწმუნე, რომ მოსანანიებელი არაფერი ჰქონდა და ვკითხე, რამდენი ხანია ჩვენს არემარეში მოგზაურობდა. მიპასუხა, რომ რამდენიმე დღის შემდეგ აპირებდა სამშობლოში დაბრუნებას. სწორედ მაშინ გავიგე, რომ შოტლანდიელი იყო, ორკნის კუნძულებიდან. შოტლანდიისადმი ჩემს სიყვარულში გამოვუტყდი – სტივენსონისა და იუმას გამო.

– და რობ ბერნსის, – დასძინა მან.

სანამ ვლაპარაკობდით, უსასრულო წიგნს ვათვალიერებდი. განგებ გულგრილად ვკითხე:

– ბრიტანეთის მუზეუმს უნდა შესთავაზოთ ეს უცხო რამ?

– არა, თქვენ გთავაზობთ, – მიპასუხა და საკმაოდ მაღალი ფასიც დაასახელა.

ჭეშმარიტების შესაბამისად ვუპასუხე, რომ ეს ფასი ჩემთვის მიუღებელი იყო და ჩავფიქრდი. რამდენიმე წამში გეგმა დავსახე.

– გაცვლას გთავაზობთ, – ვუთხარი სტუმარს, – თქვენ ეს ტომი რამდენიმე რუპიად და წმინდა წერილის ფასად მიიღეთ; გთავაზობთ პენსიას, რომელიც ეს-ესაა მივიღე და უიკლიფის ბიბლიას, გოთური შრიფტით. ის მშობლებისგან მერგო.

– გოთურ უიკლიფს! – ჩაიჩურჩულა.

საძინებლიდან ფული და წიგნი გამოვიტანე და მივეცი. ფურცვლას შეუდგა, ბიბლიოფილის ვნებით სინჯავდა გარეკანს.

– ხელი ჩამომართვით.

უცნაური იყო, რომ არ ვაჭრობდა. მერეღა მივხვდი, რომ განგებ გამოჩნდა ჩემთან, წიგნის თავიდან მოცილების მიზნით. ფული დაუთვლელად შეინახა.

ვილაპარაკეთ ინდოეთზე, ორკნის კუნძულებზე და ნორვეგიელ გრაფებზე, ერთ დროს რომ მართავდნენ მათ. როცა წავიდა, უკვე საღამო იყო. იმ კაცის არც სახელი შემიტყვია და მეტად აღარც მინახავს.

ვაპირებდი, ქვიშის წიგნი უიკლიფის ბიბლიის ადგილას დამედო, მაგრამ მერე გადავიფიქრე და „ათას ერთი ღამის“ გაცვეთილი ტომების უკან დავმალე.

დავწევი, მაგრამ ვერაფრით ვერ დავიძინე. ოთხი საათისთვის გათენდა. ჩემი უჩვეულო წიგნი ავიღე და ფურცვლას შევუდექი. ერთ-ერთ მათგანზე ნილაბი იყო ამოტვიფრული. ზედა კუთხეში ციფრი იყო დასმული, არ მახსოვს რომელი, მეცხრე ხარისხში.

არავის ვუჩვენებდი ჩემს საუნჯეს. წიგნის ფლობის სიხარულს ემატებოდა შიში, რომ მას მოიპარავდნენ და საფრთხე, რომ ის მაინც არ იყო უსასრულო. ამ მღელვარებამ გააძლიერა ჩემი მუდმივი მიზანტროპია. კიდევ შემომრჩენოდა მეგობრები – თუმცა მათთან აღარ ვურთიერთობდი. წიგნის ტყვედ ქცეული თითქმის ქუჩაშიც არ გავდიოდი. ლუპობით ვათვალისწინებდი გაცრეცილ ყდას და ყუას და შესაძლო მისტიფიკაციის შესახებ ფიქრებს თავიდან ვიგდებდი. შევნიშნე, რომ პატარა ნახატები ყოველი ორასი გვერდის შემდეგ მხვდებოდა. ისინი არასდროს მეორდებოდნენ. უბის წიგნაკში დავიწყე მათი ჩაწერა და ის მაშინვე შეივსო. ღამით, იშვიათ საათებში, როცა უძილობა არ მტანჯავდა, წიგნთან ერთად ვიძინებდი.

ზაფხული დასასრულს უახლოვდებოდა და მივხვდი, რომ ეს ამაზრზენი წიგნი იყო. და ის ფაქტიც, რომ მე, რომელიც მას თვალს არ ვაცილებდი და ხელიდან არ ვუშვებდი, არანაკლებ ამაზრზენი ვიყავი, არაფერს ცვლიდა. ვგრძნობდი, რომ ეს წიგნი კოშმარის აღმოცენება გახლდათ, აუტანელი ნივთი, რომელიც სინამდვილეს უარყოფს და შეურაცხყოფს.

კოცონის შესახებაც გამიჩნდა ფიქრი, მაგრამ შიშიც მოჰყვა მას, რომ უსასრულო წიგნის წვა შეიძლება უსასრულოდ გაგრძელდეს და კვამლით გაავსოს მთელი პლანეტა.

სადღაც ამოკითხული გამახსენდა: ფოთლის დამალვა უმჯობესი ტყეშია. პენსიაში გასვლამდე ეროვნულ ბიბლიოთეკაში ვმუშაობდი, რომელშიც ცხრაასი ათასი წიგნი ინახებოდა. მახსოვდა, ვესტიბიულიდან მარჯვნივ დამრეცი კიბე მიემართებოდა სარდაფში, სადაც გაზეთები და რუკები ელაგა; ვისარგებლე თანამშრომლების უყურადღებობით და ქვიშის წიგნი იქ დავტოვე, ერთ-ერთ ნესტიან თაროზე, ვეცადე არ დამემახსოვრებინა, რამდენად შორს იყო კარიდან და რა სიმაღლეზე.

ოდნავ მომეშვა გულზე, მაგრამ მას მერე მეხიკოში ბიბლიოთეკის სიახლოვეს გავლაზე ფიქრიც კი არ მინდა.

მედალი

მე ტყის მჭრელი ვარ. ჩემი სახელი არაფრის მთქმელია. ქობმახი, სადაც დავიბადე და სადაც მალე აღვესრულე, ტყის პირას დგას. ამბობენ, ტყე ზღვამდია გადაჭიმული, რომელიც მთელ ხმელეთს ევლება გარს და რომელზეც ჩემი ქობის მსგავსი ხის სახლები ლივლივებენ. თუმცა დაანამდვილებით არ ვიცი, თვითონ მისი ნახვის შესაძლებლობა არ მომცემია. არც ტყე მინახავს მეორე მხრიდან. ჩემმა უფროსმა ძმამ დამაფიცა, ჯერ კიდევ ჩვენს ბავშვობაში, რომ ჩვენ ორნი უკანასკნელ ხემდე გავჩეხავდით ამ ტყეს. ძმა უკვე მოკვდა, მე კი ახლა სხვა რამ მაფიქრებს: ერთ ნივთს ვეძებ და მის ძებნაში არ დავიღლები.

იმ მხარეს, საითაც მზე ჩადის, პატარა მდინარე ჩამოედინება; ხელით ვახერხებ თევზის დაჭერას. ტყეში მგლები დამრწიან. თუმცა მგლები არ მაშინებენ: ჩემს ცულს არც ერთხელ არ გაუცრუებია ჩემთვის იმედი. ჩემს წლებს არ ვითვლი. მხოლოდ ის ვიცი, რომ ცოტა არ დაგროვილა. ჩემი თვალები ძლივსლა ხედავენ რამეს. სოფელში, სადაც აღარ დავდივარ, იმიტომ, რომ დაკარგვის მეშინია, წუწურაქს მეძახიან, მაგრამ ტყის მჭრელი აბა დააგროვებს ბევრს?

ჩემი ქობის კარს ქვებით ვქოლავ, რომ თოვლის ნამქერი არ შემოვარდეს. ერთ საღამოს მძიმე ნაბიჯების ხმა შემომესმა, მას კარზე კაკუნიც მოჰყვა. გავაღე, ჩემთვის უცნობი მწირი, მოხუცი კაცი იყო, მაღალი, უჯრედებიან ლაბადაში გახვეული. სახე იარებით ჰქონდა დასერილი. ჩანდა, წლებს ვერ მოეტეხა, მხოლოდ ძალა შეემატებინა, თუმცაღა შევნიშნე, რომ ჯობის გარეშე ძნელად დადიოდა. რამდენიმე სიტყვა გავცვალეთ, რაზე – აღარ მახსოვს. მერე მან თქვა:

– მშობლიური სახლი არ მაქვს, სადაც მიღამდება, იქ მითენდება. მთელი საქსონია მოვიარე.

ამ სახელწოდებით მოხსენიება მისი ასაკის შესაფერისი იყო. მამაჩემი ყოველთვის ლაპარაკობდა საქსონიაზე, რომელსაც ახლა ინგლისს უწოდებენ.

თევზი და პური მქონდა. სუფრასთან ვდუმდით. წამოწვიმა. ტყავებისგან სახელდახელოდ ლოგინი გავუშალე შიშველ მიწაზე, სწორედ იმ ადგილას, სადაც ჩემი ძმა მოკვდა. ღამის დადგომისთანავე ძილს მივეცი თავები.

კარგად გათენებულიყო, შინიდან რომ გამოვედით. წვიმას გადაელო და მიწა თრთვილს დაეფარა. კაცს ჯობი გაუვარდა ხელიდან, მიბრძანა მიმეწოდებინა.

– რატომ მიბრძანებ? – ვკითხე უცებ.

– იმიტომ, – მიპასუხა, – რომ მე ჯერ კიდევ მეფე ვარ.

გიჟად ჩავთვალე. ჯობი ავიღე და მივაწოდე.

შეცვლილი ხმით ალაპარაკდა.

– ჰო, მე სექცენების მეფე ვარ. ათასჯერ მაინც მომიტანია მათთვის გამარჯვება მძიმე ბრძოლებში, მაგრამ ჩემი ჟამიც დადგა და სამეფო დავკარგე. ჩემი სახელი იზერნია, ოდინების გვარიდან ვარ.

– მე არ ვიცი ოდინი, – ვუპასუხე მშვიდად, – მე ქრისტეს ვეთაყვანები.

თითქოს არ გაუგონიაო, თხრობა განაგრძო:

– დევნილი დავებეტები, მაგრამ ჯერ კიდევ მეფე ვარ, რადგან მედალი თან მაქვს. გინდა გაჩვენო?

ჩამომხმარი ხელისგული გახსნა, თუმცა იქ არაფერი ჰქონდა. ხელისგული ცარიელი იყო. მაშინდა გამახსენდა, რომ მარცხენა მუშტი დღედაღამ მოკუმული ჰქონდა.

გამჭოლად შემხედა და მითხრა:

– შეგიძლია ხელით შეეხო.

ფრთხილად შევახე თითი მის ხელისგულს. რაღაც ცივი ვიგრძენი, ელვარებამაც მომჭრა თვალი. ხელი სწრაფად მომეშტა. ვდუმდი. მაშინ წყნარად დაიწყო თხრობა, თითქოს ბავშვს უამბობდა ძილისპირულს:

– ეს ოდინის მედალია. მას მხოლოდ ერთი მხარე აქვს. მაგრამ მის გარდა ამქვეყნად არაფერია საპირისპირო მხარის გარეშე. სანამ ეს მედალი ხელში მაქვს, მეფედ ვრჩები.

– ოქროსია? – ჩავეკითხე.

– არ ვიცი. ეს ოდინის მედალია. ცალი მხარით.

უცებ მედლის დაუფლების დაუოკებელმა სურვილმა შემიპყრო. ის რომ ჩემი გამხდარიყო, უამრავ ოქროს მივიღებდი მასში და მეფე გავხდებოდი.

მაწანწალას, რომელიც დღემდე მძულს, შევთავაზე:

– ეხოში მონეტებით სავსე სკივრი მაქვს დამალული. ოქროს მონეტებია, ნაჯახის პირივით ბრჭყვიალებენ. თუ ოდინის მედალს მომცემ, მე სკივრს დაგიტომობ.

მტკიცედ თქვა:

– არ მსურს.

– მაშინ, შენი გზით წადი.

ზურგი შემაქცია... ზურგში ნაჯახის ჩაცემა საკმარისი აღმოჩნდა, მეტისმეტადაც კი, რომ შეტორტმანებულიყო და ძირს უსულოდ დაცემულიყო, თუმცა ამ დროს მუშტი გაეხსნა და ჰაერში მანათობელი ნაპერწკალი დავინახე. ცული მორში ჩავასე და გვამი მდინარისკენ წავიღე, რომელიც ადრე უფრო ღრმა იყო. იქვე ჩავაგდე.

სახლის სიახლოვეს მედლის ძებნას შევუდექი. მაგრამ ვერ ვიპოვე. მთელი ეს წლებია ვეძებ და ვეძებ...

ეთნოგრაფი

ამის შესახებ ტეხასში მიაშხეს, თუმცა ეს ამბავი რომელიღაც სხვა შტატში მოხდა. მთავარ გმირს, ახმახს, ყველა ამერიკელივით, თმის გაურკვეველი ფერით, მგონი ფრედი ერქვა. ფრედ მურდოკი. მას არაფერი ჰქონია ორიგინალური, სწორედ ამით გამოირჩეოდა აცვენილი ახალგაზრდობისგან. წიგნებს სცემდა პატივს და მათი სჯეროდა, ვინც ამ წიგნებს წერდა. მის ასაკში ცოტამ თუ იცის, რას მიუძღვნას თავი, ფრედიც ბედის ნებას მიწოდებდა და მზად იყო სპარსული მისტიკისთვის დაეთმო ღრო, უნგრული დაილექტისთვის, ომის გზას გასდგომოდა ან სულაც მათემატიკოსი გამხდარიყო. უნივერსიტეტში უკარნახეს, ინდიელების წეს-ჩვეულებების შესწავლას შესდგომოდა, ხანდაზმულმა პროფესორმა კი ფრედს შესთავაზა, პრერიაში წადი და იქ შეისწავლე იშვიათი, ჯერ კიდევ შემორჩენილი ტომებიო. ფარდულში უნდა ეცხოვრა და სხვათა ჩვეულებებს დაჰკვირვებოდა, მათი ღრმა აზრები ამოეცნო, ინდიელ მაგთა საიდუმლოებებს ჩასწვდომოდა. უკან დაბრუნებული ამის შესახებ ნაშრომს დაწერდა. თუმცაღა მურდოკი არ იყო დიდად გახარებული. მისი ერთ-ერთი წინაპარი საზღვარზე დაიღუპა და ეს ძველი ოჯახური ტკივილი რატომღაც ღრღნიდა. რომ აღარაფერი ვთქვათ იმ სირთულეებზე, რაც გზაში ელოდა, ამ ველურ წითელკანიან ადამიანებს ხომ თავიანთ კლანში უნდა მიეღოთ, თავისიანად ეცნოთ. თუმცა მურდოკი მაინც წავიდა.

ორ წელზე მეტი იცხოვრა უდაბნოში, ხან ტყავს აფარებდა თავს და ხან ცას. მზეს ასწრებდა ადგომას და შუალამისას წვებოდა. ისეთ დიალექტზე ხედავდა სიზმრებს, რომელიც არ შეიძლებოდა სცოდნოდათ მის დედასა და მამას.

უხეშ საკვებს და უცნაურ სამოსს მიეჩვია, დაავიწყდა მეგობრებიც, ქალაქიც, რომელშიც თითოეულ ქვას იცნობდა.

რადაც ვადის ამოწურვის შემდეგ ტომის ქურუმმა ფრედს დავალებები მისცა, სავარჯიშოები სხეულისა და სულისთვის. ქურუმმა ურჩია რომელიმე უცნაური სიზმარი გაეხსენებინა. დრო გავიდა და ერთ მთვარიან ღამეს მოწაფეს ბიზონები ესიზმრა.

გამთენიისას მოძღვარს უამბო ნანახის შესახებ. მას მერე მაგი საიდუმლოს განდობას შეუდგა.

ორი წლის შემდეგ, ადრიან დილით, ფრედმა ინდიელები დატოვა.

ქალაქში დაბრუნებულს უცებ ნოსტალგია მოაწვა, პრერია მოენატრა, სწორედ ის ველები, სადაც ოდესღაც ქალაქზე დარდობდა. პროფესორს უთხრა, რომ გადაწყვიტა არ გამოექვეყნებინა მის მიერ მოპოვებული ინფორმაცია.

– ფიცი დადე?

– არა, უბრალოდ არ შემიძლია გიამბოთ, რაც ახლა ვიცი.

– ინგლისური ენა არ კმარა ამისთვის? – გაეღიმა პროფესორს,

– ეგ არაფერ შუაშია, სერ. ახლა, მას მერე, რაც საიდუმლოს დავეუფლე, შემეძლო ის ათასი სხვადასხვა საშუალებით გადმომეცა. საქმე ის არის, რომ ჩვენი მეცნიერება, რომელსაც უნდა ვაჩუქო ეს ცოდნა, ახლა სრულ უაზრობად მეჩვენება.

და პაუზის შემდეგ:

– გარდა ამისა, საიდუმლო არაფერია იმ გზასთან შედარებით, რომელიც მე განვვლე.

პროფესორი გამოემშვიდობა:

– ამის შესახებ საბჭოს ვამცნობ. თქვენ მათთან დაბრუნება გსურთ?

– არა. ეს არ არის საჭირო. ის, რაც მასწავლეს, ყველგან გამომადგება.

ფრედი დაქორწინდა, მერე განქორწინდა და ახლა იელში ბიბლიოთეკარად მუშაობს.

უხუცესი სენიორა

1941 წლის 14 იანვარს მარია ხუსტინე რუბიო დე ხაურეგის ასი წელი შეუსრულდა. ის დამოუკიდებლობისთვის მეგრძოლთა თაობის ერთადერთი ჯერ კიდევ ცოცხლად დარჩენილი ქალიშვილი იყო.

მამამისი, პოლკოვნიკი მარიანო რუბიო, გადაჭარბების გარეშე ჭეშმარიტი განმათავისუფლებელი გახლდათ. მერსედის მხარეში დაიბადა, ბუენოს-აირესის პროვინციაში, მესაქონლეთა ოჯახში. ანდურ არმიაში ალფერესის ჩინამდე იმსახურა, ჩაკაბუკოსთვის იბრძოდა, კანჩა-რაიადასთან ტრაგიკულ ბრძოლაში მონაწილეობდა, მაიპუსთან შეტაკებაშიც და ორი წლის შემდეგ არეკიპოსთანაც. ამბობენ, რომ ამ ბრძოლის წინ მან და ხოსე დე ოლაგარიამ მახვილები გაცვალეს. 1823 წლის აპრილში სერო-ალტოს ცნობილი ორთაბრძოლა მოხდა, მაგრამ რაკი ის ველზე მიმდინარეობდა, სერო-ბერმეხოს ბრძოლასაც უწოდებენ. ვენესუელელები, რომლებსაც მარადიული შური აქვთ ჩვენი საარაკო გმირობებისა, ამ გამარჯვებას გენერალ სიმონ ბოლივარს მიაწერენ, მაგრამ მიუკერძოებელი მემატთანე არგენტინელ ისტორიკოსებს შორის თავს არ ისულელებს და შესანიშნავად იცის, რომ დაფნის

გვირგვინი სამართლიანად ეკუთვნის პოლკოვნიკ მაკანო რუბიოს. სწორედ მან, კოლუმბიის ჰუსართა პოლკის სათავეში მყოფმა, გადაწყვიტა ხმლებითა და შუბებით გახანგრძლივებული ბრძოლის ბედი, რამაც დაუდო საფუძველი არანაკლებ სახელოვან გამარჯვებას აიაკუჩოსთან, რომელშიც მას ასევე მიუძღვის წვლილი. იქვე დაიჭრა.

1827 წელს იტუსაინგოსთან გამოიჩინა თავი, სადაც ჯარს ალვეარი მეთაურობდა. მიუხედავად როსასთან შორეული ნათესაობისა, ლავალიეს კაცი იყო და ფედერალები დაამარცხა ორთაბრძოლაში, რომელსაც ყოველთვის უწოდებდა „მახვილცემულს“. როცა უნიტარისტები შეიმუსრნენ, აღმოსავლეთ პროვინციაში გაემგზავრა, სადაც იქორწინა კიდეც. დიდი ომის დროს მონტევიდეოში გარდაიცვალა, ქალაქში, რომელიც ბლანკო ორიბემ დააარსა. ორმოცდაოთხი წლის იყო, ეს ასაკი კი მაშინ ლამის სიბერედ მიიჩნეოდა.

თავის შემდეგ ორი ქალიშვილი დატოვა. მათგან მარია ხუსტინა არის ის, ვისზეც ახლა გვექნება საუბარი.

1853 წლის ბოლოს პოლკოვნიკის ქვრივი თავის ორ ქალიშვილთან ერთად ბუენოს-აირესში დაფუძნდა. მათ არ დაუბრუნეს ტირან როსასის მიერ ჩამორთმეული სოფლის ადგილ-მამულები, თუმცა მოგონებები დაკარგულ მიწებზე, რომლებიც თვალათაც არასდროს ენახათ, დიდხანს ცოცხლობდა ოჯახში. ჩვიდმეტი წლის მარია ხუსტინა დოქტორ ბერნარდ ხაურეგის გაჰყვა ცოლად, რომელიც სამოქალაქო პირი იყო, თუმცა პავონსა და სეპედასთან ბრძოლამ მოუწია და თავის სამსახურებრივ პოსტზე გარდაიცვალა ყვითელი ციებ-ცხელების ეპოქაში. მას ვაჟი და ორი ქალიშვილი დარჩა. მარიანო, პირმშო, საგადასახადო ინსპექტორი გახდა და ხშირად დადიოდა ეროვნულ ბიბლიოთეკასა და არქივში, რათა თავისი გმირი პაპის დაწვრილებითი ბიოგრაფია დაეწერა, მაგრამ ვერა და ვერ დაასრულა, ან იქნებ არც დაუწყო. უფროსი და, მარია ელვირა, თავის ბიძაშვილს, ვინმე საავედრას გაჰყვა ცოლად, ფინანსების სამინისტროს ჩინოვნიკს. ხულია – სენიორ მოლინარის, რომელსაც მართალია იტალიური სახელი ჰქონდა, ლათინურის მასწავლებელი იყო და უაღრესად განათლებული კაცი ბრძანდებოდა. შვილიშვილებსა და შვილთაშვილებს არ შეეხებოდა, ისიც საკმარისია, რომ მკითხველს უკვე აქვს წარმოდგენა წარჩინებულ და გაღარიბებულ გვარზე, რომელსაც წინაპრის ეპიკური ჩრდილი და ემიგრაციაში შობილი მისი ქალიშვილი ედგა თავში.

მოკრძალებულად და მშვიდად ცხოვრობდნენ პალერმომოში, გუადალუპეს ეკლესიის სიახლოვეს და მარიანოს ახსოვდა, რომ იქ ტრამვანის ფანჯრიდან „გრან ნასიონალის“ კომპანიებს ხედავდა, ჭაობებს, რომლებიც ამა თუ იმ რანჩოს ერტყა გარს, ალიზით ნაგებთ. გუშინდელი სიღარიბე ნაკლებად ღარიბული იყო, ვიდრე ის, რომელსაც ჩვენ ინდუსტრიის პროგრესი გვჩუქნის. სიმდიდრეც უფრო მოკრძალებულად გამოიყურებოდა.

რუბიოს ოჯახობის საცხოვრებელს კვარტალში საგალანტერეო მაღაზიის ზედა სართული ეკავა. უკანა კიბე ვიწრო იყო. მარჯვნივ შემოვლებური მოაჯირი ბნელი შემოსასვლელის კედელსაც მიუყვებოდა, სადაც საკიდები და რამდენიმე სკამი იდგა. მისაღებიდან კარი რბილი სავარძლებით გაწყობილი მცირე სასტუმრო ოთახისკენ მიემართებოდა, სასტუმრო ოთახიდან კი წითელი ხის ავეჯითა და შემინული ვიტრინით მორთულ სასადილოში. მუდამ ჩამოშვებული ჟალუზების მიღმა, რომელიც მწველი მზისგან იცავდა ოთახს, სუსტი შუქი აღწევდა. მახსოვს, იქ ცოტა ობის სუნიც კი იდგა. სიღრმეში საძინებლები იყო, სააბაზანო ოთახი, პატარა პატიო ნიჟარით და სათავსო დამლაგებლისთვის. სახლში არ ყოფილა სხვა წიგნი, ანდრადეს გარდა, მონოგრაფიებისა გმირზე, ხელნაწერი დამატებებით და ასევე მონტანერისა და სიმონის ესპანურ-ამერიკული ლექსიკონიც, რომელიც იმიტომ ჩავარდნოდათ ხელში, რომ განვადებით ყიდდნენ დაბალ ფასად. სამაგიეროდ, იყო კიდევ პენსია, რომელიც ყოველთვის აგვიანებდა, და შემოსავალი ლომას-დე-სამორესთან არსებული ერთ დროს ვრცელი ნაკვეთის გაქირავებული ნაგლეჯიდან.

იმ დროისთვის, რომლითაც დავიწყეთ ჩვენ თხრობა, უხუცესი სენიორა დაქვრივებულ ხულიასა და მის ვაჟთან ერთად ცხოვრობდა. კვლავ ვერ იტანდა არტიგასს, როსასა და ურკისს. პირველი ევროპული ომი, რომელმაც მისთვის თითქმის აბსტრაქტულად არსებული გერმანელების სიძულვილი შთაუწერა, ნაკლებად აღელვებდა, ვიდრე ცხრაასი წლის გადატრიალება და სერო-ალტოსთან ორთაბრძოლა. 1932 წლიდან თანდათანობით დაიწყო ჭკნობა. საყოველთაოდ ცნობილი მეტაფორები საუკეთესოა, რადგან ზუსტია. გასაგებია, რომ ის კათოლიკურ რწმენას მისდევდა, საიდანაც სულაც არ გამომდინარეობს ის დასკვნა, რომ ღმერთის სწამდა, ერთადერთისა სამ იპოსტასში, ან სულის უკვდავებისა. ბუტბუტებდა ლოცვებს, რომლებიც არ ესმოდა, თითებით კი კრიალოსანს მარცვლავდა. აღდგომასა და მოგვთა დღესასწაულს შობა ერჩივნა, მატეს ნაცვლად კი ჩაის სმა უყვარდა. სიტყვები „პროტესტანტი“, „ებრაელი“, „მასონი“, „ერეტიკოსი“ და „ურჯულო“ მისთვის სინონიმები იყო და არაფერს ნიშნავდა. ყველა ვითარებაში ესპანელებს „გოდოთი“ მოიხსენიებდა, როგორც მისი მშობლები. 1910 წელს ვერ იჯერებდა, რომ ინფანტა, რომელიც მაინც პრინცესა იყო, მოლოდინის საწინააღმდეგოდ ჩვეულებრივი გალისიელივით მეტყველებდა და არა როგორც არგენტინელი სენიორა. ეს გამაოგნებელი ამბავი მისი სიძის დაკრძალვაზე ამცნო ერთმა მდიდარმა ნათესავმა, რომელიც აქამდე არასდროს ყოფილა მათთან სახლში, მაგრამ რომლის სახელსაც ისინი ხარბად ეძებდნენ ელიტური ქრონიკების სვეტებში.

სენიორა ხაურეგისთვის ქუჩები არ იცვლიდნენ სახელწოდებებს. იხსენებდა არტეს ქუჩას, ტემპლეს ქუჩას, ბუენ-ორდენის ქუჩას, პიედადის ქუჩას, ორ კალიეს ლარგასს, პარკესა და პორტონესის მოედნებს. ოჯახის წევრები გიჟდებოდნენ არქაიზმებზე, რომლებიც ნებით თუ უნებლიეთ სიტყვას მოჰქონდა ხოლმე. მაგალითად, ამბობდნენ არა „ურუგვაელებს“, არამედ „აღმოსავლელებს“. ქალი შინიდან არ გამოდიოდა და ალბათ აზრზეც არ იყო, რომ ბუენოს-აირესი იცვლებოდა და იზრდებოდა. ქალაქი,

რომელსაც ის გასასვლელი კარიდან ხედავდა, გაცილებით ხნოვანი იყო იმ დროის ქალაქზე, რომელშიც ისინი ცენტრიდან გადასახლდნენ. შებენილი ხარები და ორთვალა ურმები ალბათ ისევ იდგა ონსეს მოედანზე, უკვდავს ყვავილები კი ბარაკასის მინდვრებზე აფრქვევდნენ სურნელს. „მიცვალებულები მესიზმრება“, – ეს მისი ერთ-ერთი უკანასკნელი ფრაზა იყო. უტვინო არ გახლდათ, მაგრამ როგორც ვიცი, არასდროს მიეცემოდა ინტელექტუალურ სიამეებს, ის დარჩენოდა, რასაც მეხსიერება ჩუქნიდა, მერე კი – მივიწყება. ყოველთვის გულუხვი იყო. მახსოვს მისი ნათელი მშვიდი თვალები და ღიმილი. ვინ იცის, რა გიჟური ვნებები, ახლა ჩამცხრალი, ერთ დროს კი მწველი განუცდია ამ ხანდაზმულ, ერთ დროს მშვენიერ ქალს. მცენარეების მოყვარული გახლდათ, მათი სადა ჩუმი ცხოვრება მასთან ახლოს იყო, ბეგონიებს უვლიდა თავის ოთახში და იმ ფოთლებს ეხებოდა, რომელთაც უკვე ვეღარ ხედავდა. 1992 წლამდე, როცა ის თითქოს თვლემამში ჩაიძირა, მოსწონდა სხვადასხვა ისტორიული ეპიზოდის მოყოლა, ყოველთვის ერთი და იმავე სიტყვებით და ერთი და იმავე მიმდევრობით, თითქოს „მამაო ჩვენოს“ კითხულობდა, მაგრამ მე მგონია, რომ ისინი უკვე აღარ ასახავდნენ სინამდვილეს. თვითონაც სჯეროდა არაკების. ერთი სიტყვით, ბედნიერი იყო.

ძილი, როგორც ცნობილია, ჩვენი ერთ-ერთი ყველაზე გამოუცნობი აქტია. ჩვენი ცხოვრების მესამედს ვუთმობთ მას, თუმცა ვერ შევიცანით. ერთისთვის ის მხოლოდ გონების დაბინდვაა, სხვებისთვის – ურთულესი მდგომარეობა, რომელიც ერთდროულად სამ დროს მოიცავს: გუშინდელს, დღევანდელსა და ხვალისდელს, სხვათათვის კი სიზმრების უწყვეტი მიმდევრობაა. იმის თქმა, რომ სენიორა ხაურეგიმ ათი წელი გაატარა უძრავ ქაოსში, ალბათ მცდარი იქნებოდა. ამ ათი წლიდან თითოეული წამი ალბათ მხოლოდ ახლანდელი იყო, უწინდელისა და შემდგომის გარეშე. და არ არის საჭირო მეტისმეტად მოიხიბლო ახლანდელით, რომელსაც დღეებითა და უსასრულო კალენდრების ასობით ფურცლით ვზომავთ, თავისი მიზნებითა და მოვლენებით, ეს სწორედ ის ახლანდელია, რომლის მიჯნასაც ყოველ დილას ვაბიჯებთ, სანამ გავიღვიძებთ, და ყოველ ღამე, სანამ დავიძინებთ. ჩვენ ყოველდღე ორჯერ ვხდებით უხუცესი სენიორა.

ხაურეგის ოჯახის წევრები, როგორც უკვე დავრწმუნდით, ოდნავ დაბინდულ მდგომარეობაში იმყოფებოდნენ. მათ სჯეროდათ, რომ არისტოკრატias მიეკუთვნებოდნენ, თუმცა გავლენიანი ადამიანები მათ არ იცნობდნენ; გმირის შთამომავლები იყვნენ, თუმცა ისტორიის წიგნებში, როგორც წესი, მას არ მოიხსენიებდნენ. მართალია, მის სახელს ქუჩა ატარებდა, მაგრამ ეს ქუჩა, რომელიც ძალიან ცოტამ თუ იცოდა, სადღაც დასავლეთ სასაფლაოს უკან მიიკარგა.

სახსოვარი დღე ახლოვდებოდა. ათ იანვარს სამხედრო გამოჩნდა სააღლუმე ფორმით. წერილი, თვით მინისტრის ხელმოწერა რომ ამშვენიებდა, იუწყებოდა, რომ მინისტრი ვიზიტს გეგმავდა თოთხმეტ რიცხვში. ხაურეგები ყველა მეზობელს უჩვენებდნენ ამ წერილს, განსაკუთრებულ ყურადღებას ამახვილებდნენ ბლანკსა და მინისტრის

ხელმოწერაზე. მერე კორესპონდენტებმა მოუხშირეს სიარულს, რომლებიც პრესისთვის ამზადებდნენ მასალას. მათ საჭირო ცნობებს აწვდიდნენ და ყველაფრიდან ჩანდა, რომ მათ ნაუწყები ჰქონდათ პოლკოვნიკ რუბიოს შესახებ. თითქმის უცნობი ადამიანები ტელეფონით ითხოვდნენ, მიწვეულთა სიაში ჩაერთოთ. ყველა გულმოდგინედ ემზადებოდა დიდებული დღისთვის. ცვილით წმენდდნენ იატაკებს, რეცხავდნენ ფანჯრებს, ჭალებს შალითებს ხსნიდნენ, წითელ ხეს აპრიალებდნენ, ვერცხლეულს ასუფთავებდნენ, ავეჯს ალაგებდნენ, სასტუმრო ოთახში ფორტეპიანოსაც ახადეს თავსახური, რათა კლავიშებზე ხავერდის ბილიკი ეჩვენებინათ. ხალხი აქეთ-იქით დადიოდა. ერთადერთი ადამიანი, რომელიც შორს იყო ამ საერთო ფუსფუსისგან, სენიორა ხაურეგი გახლდათ. ჩანს, მან არაფერი უწყოდა. ის ილიმოდა. ხულიამ მოსამსახურის დახმარებით ისე გამოაწყო, თითქოს მიცვალებული ყოფილიყოს. პირველი, რაც სტუმრებს შემოსვლისას თვალში მოხვდებოდათ, გმირი პოლკოვნიკის პორტრეტი გახლდათ და მარჯვნივ, ოდნავ ქვემოთ, მისი ხმალი, რომელიც ყველა ბრძოლაში თან ახლდა. ყველაზე მძიმე წუთებშიც კი არ გაუყიდიათ ეს იარაღი და ოცნებოდნენ, ისტორიული მუზეუმისთვის გადაეცათ. ერთმა კეთილმა მეზობელმა ამ ღირსსახსოვარი დღისთვის ნემსიწვერა ათხოვათ ქოთნით.

ზეიმი შვიდზე უნდა დაწყებულიყო. სტუმრების შეკრება შვიდის ნახევრისთვის დანიშნეს, რადგან იცოდნენ, რომ არავის უყვარდა იმის ყურება, როგორ „ანთებენ სანთლებს“. რვის ათ წუთზე კაციშვილის ჭაჭანება არ იყო. მასპინძლები არც ისე ხალისიანად მსჯელობდნენ იმაზე, რით არის კარგი და რით ცუდი ასეთი არაპუნქტუალურობა. ელვირამ, რომელსაც წესად ჰქონდა დანიშნულ დროს მისვლა, უაპელაციოდ განაცხადა, რომ ადამიანებს აიძულო ლოდინი იმას ნიშნავს, მათ მიმართ უპატივცემულობა გამოიჩინო. ხულიამ თავისი ქმრის სიტყვები გაიმეორა და ივარაუდა, რომ დაგვიანება თავაზიანობის ნიშანია, რამეთუ რაკი ასე იქცევიან, ეს იმას ნიშნავს, რომ ეს ყველასთვის მოსახერხებელია და არავინ არავის არ აჩქარებს.

რვას რომ თხუთმეტი აკლდა, სახლი სავსე იყო. და მთელი კვარტალი შურით სკდებოდა, სენიორა ფიგეროას ავტომანქანისა და მძღოლის დანახვაზე, იმ ფიგეროასი, რომელიც თითქმის არასდროს იწვევდა თავის ნათესავებს, მაგრამ ისინი ხელგაშლილნი ხვდებოდნენ, რათა არავის ეეჭვა, რომ უკანასკნელად ეპისკოპოსის დაკრძალვაზე ენახათ ერთმანეთი. პრეზიდენტმა პირადი ადიუტანტი გამოგზავნა, ძალიან კეთილი სენიორი, რომელმაც ბრძანა, რომ წილად ხვდა დიდი პატივი, სერო-ალტოს გმირის ქალიშვილისთვის ჩამოერთმია ხელი. მინისტრმა, რომელიც მალევე წავიდა, ბრწყინვალე, კარგად შედგენილი სიტყვა წარმოთქვა, რომელშიც, სიმართლე რომ ითქვას, მეტს ლაპარაკობდა სან-მარტინზე, ვიდრე პოლკოვნიკ რუბიოზე. მოხუცი ქალი სავარძელში იჯდა, ბალიშზე გადაწოლილი. დროდადრო თავს ხრიდა ან მარაო უვარდებოდა ხელიდან. რჩეული საზოგადოების ქალბატონებმა, „მამულის დედებმა“ მას ჰიმნი უმღერეს, რომელიც, თითქოს, არც გაუგონია. ფოტოგრაფები შეკრებილთაგან მხატვრულ ჯგუფებს ქმნიდნენ და თავიანთი ნათურების ჩხაკუნით

თვალეებს უბრმავებდნენ. პორტვეინისა და ხერესის ჭიქები ცოტა აღმოჩნდა. რამდენიმე ბოთლი შამპანური გახსნეს. სენიორა ხაურეგის სიტყვა არ წარმოუთქვამს. ალბათ თვითონ უკვე აღარც იცოდა, ვინ იყო... და ამ საღამოდან ლოგინად ჩავარდა.

როცა სტუმრები დაიშალნენ, ოჯახობა იმპროვიზებულ ცივ ვახშამს მიუსხდა. ყავისა და თამბაქოს სუნმა მალე გააძევა სუნამოების ნაზი არომატი.

დილის გაზეთები ღირსეულად და დამაჯერებლად ცრუობდნენ, როდესაც აღფრთოვანების სიტყვებს გამოთქვამდნენ გმირის ქალიშვილის თითქმის საარაკო ხნოვანების შესახებ და იუწყებოდნენ, რომ ის „არგენტინის ისტორიაში საუკუნის ყველაზე მჭევრმეტყველური მატიანეა“. ხულიას სურდა მისთვის ეს ცნობები ეჩვენებინა. უხუცესი სენიორა უძრავად იწვა ბინდში, თვალეზდახუჭული. ტკივილი ან სიცხე არ ტანჯავდა. ექიმმა გასინჯა და თქვა: ყველაფერი რიგზეაო. რამდენიმე დღეში გარდაიცვალა. ბრბოს მოდინებამ, გაუგონარმა ხმაურმა, ჩახჩახა შუქებმა, წარმოთქმულმა სიტყვებმა, ხშირმა ხელის ჩამორთმევამ და შამპანიურის გასროლებმა მისი აღსასრული დააჩქარა. ალბათ ფიქრობდა, რომ სახლში მტერი შეიჭრა.

ვფიქრობ სერო-ალტოსთან დალუპულებზე, ვფიქრობ ამერიკისა და ესპანეთის მივიწყებულ ადამიანებზე, რომლებმაც ცხენების ფლოქვებქვეშ პოვეს სიკვდილი; ვფიქრობ, რომ პერუში მახვილებით გაწკეპვლის უკანასკნელი მსხვერპლი, მართალია, ასი წლის დაგვიანებით, ეს მოხუცი ქალი გახდა.

სხვა

ეს ამბავი 1969 წლის თებერვალში მოხდა, ბოსტონის ჩრდილოეთით, კემბრიჯში. ცხელ კვალზე არ ჩამიწერია, რადგან მაშინ მხოლოდ ის სურვილი მქონდა, მომხდარი დამევიწყებინა, რომ არ გავგიჟებულიყავი. ახლა კი, 1972-ში, ვფიქრობ, თუ მას მოვყვები, მკითხველი გამონაგონად ჩათვლის, განვლილი წლები კი ალბათ მეც მაიძულებენ, მისადმი ასეთივე დამოკიდებულება მქონდეს.

ბევრი რამ გადავიტანე იმ წუთებში, მაგრამ უფრო მძიმე შემდეგ იყო, უძილო ღამეებში. ეს სულაც არ ნიშნავს იმას, რომ მომხდარის შესახებ ნაამბობი სხვებსაც ააღელვებს.

დილის ათი საათი იყო. სკამის საზურგეზე გადაწოლილი ვიჯექი ჩარლზის მდინარესთან. მარჯვნივ, ჩემგან ხუთასიოდე ნაბიჯში, მაღალი კოშკი იდგა – ახლაც არ ვიცი, რა ჰქვია მას. მღვრიე წყალს კუთხოვანი ყინულის ნატეხები მოჰქონდა. რასაკვირველია, მდინარემ დროზე ჩამაფიქრა. ჰერაკლიტეს მიერ შექმნილი ათასწლოვანი სახე... ღამე მშვიდად გავატარე: ჩემი საღამოს ლექცია, როგორც ჩანს, სტუდენტებს მოეწონათ.

გარშემო სულიერი არ ჭაჭანებდა.

უცებ მომეჩვენა (ფსიქოლოგები ამას საერთო დადებითობით ხსნიან), რომ ერთხელ უკვე მინახავს და განმიცდია მსგავსი. ჩემ გვერდით სკამზე ვილაც დაჯდა. მარტო მერჩინა ყოფნა, მაგრამ ადგილიდან არ ავმდგარვარ, უზრდელობად რომ არ ჩამთვლოდა. უცხომ სტვენა დაიწყო. იმ დილის პირველი განცვიფრება განვიცადე: ის უსტვენდა ან ცდილობდა ესტვინა (კარგი სმენით არ გამოვირჩევი) ელიას რეგულესის არგენტინული სიმღერა „ძველი ქოხმახი“. მოტივმა უკვე არარსებულ პატიოში გადამიყვანა და ძალიან დიდი ხნის წინ გარდაცვლილი ალვარო მელიან ლაფინურა გამახსენა. მერე სიტყვებიც მომესმა, ათიან წლებში რომ მღეროდნენ. ტემბრი დიდად არ ჰგავდა ალვაროს ტემბრს, თუმცა შემსრულებელი აშკარად ალვაროს ჰბადავდა. შიშით ვიცანი ეს ხმა.

მეზობლისკენ გადავიწიე და ვუთხარი:

– სენიორ, ურუგვაელი ხართ თუ არგენტინელი?

– არგენტინელი ვარ, მაგრამ თოთხმეტი წლიდან ჟენევაში ვცხოვრობ, – მიპასუხა მან.

ხანგრძლივი სიჩუმე ჩამოწვა. ისევ მე ვკითხე:

– მალანიაში, ჩვიდმეტ ნომერში, რუსული ეკლესიის პირდაპირ?

თანხმობის ნიშნად თავი დამიქნია.

– ო, მაშინ, – გამოვუცხადე მე, – თქვენი სახელი ხორხე ლუის ბორხესია. ჩვენ ქალაქ კემბრიჯში ვართ, 1969 წელს.

– არა, – მიპასუხა ჩემი საკუთარი ხმით, ოდნავ შორეულით.

შემდეგი ორი-სამი წუთის განმავლობაში დამაჯერებლად მიმტკიცებდა:

– არა, მე აქ ვარ, ჟენევაში, სკამზე ვზივარ, რონადან რამდენიმე მეტრში. ყველაზე უცნაური ის არის, რომ ჩვენ ერთმანეთს ასე ვგავართ, თუმცაღა თქვენ ბევრად უფროსი ხართ და თმაჭაღარა.

მე ვუპასუხე:

– შემიძლია დაგიმტკიცო, რომ არ ვცრუობ. გიამბობ ისეთ რამეებს, რომელიც მხოლოდ შინაურებმა იციან. ჩვენ ვერცხლის მატე გვაქვს, შემოქსოვილი გრძელი ფეხით, რომელიც პერუდან ჩვენმა დიდმა პაპამ ჩამოიტანა. კიდევ გვაქვს ვერცხლის თასი, ისეთი, უნაგირს რომ ამაგრებენ ხოლმე. შენი ოთახის წიგნების კარადაში წიგნები ორ წყებად არის დალაგებული. იქ ლეინის „ათას ერთი ღამის“ სამი ტომია გრავიურებითა და თითოეული თავის შემდეგ წვრილი შრიფტით გაკეთებული კომენტარებით; კიშერის ლათინური ლექსიკონი, ტაციტის „გერმანია“ ლათინურად და გორდონის თარგმანით, გარნიეს გამოცემის „დონ-კიხოტი“, რივერა ინდარტეს

„სისხლიანი თეატრი“ ავტორის მიძღვნიტ, კარლეილის Sartor Resartus, ამელიას ბიოგრაფია და დანარჩენი ფოლიანტების უკან დამალული, გაცვეთილი წიგნი ბალკანელი ხალხის სექსუალური წესჩვეულებების შესახებ. არ დამვიწყებია არც მწუხრი ბელეტაჟზე, პლას დიუბურზე.

– დიუფურზე, – შემისწორა.

– კარგი. იყოს დიუფური, აბა, დარწმუნდი?

– არა, ეს ყოველივე არ არის მტკიცებულება. თუ სიზმრად გხედავთ, გასაგებია, რომ თქვენ იგივე უნდა იცოდეთ, რაც მე ვიცი.

საკმაოდ საფუძვლიან შენიშვნას ვუპასუხე:

– თუ კი ეს დილაც და ეს შეხვედრაც მხოლოდ და მხოლოდ სიზმარია, თითოეულ ჩვენგანს აქვს სრული უფლება იფიქროს, რომ სწორედ მას სძინავს და ესიზმრება. ჩვენ იქნებ გამოვფხიზლდეთ, იქნებ არა. მაგრამ ერთი რამ ვიცი – ეს სიზმარი რეალობად უნდა მივიღოთ, როგორც ვიღებთ სამყაროსა და იმას, რომ ვცოცხლობთ, ვხედავთ და ვსუნთქავთ.

– იქნებ სიზმარი გაჭიანურდეს? – შემფოთებულმა თქვა,

მისი და საკუთარი თავის საწუგემებლად ნამალადევი სიმშვიდით ვუპასუხე:

– მერე რა? ჩემი სიზმარი აგერ უკვე სამოცდაათი წელია გრძელდება. საბოლოო ჯამში, თუ გავიხსენებთ, არ არსებობს ადამიანი, რომელიც საკუთარ თავს არ შეხვედრია. სწორედ ეს გვემართება ახლა ჩვენ, თუ ჩვენ ორნი ვართ... იქნებ გსურს გაიგო რამე ჩემი წარსულიდან, რომელიც შენტვის მომავალი გახდება?

მდუმარედ დამიქნია თავი. და ველაპარაკე ყველაფერზე, რაც კი თავში მომივიდა აზრად:

– დედა ცოცხალია და ჯანმრთელი, თავის სახლში ფუსფუსებს ჩარკასისა და მალუს ქუჩების სიახლოვეს, ბუენოს-აირესში; მამა ოცდაათი წლის წინ გარდაიცვალა, გულით. თუმცა მანამდე დამბლამ გატეხა: მთელი მარცხენა ნახევარი წაერთვა და მარცხენა ხელი მარჯვენაზე ედო, როგორც ბავშვის ხელი გოლიათის ხელზე. ისე გარდაიცვალა, სიკვდილი ეჩქარებოდა, მაგრამ ერთი არ ამოუკვნესია. ბებიაჩვენმაც იმავე სახლში განუტევა სული. აღსასრულამდე რამდენიმე დღით ადრე ყველა შეგვკრიბა და გვითხრა: „მე ძალიან მოხუცი ქალი ვარ, რომელიც ძალიან ნელა კვდება. არ არის საჭირო ნერვიულობა და ალიაქოთი: ეს სავსებით ჩვეულებრივი ამბავია“. ნორა, შენი და, გათხოვდა, ორი ვაჟი ჰყავს... ისე, როგორ ცხოვრობენ ყველანი იქ?

– მშვენივრად. მამა, ჩვეულებისამებრ, რელიგიას აბუჩად იგდებს. გუშინ საღამოს თქვა, რომ იესოს, ჩვენი გაუჩოების მსგავსად, არ უყვარდა შელამაზებული საუბარი და ამიტომ ამჯობინებდა ალეგორიულად გამოხატვას.

ოდნავი ყოყმანის შემდეგ მკითხა:

– თქვენ როგორ ცხოვრობთ?

– არ ვიცი იმ წიგნების რაოდენობა, რომლებსაც შენ დაწერ, მხოლოდ ის ვიცი, რომ ისინი საკმაოდ ბევრი იქნება. დაწერ ლექსებს – ისინი განუზომელ სიხარულს მოგანიჭებენ – და ფანტასტიკურ მოთხრობებს. მამაშენივით და ჩვენი გვარის ბევრი წარმომადგენელივით მასწავლებელიც იქნები.

კმაყოფილი ვიყავი. რომ არ მკითხა, გამომივიდა თუ არა ჩემი წიგნები. და სხვა ტონით გავაგრძელე:

– თუ ისტორიას შევხებით... კიდევ ერთი ომი იყო, თითქმის იმავე მოწინააღმდეგეების მონაწილეობით. საფრანგეთი მალე დანებდა, ინგლისი და ამერიკა გერმანულ დიქტატორს, ჰიტლერს ებრძოდნენ, მერე – ვატერლოოსთან ბრძოლის გამეორება. ბუნოს-აირესმა ათას ცხრაას ორმოცდა ექვსი წლისთვის ნომერი ორი როსასი შობა, მეტად რომ ჰგავდა ჩვენს პირმშოს. ორმოცდათხუთმეტში პროვინცია კორდობამ გვიხსნა, როგორც ადრე ენტრე-რიოსმა. ახლა რთული სიტუაციაა. რუსეთი აძლიერებს თავის გავლენას პლანეტაზე, ამერიკა ვერ ბედავს იმპერიად ქცევას, ცრუმორწმუნეს ემინია დემოკრატიის მტრად არ შერაცხონ. ჩვენი სამშობლო დღითი დღე სულ უფრო მეტად იძირება პროვინციალიზმში. პროვინციალიზმი და თვითტკბობა – თვალეზზე ხილაბანდივით აქვს აფარებული. არ გავოცდები, თუ ლათინურის გაკვეთილებს ერთხელაც გუარანის[1] ლექციები შეცვლის.

შვენიშნე, რომ თითქმის არ მისმენდა. მიუწვდომლისა და ამავედროულად ასეთი აშკარას მიმართ სრულიად ბუნებრივი შიში ბოჭავდა. მამა არ ვყოფილვარ, მაგრამ ნაზი გრძნობები ვიგრძენი ამ საბრალო ბიჭის მიმართ, რომელიც უფრო ახლობელი იყო ჩემთვის, ვიდრე ღვიძლი შვილი. ვნახე, რომ ხელში რაღაც წიგნს ატრიალებდა. დავინტერესდი, რა იყო.

– თეოდორ დოსტოევსკის „შეპყრობილი“, ან უფრო ზუსტად „ემმაკნი“, – მიპასუხა მედიდურად.

– ძნელად მახსენდება. მოგწონს?

ჯერ კიდევ ბოლომდე არ მეთქვა და უკვე ვიგრძენი, რა მკრეხელური შეკითხვა დავსვი.

– რუსი კლასიკოსი ძალიან ღრმად შეიჭრა სლავური სულის ლაბირინთებში.

რიტორიკულობის შემოტევა იმის ნიშნად მივიჩნიე, რომ ის დამშვიდდა.

ვკითხე, ამ კლასიკოსის კიდევ რა წიგნების წაკითხვა მოესწრო. ორი თუ სამი დაასახელა, მათ შორის „ორეულიც“.

ჩავეკითხე, ისევე ნათლად თუ ხედავს პერსონაჟებს კითხვის დროს, როგორც დავუშვავთ, ჯოზეფ კონრადთან, და ფიქრობს თუ არა თხზულებათა მთელი კრებულის დამღევას.

– სიმართლე გითხრათ, არა, – მოულოდნელად მიპასუხა.

ვკითხე, რას წერდა და მიპასუხა, რომ პოეტურ კრებულს ამზადებდა, რომლის სახელი იქნება „წითელი ფსალმუნები“. ფიქრობდა ასევე „წითელ რიტმებზე“.

– რატომაც არ უნდა სცადო? – ვუპასუხე, – შეგიძლია სახელოვან წინაპრებს დაეყრდნო. გაიხსენე რუბენ დარიოს ცისფერი ლექსები და ვერლენის ნაცრისფერი ბალადა.

ყურებში გაუშვა ჩემი სიტყვები და განმიმარტა, რომ მის წიგნში დედამიწის ხალხთა ძმობას შეასხამდა ხოტბას. ჩვენი დროის პოეტს არ შეუძლია ეპოქას ზურგი შეაქციოს.

ჩავფიქრდი, მერე კი ვკითხე, მართლა მიაჩნდა თუ არა ყველა თავის ძმებად. მაგალითად, პომპეზური დაკრძალვების ყველა ოფიციალური მომწყობი, ყველა კურიერი, ყველა ფასიანი წყალში მყვინთავი, ყველა, ვინც ტროტუარებზე ათენებს დამეებს კენტონომრიან შენობებთან; ყველა, ვისაც არ აქვს ხმა და ა.შ. და ა.შ. მითხრა, რომ მისი წიგნი მიემდვინება ყველა ჩაგრულსა და ფარიას[2].

– შენი ჩაგრულთა მასები და ფარიები, – ვუპასუხე მე, – მხოლოდ და მხოლოდ აბსტრაქტული ცნებებია. არსებობს მხოლოდ ცალკეული ინდივიდები, თუ საერთოდაც არსებობს ვინმე. „შენ დღეს უკვე აღარ ხარ გუშინდელი“, – წარმოთქვა რომელიღაც ბერძენმა. ჩვენ ორივენი ამ სკამზე – ჟენევაში თუ კემბრიჯში, – ალბათ ამის მტკიცებულებად გამოვდგებით.

ყველა სახსოვარი ფაქტი, მათ გარდა, რომლებიც ისტორიის ჭეშმარიტ ფურცლებზეა აღბეჭდილი, სახსოვარ ფრაზებს არ საჭიროებს. ადამიანს სიკვდილის წინ სურს გაიხსენოს გრავიურა, ბავშვობაში წვრილად დანახული; ჯარისკაცები ბრძოლის წინ ყველაფერზე ლაპარაკობენ ან თავიანთ სერჟანტზე. ჩვენი შეხვედრა ერთადერთი იყო და სიმართლე ითქვას, ჩვენ არ ვიყავით მისთვის მზად. ვლაპარაკობდით ლიტერატურასა და ენაზე – ვშიშობ, არაფერი ახალი არ მითქვამს იმასთან შედარებით, რასაც ჩვეულებრივ ჟურნალისტებს ვეუბნები. ჩემს ალტერ ეგო-ს სჯეროდა ახალი მეტაფორების შექმნისა თუ აღმოჩენის აუცილებლობის, მე კი – მხოლოდ ჩვენი ფანტაზიის მიერ უკვე შექმნილი სიტყვების ზუსტი შესაბამისობებისა, ჩემი საკუთარი სახეების ან საყოველთაოდ ცნობილი ცნებებისა: ადამიანების დაბერება და დაკნინება, სიზმრები და ცხოვრება, დროთა ცვლა და

წყალი. მას ჩემს ფიქრებს ვანდობდი, რომლებიც რამდენიმე წლის შემდეგ ვაქციე წიგნად.

ის თითქმის არ მისმენდა. უცებ მითხრა:

– თუ თქვენ მე ვიყავი, მაშ როგორ უნდა აიხსნას თქვენი გულმავიწყობა ერთ ხანდაზმულ სენიორთან შეხვედრის თაობაზე, რომელმაც 1918-ში გითხრათ, რომ ისიც ბორხესია.

ამ საფრთხეზე არ დავფიქრებულვარ. არცთუ დამაჯერებლად ვუპასუხე:

– ჩანს, ეს შემთხვევა იმდენად საოცარი მეჩვენა, რომ ვეცადე დამევიწყებინა.

გაბედა, შიშნარევი შეკითხვა დაესვა:

– თქვენი მეხსიერება ხომ არ სუსტდება?

მივხვდი, რომ ბიჭისთვის, რომელსაც ჯერ ოცი წელი არ შესრულებია, სამოცდაათს გადაცილებული კაცი ნახევრად გვამს ჰგავს. და ვუპასუხე:

– ეს შეიძლება დავიწყებას ჰგავდეს, მაგრამ ჯერ კიდევ შესწევს ძალა გაუძლოს იმას, რითაც ტვირთავენ. ანგლოსაქსონურს ვსწავლობ და კლასში უკანასკნელი მოსწავლე როდი ვარ.

ჩვენი საუბარი უკვე მეტისმეტად დიდი ხანია გრძელდებოდა, რომ ძილად მიჩნეულიყო.

მოულოდნელმა ფიქრმა გამინათა გონება:

– ამ წუთასვე შემძლია დაგიმტკიცო, – ვუთხარი მას, – რომ ცხადში მხედავ. მოუსმინე ამ ლექსებს, რომლებიც არასდროს წაგიკითხავს, მაგრამ მე შევძელი მათი გახსენება.

და წყნარად წარმოვთქვი მშვენიერი სტრიქონი:

– L'hydre-univers tordant son corps caill d'astres[3].

მისი გაოცება შევნიშნე, თითქმის შიში. წყნარად გაიმეორა, თან თითოეული საოცარი სიტყვით ტკბებოდა.

– მართლაც, – ჩაილაპარაკა მერე, – ვერასდროს შევქმნი რაიმე მსგავსს.

ჰიუგომ დაგვაკავშირა.

მანამდე კი ზეპირად კითხულობდა, ახლა მახსენდება, უოლტ უიტმენიდან მცირე ამონარიდს, სადაც პოეტი მეხსიერებაში აღიდგენს ორთა მიერ გატარებულ ღამეს ზღვასთან, როცა ნამდვილად ბედნიერი იყო.

– თუ უიტმენი მას ხოტბას ასხამს, – შევნიშნე ჩემდა თავად, – გამოდის, მას სურდა ეს ღამე, მაგრამ ის, სამწუხაროდ, არ ყოფილა. პოემა მაშინ არის შთამბეჭდავი, როდესაც მასში ვნებიან სურვილს ვიჭერთ და არა გადახდენილის სიხარულს.

მდუმარედ შემომხედა, მერე წამოიძახა:

– თქვენ მას არ იცნობთ, უიტმენს არ შეუძლია იცრუოს!

ნახევარი საუკუნე ფუჭად არ გაივლის. ჩვენი საუბრის დროს, ორი ადამიანისა, რომლებიც არათანაბარი ხარისხით არიან ნაკითხები და სხვადასხვა გემოვნება აქვთ, გავაცნობიერე, რომ ერთმანეთის გაგება აღარ გვეწერა, ეს კი ყოველთვის ართულებს დიალოგს. თითოეული ჩვენგანი მეორის პაროდული სახე იყო. სიტუაცია მეტისმეტად ხელოვნური ჩანდა იმისთვის, რომ ბევრი დრო დაეკავებინა. აზრი არ ჰქონდა კამათს ან რჩევის მიცემას, რადგან მის უცილობელ გზად იქცეოდა ჩემი გზა. უცებ კოლრიჯის ერთ-ერთი ფანტაზია მომივიდა აზრად. ვიღაცას დაეზმანა, თითქოს სამოთხეში დასეირნობდა, სადაც მას დასტურად ყვავილები აჩუქეს. გაღვიძებულმა გვერდით ყვავილი დაინახა.

მეც მომინდა ასეთივე ილეთი მომეფიქრებინა.

– მისმინე, – ვუთხარი უცებ, – ნალდი ფული თუ გაქვს?

– დიახ, – გამომეპასუხა, – ოციოდე ფრანკი, ამ საღამოს სიმონ ჟიკლინსკი „ნიანგში“ დავპატიჟე.

– სიმონს გადაეცი, რომ კარუჭში მედიცინას დაიზუთხავს და ბევრ სიკეთეს ჩაიდენს... კარგი, მომე რამე შენი ფულიდან.

სამი ვერცხლის ფრანკი და ხურდა ფული ამოიღო. გაოგნებულმა გამომიწოდა ვერცხლის მონეტა. ერთ-ერთი მივაწოდე იმ უაზრო ამერიკულ ფულთაგან, რომლებსაც სხვადასხვა ღირსება აქვთ, თუმცა ყოველთვის ერთი ფორმისანი არიან. დიდი ცნობისმოყვარეობით ათვალეირებდა.

– შეუძლებელია, – წამოიყვირა, – აქ გამოშვების თარიღი წერია – 1964! (რამდენიმე თვის შემდეგ ვიღაც მეტყვის, რომ ბანკნოტებზე თარიღი არ იწერება). – ეს ყოველივე უბრალოდ სასწაულია, – ძლივს ამოილულლულა, – სასწაულები კი შიშს მგვრის. ლაზარეს აღდგინების მოწმენი ალბათ დაიზაფრებოდნენ.

ადგილიდან არ დავძრულვართ, ჩემთვის ჩავფიქრდი. ისევ წიგნებზე ავლაპარაკდით. ბანკნოტი ნაკუწებად აქცია, მონეტა კი მე დამიტოვა.

გადავწყვიტე, მდინარეში მომესროლა. წყლისკენ გაფრენილი ვერცხლის ხუნდი ჩემს ამბავში რეალობის განსახიერებად უნდა ქცეულიყო, მაგრამ ბედმა სხვაგვარად განსაჯა.

ვუპასუხე, რომ ზებუნებრიობა, თუ ის მეორდება, აღარ არის საშიში. და შევთავაზე ხვალ შევხვედროდით ერთმანეთს ამავე სკამზე, რომელიც ორ სხვადასხვა ეპოქასა და სხვადასხვა ადგილას მდებარეობდა.

მაშინვე თანხმობა განმიცხადა და თქვა, საათზე დაუხედავად, რომ მისი წასვლის დრო იყო. ორივენი ვცრუობდით და თითოეულმა იცოდა, რომ მისი თანამოსაუბრე ცრუობდა. ვუთხარი, რომ მეც ის-ის იყო მომაკითხავდნენ.

– მოგაკითხავენ? – გაოცდა.

– ჰო. როცა ჩემს ასაკამდე მიაღწევ, თითქმის მთლიანად დაკარგავ მხედველობას. შეძლებ გარჩიო ყვითელი ფერი, ჩრდილი და მზე. მაგრამ ნუ ღელავ. სიბრმავის თანდათანობითი მოსვლა ტრაგედია არ არის. ეს ზაფხულის ბინდის წყნარი დაბნელებაა.

ერთმანეთს არ შევხებივართ, ისე დავემშვიდობეთ. მომდევნო დღეს იქ აღარ წავსულვარ. ალბათ ის სხვაც არ მივიდა.

ბევრს ვფიქრობდი ამ შეხვედრაზე, რომლის შესახებაც არავისთვის მიაშინებია. ვფიქრობ, ახლა ბოლოს და ბოლოს მივაღწიე ჭეშმარიტებას. შეხვედრა რეალური იყო, მაგრამ „სხვა“ სიზმარში მელაპარაკებოდა და ამიტომაც შეეძლო ჩემი დავიწყება. მე კი მას ცხადში ველაპარაკებოდი და მოგონებები დღემდე მტანჯავს.

სხვამ მე სიზმარში მნახა, მაგრამ არასაკმარისად მკაფიოდ და ცხადად. მას უფრო ცხადად მოეჩვენა, ახლა უკვე გასაგებია ჩემთვის, არარსებული თარიღი დოლარზე.

სარკე და ნიღაბი

კლონტარფთან ბრძოლის შემდეგ, სადაც ნორვეგიელები შეიმუხსრნენ, დიდებულმა მეფემ პოეტს მიმართა:

– ყველაზე სახელოვანი გმირობებიც კი იცრიცება, თუ მათ სიტყვებად არ აღბეჭდავ. მინდა, რომ ქებათა ქება მომიძღვნა და ჩემს გამარჯვებას სახელი გაუთქვა. მე ენეასი ვიქნები, შენ ჩემი ვირგილიუსი გახდები. შეგწევს თუ არა ძალა, ჩემს განზრახვას გაუმკლავდე, რომელიც ჩვენ ორივეს უკვდავებას მოგვანიჭებს?

– დიახ, მეფეო, – უპასუხა პოეტმა, – მე მგოსანი ვარ. თორმეტი ზამთარი ვსწავლობდი მეტრიკის ხელოვნებას. სამას სამოცი სიუჟეტი მახსოვს, რომლებიც ჭეშმარიტ პოეზიას უდევს საფუძვლად. ჩემი არფის სიმებში საგების ოლსტერული და მუნსტერული ციკლებია ჩაქსოვილი. ვფლობ ილეეთებს, თუ როგორ უნდა გამოვიყენო უბველესი სიტყვები და ამობრუნებული მეტაფორები. რთული სტრუქტურები

შევიცანი, რომლებიც იცავენ ჩვენს ხელოვნებას სიავის შემოტევებისგან. შემძლია ხობტა შევასხა სიყვარულს, ცხენების ქროლვას, ზღვაში ცურვას, ბრძოლებს. ირლანდიის ყველა სამეფო სახლის ლეგენდარულ წინაპართ ვცნობ. ჩემთვის ცნობილია მცენარეების თავისებურებები, ასტროლოგია, მათემატიკა და კანონიკური სამართალი. შეკრებილი ხალხის წინაშე ჩემს მეტოქეებზე გამარჯვება მოვიპოვე. ვიცი შელოცვები, რომელთაც კანის დაავადებების შეყრა ძალუძთ, კეთრისაც კი. ხმაღს ვფლობ და ეს შენს ბრძოლაშიც დავამტკიცე. ერთადერთი არ განმიცდია: შენგან ძღვენის მიღების სიხარული.

მეფემ, რომელსაც ღლიდა ხანგრძლივი საუბარი, შვებამოგვრილმა თქვა:

– ის გელოდება შენ. დღეს მითხრეს, რომ ინგლისში უკვე გაისმის ბულბულის სიმღერები. როცა წვიმა და თოვლი გაივლის, როცა ისევ მოფრინდება ბულბული სამხრეთ მიწებიდან, შენ ჩემს საქებარ ოდას წამიკითხავ სამეფო კარისა და პოეტთა კოლეგიის თანდასწრებით. მთელ წელიწადს გაძღე. შეგიძლია სრულყოფამდე მიიყვანო თითოეული ასო და თითოეული სიტყვა. ჯილდო, როგორც უკვე გითხარი, ღირსეული იქნება ჩემი მეფური დიდებისაც და შენი შთაგონებული შრომისაც.

– მეფეო, საუკეთესო ჯილდო შენი ჭკრეტაა, – უპასუხა პოეტმა, რომელიც იმავდროულად მეფის ლაქიაც გახლდათ.

თავი მდაბლად დაუკრა და გავიდა, თან უკვე ბუნდოვნად შეიგრძნობდა ლექსს.

წელიწადი გავიდა, შავი ჭირითა და ბუნტებით გამორჩეული, და პოეტმა თავისი სახობტო სიმღერა წარმოადგინა. მტკიცედ და თანაბრად კითხულობდა, ხელნაწერში ჩაუხედავად. მეფე კმაყოფილებით უქნევდა თავს. ყველა იმეორებდა მის ჟესტს, ისინიც კი, ვინც კართან შეჯგუფულიყო და ერთ სიტყვასაც კი ვერ არჩევდა.

ბოლოს მეფემ წარმოთქვა:

– მე ვიღებ შენს ნაშრომს. ეს კიდევ ერთი გამარჯვებაა. შენ თითოეულ სიტყვას მისი ჭეშმარიტი მნიშვნელობა შესძინე, ხოლო თითოეულ არსებით სახელს თან მიაყოლე ეპითეტი, რომელსაც პირველი პოეტები ანიჭებდნენ. მთელ სიმღერაში არ არის არც ერთი სახე, რომელიც ძველად არ გამოეყენებინოთ. ბრძოლა – დიდებული ხალიჩა მეომრებით, ხოლო სისხლი – ხმლის წყალი. ზღვას თავისი ღმერთი ჰყავს, ღრუბლებზე კი მომავალი ჩანს. შენ ოსტატურად გაართვი თავი რითმებს, ალიტერაციებს, ასონანსებს, გრძელ და მოკლე ბგერებს, მეცნიერული რიტორიკის სიმარჯვეებს, ზომების დახვეწილ მიმდევრობებს. უცებ რომ – ომენ აბსიტ (ღმერთმა არ ქნას!) – მთელი ირლანდიური ლიტერატურა დაიღუპოს, ის შეიძლება დანაკარგების გარეშე აღადგინო შენი სიმღერის მეშვეობით. ოცდაათ გადამწერს ებრძანება გადაწეროს ის თორმეტ-თორმეტჯერ, – გაჩუმდა და ისევ განაგრძო, – ყველაფერი მშვენიერია, თუმცა არაფერი მომხდარა. სისხლს ძარღვებში უფრო სწრაფად არ უჩქეფია. ხელი შუბისკენ არ გაწვდილა. ლოყას ალმური არ მოსდებია. არ

გაჟღერებულა საბრძოლო ყვირილი, რიგები არ დამდგარა, რომ ვიკინგებთან საბრძოლველად წასულიყვნენ. ერთი წლის შემდეგ შენს ახალ სიმღერებს დავუკრავთ ტაშს, პოეტო. ჩვენი კეთილგანწყობის ნიშნად ეს ვერცხლის სარკე მიიღე.

– ვიღებ და გმადლობ, – უპასუხა პოეტმა.

მნათობებმა ცაზე წრე შეკრეს. ისევ ამღერდა ბულბული საქსონიის ტყეებში და ისევ გამოჩნდა პოეტი თავისი ხელნაწერით, ამჯერად უფრო მცირეთი, ვიდრე უწინდელი. დაწერილს არადამაჯერებლად კითხულობდა, ზოგიერთი სტროფის გამოტოვებით, თითქოს ბოლომდე ვერ იგებდა ან არ სურდა ის საყოველთაო სამსჯავროზე გამოეტანა. ფურცლები ბრძოლა იყო. მათ უწესრიგობაში კრთებოდა ღმერთი, სამებად გაერთიანებული, შეპყრობილი ირლანდიელი კერპთაყვანისმცემლები და მეომრები, რომლებიც ასწლეულის შემდეგ დიდი ეპოქის დასაწყისში იბრძოდნენ. პოემის ენა არანაკლებ უჩვეულო იყო. არსებითი სახელი მხოლოდით რიცხვში მართავდა ზმნას მრავლობითში. წინდებულები არ ჰგავდა საყოველთაოდ მიღებულებს. სიუხემეს სინაზე ცვლიდა. მეტაფორები შემთხვევითი იყო ან ასეთებად ჩანდა.

მეფე ლიტერატურის მცოდნეებს გამოელაპარაკა, რომლებიც მას გარს ერტყნენ, და წარმოთქვა:

– შენს პირველ სიმღერაზე შეიძლებოდა მეთქვა, რომ ის ბედნიერი შედეგია ყველა იმ დროისა, როდესაც ირლანდიაში ლეგენდები ითხზებოდა. ეს – ყველა ადრე არსებულს სჯაბნის და ანადგურებს. ის აოგნებს, ანცვიფრებს, აბრმავეს. უვიცები მისი ღირსნი არ არიან, მცოდნენი კი – კიდევ უფრო ნაკლებად. ერთადერთი ეგზემპლარი მარმარილოს ზანდუკში შეინახება. მაგრამ პოეტისგან, რომელმაც ასეთი დიდებული ნაშრომი შექმნა, კიდევ უფრო მეტს უნდა ელოდო, – ღიმილით დასძინა, – ჩვენ ლეგენდის გმირები ვართ, ლეგენდებში კი, მახსოვს, მთავარი ციფრი სამია.

პოეტმა ჩაიბუტბუტა:

– სამი ჯადოსნური ნიჭი, სამჯერადი გამეორება და, რასაკვირველია, სამება.

მეფე განაგრძობდა:

– ჩემი კეთილგანწყობის ნიშნად ეს ოქროს ნიღაბი აიღე.

– ვიღებ და გმადლობ, – უპასუხა პოეტმა.

წელიწადი გავიდა. დაცვამ სასახლის კარიბჭესთან შენიშნა, რომ პოეტს ხელნაწერი არ მოუტანია. მეფე გაოგნებული შეჰყურებდა: ის სულ სხვანაირი იყო. რაღაც სხვას, არა დროს, მის სახეზე კვალი დაეჩნია, მისი ნაკვეთები შეეცვალა. მზერა შორს მისწრაფული ჰქონდა, უსინათლოსავით. პოეტმა მეფეს თხოვნით მიმართა, პირისპირ დალაპარაკებოდა. მეფის ამაღამ დარბაზი დატოვა.

– დაწერე სახოტბო სიმღერა? – ჰკითხა მეფემ.

– დავწერე, – ნაღვლიანად უპასუხა პოეტმა, – ჯობდა მამაზეც იერს, იესო ქრისტეს არ მოეცა ჩემთვის საამისო ძალა.

– შეგიძლია წამიკითხო?

– ვერ შემოგბედავთ.

– მოიკრიბე სიძამაცე, – გაამხნევა მეფემ.

პოეტმა ლექსი წაიკითხა. ის ერთადერთი სტრიქონისგან შედგებოდა. პოეტი შთაგონების გარეშე კითხულობდა, თუმცაღა მისთვისაც და მეფისთვისაც ლექსმა ლოცვად თუ ღვთისგმობად გაიჟღერა. მეფე პოეტზე არანაკლებად იყო განცვიფრებული. ერთმანეთს გადახედეს, სახეზე სიფითრემ გადაუარათ.

– ახალგაზრდობის წლებში, – თქვა მეფემ, – დაისისას გავცურე. ერთ-ერთ კუნძულზე ვერცხლის მწვევრები ვნახე, რომლებიც ოქროს ტახებს სასაკლავოსკენ მიერეკებოდნენ. სხვა კუნძულზე საოცარი ვაშლების სურნელებით ვიკლავდით შიმშილს. კიდევ ერთზე ცეცხლოვანი კედლები ვიხილე. ყველაზე შორეულზე კი, ციდან თალივით გადმოხრილი მოედინებოდა მდინარე, რომლის წყლებშიც თევზები და გემები დაცურავდნენ. ეს იყო სასწაულები, მაგრამ არც ერთი არ შეედრება შენს ლექსს, რომელიც საოცრად ითავსებს სასწაულს. რა ჯადოსნობით შეძელი ამის მიღწევა?

– ერთხელ ალიონზე გავიღვიძე, – უპასუხა პოეტმა, – ვიმეორებდი სიტყვებს, რომელთა არსსაც მალევე ვერ ჩავწვდი. ეს ლექსი იყო. ვიგრძენი, რომ ცოდვას ჩავდიოდი, უპატიებელს.

– ის, რაც მე და შენ ორივემ განვიცადეთ, – ჩუმად თქვა მეფემ, – ცნობილია როგორც მშვენიერი და ადამიანთათვის აკრძალული. საზღაურის ჟამი დადგა. მე შენ გიძღვენი სარკე და ოქროს ნიღაბი; აი მესამე, უკანასკნელი ძღვენი.

და მან პოეტს მარჯვენა ხელში ხანჯალი ჩაუდო.

პოეტის შესახებ ცნობილია, რომ მან სიცოცხლე მოისწრაფა, როგორც კი სასახლე დატოვა, მეფეზე კი – რომ მან სამეფო დატოვა და გალატაკდა, რომ ირლანდიის ქუჩებში დახეტიალებდა და რომ არასდროს არ გაუმეორებია ლექსი.

სამხრეთი

კაცი, რომელიც 1871 წელს გადმოვიდა ბუენოს-აირესში ხომალდიდან, იოჰანეს დალმანად იწოდებოდა და ევანგელისტურ ეკლესიაში პასტორი იყო; 1939 წელს მისი ერთ-ერთი შვილიშვილი, ხუან დალმანი, მუნიციპალურ ბიბლიოთეკაში, კორდოვას ქუჩაზე რომ არის, მდივნად მსახურობდა და სუფთა არგენტინელად მიაჩნდა თავი.

დედის ხაზით მისი პაპა სწორედ ის ფრანსისკო ფლორესი იყო, მეორე სახაზო ბატალიონიდან, რომელიც ბუენოს-აირესის შემოგარენში კატრიელის ინდიელებთან შეტაკების დროს შუბის დარტყმით დაიღუპა. ამ არამსგავსი წინაპრებისგან ხუან დალმანმა (შესაძლოა გერმანულმა სისხლმა ითამაშა დიდი როლი) რომანტიკული წინაპრის ხაზი აირჩია, ან რომანტიკული გარდაცვალების. კოლოფი წვერიანი კაცის გახუნებული დაგეროტიკული პორტრეტით, ძველი ხმალი, ბედნიერება და სიმამაცე, შიგადაშიგ მუსიკაში გაჟღერებული, ზეპირად ნასწავლი ლექსები „მარტინ ფიერო“, წლები, უნიათობა და ჩაკეტილობა – ამ ყველაფერმა მისი თავისებური, თუმცადა არა მოჩვენებითი კრეოლიზმი განავითარა. დალმანმა შეძლო, გარკვეული თვითშეზღუდვების ხარჯზე სამხრეთში ფლორესების კუთვნილი მამულის რაღაც ნარჩენები შეენარჩუნებინა; მის მეხსიერებაში აღიბეჭდა ბალზამური ევკალიპტის რიგები და ღვინის ვარდისფერი სახლი, რომელიც ერთ დროს ალისფერი იყო. საქმეები, ან შესაძლოა სიზარმაცეც, დალმანს ქალაქში აკავებდა. ზაფხულიდან ზაფხულამდე კმაყოფილდებოდა იმის შეგნებით, რომ მამულს ფლობდა და იმ რწმენით, რომ სახლი მდელიოზე, თავის ადგილას ელოდა. 1939 წლის თებერვალში მას მოულოდნელი რაღაც შეემთხვა.

ბედი, რომელიც გულგრილია ადამიანთა ცოდვებისადმი, შეცდომას არ პატიობს. იმ საღამოს დალმანმა ვაილის „ათას ერთი ღამის“ გაცრეცილი ეგზემპლარის შოვნა შეძლო; ნაჩქარევად გადაათვალიერა თავისი შენაძენი, ლიფტს არ დაელოდა და კიბეზე აირბინა; სიბნელეში რაღაც ეცა შუბლზე – ჩიტი, ღამურა? ქალის სახეზე, რომელმაც კარი გააღო, შიში დაინახა; ხელი, რომელიც შუბლზე მოისვა, სისხლიანი ჰქონდა. ის-ის იყო შეღებილი და ღიად დატოვებული კარის წვეტიან პირზე გაეჭრა შუბლი. დალმანმა ჩაძინება შეძლო, მაგრამ გამთენიისას გაეღვიძა და იმ წუთიდან გარშემო ყველაფერი აუტანელი გახდა. სიცხე ტანჯავდა, „ათას ერთი ღამის“ ილუსტრაციები კი კოშმარში იხლართებოდა. მის სანახავად მოსული მეგობრები და ახლობლები ნაძალადევი ღიმილით უმტკიცებდნენ, რომ მშვენივრად გამოიყურებოდა. დალმანი დაბნეული უსმენდა მათ, არ ესმოდა, როგორ ვერ ამჩნევდნენ ისინი, რომ ის ჯოჯოხეთში იყო. რვა დღემ რვა საუკუნესავით გასტანა. ერთ საღამოს მისი მკურნალი ექიმი მეგობართან ერთად მოვიდა, ახალთან, და დალმანი ეკვადორის ქუჩაზე საავადმყოფოში წაიყვანეს, რადგან აუცილებელი იყო რენტგენის სურათის გადაღება. ნაქირავებ ეკიპაჟში დალმანმა იფიქრა, რომ სხვა, არა მის ოთახში, ბოლოს და ბოლოს დაიძინებდა. თავი ბედნიერად იგრძნო და ენაწყლიანიც გახდა; როგორც კი მივიდნენ, გახადეს, თავი გადაპარსეს, ტახტზე მიაწვინეს, თვალებში იმდენ ხანს ანათებდნენ, სანამ ღამის არ დაბრმავდა და თავბრუ არ დაეხვა, გასინჯეს, ნიღბიანმა ადამიანმა ხელში ნემსი გაუკეთა. გულისრევის შეგრძნებით გაეღვიძა, დაბინტულს, პალატაში, რომელიც ჭას ჰგავდა და ოპერაციის შემდეგ გასული დღეებისა და ღამეების განმავლობაში მიხვდა, რომ მანამდე მხოლოდ და მხოლოდ ჯოჯოხეთის კართან იმყოფებოდა. ყინული პირში სიგრილის უმცირეს შეგრძნებასაც კი არ უტოვებდა. იმ დღეებში დალმანი საკუთარი

პიროვნების მიმართ სიძულვილით განიმსჭვალა, მას შესძულდა საკუთარი სხეულის საჭიროებები, თავისი დამცირება, ამოზრდილი წვერი, რომელიც სახეს უკაწრავდა. დალმანი მედგრად იტანდა პროცედურებს, ძალიან მტკივნეულს, მაგრამ როდესაც ქირურგისგან გაიგო, რომ კინაღამ მოკვდა სისხლის მოწამვლისგან, საკუთარი თავისადმი სიბრალულმა აატირა. ფიზიკური ტანჯვა და საშინელი ღამეების გამუდმებული მოლოდინი არ აძლევდა საშუალებას, ეფიქრა ისეთ აბსტრაქტულ რამეებზე, როგორც სიკვდილია. მაგრამ აი, ქირურგმა თქვა, რომ მალე მომჯობინდება და შეძლებს თავის მამულში წასვლას, ბოლომდე მოსაკეთებლად. დაუჯერებელია, მაგრამ აღთქმული დღე დადგა.

სინამდვილეს უყვარს სიმეტრია და ერთგვარი ანაქრონიზმები; დალმანი სამკურნალო დაწესებულებაში ნაქირავები ეკიპაჟით მიიყვანეს, ახლა კი ნაქირავები ეკიპაჟი მას კონსტიტუსიონის მოედანზე სადგურისკენ მიაქანებდა. შემოდგომის პირველი სიგრილე ზაფხულის ჩახუთულობის შემდეგ მისი ბედის სიმბოლოდ ჩანდა, რომელმაც სიციხე და სიკვდილი დაამარცხა. დილის შვიდი საათისთვის ქალაქს ჯერ კიდევ შეენარჩუნებინა ძველი სახლის სახე, რომელიც მისთვის ღამეს მიენიჭებინა; ქუჩები გრძელ დერეფნებს მოგაგონებდათ, მოედნები კი – ეზოებს. დალმანი ცნობდა მათ, ბედნიერებას და მსუბუქ თავბრუსხვევას გრძნობდა; უფრო ადრე, სანამ თვალწინ წარმოუდგებოდა, მეხსიერებაში ტივტივდებოდა გზაჯვარედინები, აფიშის ბოძები, ბუენოს-აირესის ბუნებრივი ნიშნები. შემომავალი დღის ყვითელ შუქზე ყველაფერი უბრუნდებოდა.

ყველამ იცის, რომ სამხრეთი რივადავიას ქუჩის მეორე მხარეს იწყება. დალმანს უყვარდა გამეორება, რომ ეს უბრალოდ ფრაზა არაა და რომ ქუჩის გადაკვეთის შემდეგ უფრო ძველ და უფრო საიმედო სამყაროში ხვდები. გზად თვალთ პოულობდა ახალ მშენებლობებს შორის გისოსებიან ფანჯარას, პატარა ჩაქუჩს კარზე, თაღს კარის ზემოთ, სადარბაზოს, წყნარ ეზოს.

სადგურის ჰოლში აღმოაჩინა, რომ გასვლამდე კიდევ ნახევარი საათი იყო. უცებ გაახსენდა, რომ კაფეში ბრაზილის ქუჩაზე (ირიგოიენის სახლთან) ცხოვრობს უშველებელი კატა, რომელიც მედიდური ღვთაებასავით გრთავს მოფერების ნებას. შევიდა. კატა იქ იწვა, ეძინა. დალმანმა ფინჯანი ყავა შეუკვთა (ეს სიამოვნება კლინიკაში აკრძალული ჰქონდა), აუჩქარებლად ჩააგდო შაქარი, გასინჯა და კატას შავ ბეწვზე ხელს რომ უსვამდა, გაიფიქრა, რამდენად ილუზორულია ეს ურთიერთობა, ისინი ხომ თითქოს შუშით არიან გაყოფილნი, რამეთუ ადამიანი დროში ცხოვრობს, მოვლენების რიგში, ზღაპრული ცხოველი კი – იმწუთობრობაში, წამის მარადიულობაში.

ბოლოსწინა პლატფორმის მთელ სიგრძეზე მატარებელი გაჭიმულიყო. რამდენიმე ვაგონის გავლის შემდეგ დალმანმა თითქმის ცარიელი ამოარჩია. ჩემოდანი ბადეზე შემოდო. როცა მატარებელი დაიძრა, ჩემოდანი გახსნა და მცირე ყოყმანით „ათას

ერთი ღამის“ პირველი ტომი ამოიღო. მის თავს დამტყდარ უბედურებასთან ასე დაკავშირებული წიგნის თან წაღება რომ გაბედა, ეს იმის ნიშანი იყო, რომ უბედურებები დამთავრდა, ეს შემუსრული ბოროტი ძალების სახალისო საიდუმლო გამოწვევა იყო.

გზის აქეთ-იქით ქალაქი გარეუბნებად იფანტებოდა; ეს სურათი, მათ მერე ბალები და აგარაკები დალმანს კითხვის დაწყების საშუალებას არ აძლევდა. ცდილობდა წაეკითხა, მაგრამ ამაოდ; ანდამატის მთა და ჯინი, რომელმაც თავისი კეთილისმყოფელის მოკვლა დაიფიცა, უთუოდ ჯადოსნური იყო, იმაზე მეტად არა, ვიდრე ეს დილა და თვით არსებობა. ბედნიერება არ აძლევდა საშუალებას, შეჰკერეზადასთვის მიეპყრო ყურადღება, მისი ამაო სასწაულებით; დალმანმა წიგნი დახურა და უბრალოდ ცხოვრება განაგრძო.

სადილმა (ბულიონით, რომელიც ელვარე ლითონის ჯამით მოართვეს, როგორც შორეული არდადეგების დღეებში) კიდევ ერთი წყნარი, მადლიერების გამომწვევი კმაყოფილება მოუტანა.

ხვალ მამულში გავიღვიძებ, გაიფიქრა; თავი ერთდროულად თითქოს ორ ადამიანად იგრძნო: ერთი წინ მიემართებოდა ამ შემოდგომის დღეს, მშობლიურ არემარეში, მეორე კი დამამცირებელ წყენას განიცდიდა, შესანიშნავად მოფიქრებულ ტყვეობაში მყოფი. მის წინ მოუპირკეთებელი აგურის სახლები ელავდნენ, კუთხეებგამოწეულნი, მუდმივად მქროლავ მატარებლებს რომ მისჩერებოდნენ, ხვდებოდა მხედრები მოუკიწყლავ გზებზე, ერთმანეთს ცვლიდა ხეობები, ტბორები და ჯოგები, მიცურავდნენ გრძელი ნათელი ღრუბლები, რომლებიც მარმარილოსას ჰგავდნენ, და ეს ყველაფერი თითქოს არსაიდან ჩნდებოდა და სიზმარს ჰგავდა, მდელოზე ზმანებულს. ნათესები და ხეები ნაცნობი ეჩვენებოდა, თუმცა სახელწოდებები არ ახსოვდა, სოფლური ცხოვრების შესახებ მისი წარმოდგენა ხომ ძირითადად ნოსტალგიური და ლიტერატურული იყო.

როცა იძინებდა, მის სიზმრებშიც იგრძნობოდა მატარებლის მოძრაობა. შუა დღის თვალის მომჭრელად თეთრი მზე საღამოს წინ ყვითლად გადაიქცა და წითლად ქცევას აპირებდა. ვაგონიც არ იყო ისეთი, როგორც კონსტიტუსიონის სადგურზე, როცა პლატფორმას სცდებოდა: ვაგონებს შორის გამძვრალმა ველებმა და დრომ ის გარდაქმნა. მატარებელს ჩრდილი მოსდევდა, ჰორიზონტამდე იჭიმებოდა. მიწის პირველყოფილობას არ არღვევდა არც დასახლებები, არც ადამიანის ყოფნის სხვა რაიმე კვალი. ყველაფერი იყო უშველებელი, თუმცა იმავდროულად ახლობელი და რაღაც იდუმალი. გაშლილ სივრცეებზე აქა-იქ რომელიმე ხარი გამოჩნდებოდა. მარტოობა სრული და შესაძლოა, მტრულიც კი იყო და დალმანი ისეთმა განცდამ შეიპყრო, თითქოს არა მხოლოდ სამხრეთში მოგზაურობდა, არამედ წარსულშიც. ამ ფანტასტიკური ფიქრებიდან კონტროლიორმა გამოარკვია, რომელმაც ბილეთის შემოწმების შემდეგ გააფრთხილა, რომ მატარებელი ჩვეულებისამებრ კი არ

ჩერდებოდა იმ სადგურზე, არამედ იმის წინ, დალმანისთვის ძლივს ნაცნობზე (კონტროლიორმა ახსნა დაუწყო, რომლის არც გაგება და არც მოსმენა არ უცდია დალმანს, რადგან მოვლენათა მექანიზმი საერთოდ არ აინტერესებდა).

მატარებელი ძნელად გაჩერდა, თითქმის მინდვრის შუაში. გზის მეორე მხარეს სადგური იყო: ბაქანი, ფაცხა და კიდევ მგონი რაღაც. არავითარი ეკიპაჟი არ დახვედრია, თუმცა სადგურის უფროსმა თქვა, რომ მისი დაქირავება ალბათ შეიძლებოდა მაღაზიაში, აქედან კილომეტრ-ნახევარში.

დალმანმა ეს გზა ისე აღიქვა, როგორც მცირე თავგადასავალი. მზე უკვე მიეფარა თვალს, მხოლოდ უკანასკნელი შემორჩენილი სხივები ანათებდნენ ჩაწყნარებულ, თუმცა კი სიცოცხლით სავსე ხეობას, სანამ ღამე არ დადგა. დალმანი ნელა მიდიოდა. დადღის არ ეშინოდა, უბრალოდ სურდა სეირნობის სიხარული ეგრძნო. გარშემო სამყურების სუნი იდგა და სრული ბედნიერების განცდა ეუფლებოდა.

ერთ დროს ალმასენი სისხლისფრად ელავდა, თუმცა წლებს მის სასარგებლოდ შეერბილებინა გამგძირავი ფერი. შენობის ღარიბულ არქიტექტურაში დალმანს რაღაცამ გაახსენა გრავიურა, მგონი, „პოლი და ვირჟინის“ ძველი გამოცემიდან. გალავანთან რამდენიმე ცხენი იყო დაბმული. შიგნით შესულ დალმანს მოეჩვენა, რომ მასპინძელს იცნობდა, მერე მიხვდა, რომ საავადმყოფოს რომელიღაც თანამშრომელთან მისმა მსგავსებამ მოატყუა. სახლის მეპატრონემ მოუსმინა საქმის არსს და დაჰპირდა საფოსტო ეტლი შეება. დღე კიდევ ერთი შეგრძნებით რომ გაემდიდრებინა, დალმანმა გადაწყვიტა იქვე, ალმასენში ევახშმა.

ერთ-ერთ მაგიდას ბიჭები უსხდნენ, ხმაურიანი ჭამა-სმა ჰქონდათ გაჩაღებული. დალმანს თავდაპირველად არ მიუქცევია მათთვის ყურადღება. იატაკზე, დახლოთან ახლოს, უძრავად, მკვდარივით იჯდა მოხუცი კაცი, წლებს გაელიათ და გაეცრიცათ, როგორც წყალს ქვა ან ადამიანთა თაობებს ბრძნული ფრაზა. მუქკანიანი, გამხმარი, პატარა ნაკვთებით, თითქოს დროის მიღმა იყო, მარადიულობაში. დალმანი სიამოვნებით უმზერდა თავზე სახვევს, რბილბეწვიან პონჩოს, ცხენის ტყავის ჩექმებს და იხსენებდა ფუჰ საუბრებს ჩრდილოეთის ან ენტრე-რიოსის რაიონების მცხოვრებლებთან იმის შესახებ, რომ ასეთ გაუჩოებს[4] ახლა ვერსად იპოვიდით, სამხრეთის გარდა.

დალმანი ფანჯარასთან მოეწყო. სიბნელე ედებოდა ფერდობს, მაგრამ მისი სურნელება და ხმაური რკინის ხლართებში ჯერ კიდევ აღწევდა.

მეპატრონემ სარდინები მიართვა, მერე – შემწვარი ხორცი. დალმანი წითელ ღვინოს აყოლებდა კერძებს. სიამოვნებით გრძნობდა პირში ოდნავ მწარე გემოს, ზანტად მოავლო თვალი ოთახს. კოჭიდან ნავთის ლამპა იყო გადმოკიდებული. მეორე მაგიდას სამი კაცი უჯდა: ორნი ფერმის მოჯამაგირეებს ჰგავდნენ, მესამე, მოუხეშავი, ოდნავ მონღოლოიდური ნაკვთებით, ქუდის მოუხდელად იჯდა და სვამდა. უცებ

დალმანმა იგრძნო, რაღაც მსუბუქი როგორ გადმოვარდა მისი ლოყის გასწვრივ. ჩვეულებრივი გამჭვირვალე მწვანე ჭიქის გვერდით, გადასაფარებლის ერთ-ერთ ზოლზე პურის პატარა ნამცეცი ეგდო. სულ რაღაც, თუმცა ვიღაცამ ხომ გადმოაგდო.

მეორე მაგიდასთან მსხდომთ, ჩანდა, ამასთან არავითარი კავშირი არ ჰქონდათ. დაბნეულმა დალმანმა გადაწყვიტა ისე მოქცეულიყო, თითქოს არაფერიც არ მომხდარა და „ათას ერთი ღამის“ ტომი გახსნა, სინამდვილისგან გამიჯვნის ერთგვარი მეთოდი გამოიყენა. რამდენიმე წუთში კიდევ ერთი ნამცეცი მოხვდა, ამჯერად მოჯამაგირეები ახარხარდნენ. დალმანმა საკუთარ თავს ჩააგონა, რომ არ ეშინოდა, თუმცა სისულელე იქნებოდა, ჯერ კიდევ ბოლომდე გამოჯანმრთელებამდე საექვო ჩხუბში ჩართულიყო. წასასვლელად მოემზადა და უკვე ფეხზე წამოდგა, რომ მეპატრონე მიუახლოვდა და შემოფოთებული ხმით დაუწყო დამშვიდება:

– სენიორ დალმან, ნუ მიაქცევთ ბიჭებს ყურადღებას, ცოტა ზედმეტი დალიეს...

დალმანს არ ეუცნაურა, რომ ეს ადამიანი მას სახელით მიმართავდა, თუმცა იგრძნო, რომ შემრიგებლურმა სიტყვებმა საქმე კიდევ უფრო გააუარესა. ამ მომენტამდე მოჯამაგირეების ბრიყვული გამოხტომა შემთხვევით ადამიანს, არსებითად, არავის ეხებოდა, ახლა კი აღმოჩნდა, რომ პირადად მის წინააღმდეგ იყო მიმართული და ეს შეიძლებოდა მეზობლებისთვისაც გამხდარიყო ცხადი.

დალმანმა მეპატრონე გვერდზე გასწია, მოჯამაგირეებს მიუბრუნდა და ჰკითხა, რა უნდოდათ.

წვრილთვალება, ოდნავ ელამი ბიჭი ყანყალით ადგა. დალმანისგან ორ ნაბიჯში მდგარმა ისე დაიწყო ხმამაღალი ლანძღვა-გინება, თითქოს ეშინოდა, რომ კარგად ვერ გაიგონებდნენ. უნდოდა უფრო მთვრალი გამოჩენილიყო, ვიდრე სინამდვილეში იყო, და ამაში დაუნდობლობა და დაცინვა იმალებოდა. ლანძღვა და შეურაცხყოფა არ შეუწყვეტია, გრძელი დანა აისროლა, ჰაერშივე დაიჭირა და დალმანი საჩხუბრად გამოიწვია. მეპატრონემ აკანკალებული ხმით შენიშნა, რომ დალმანი არ იყო შეიარაღებული. ამ მომენტში რაღაც მოულოდნელი მოხდა.

კუთხეში გარინდულმა მოხუცმა გაუჩომ, რომელიც დალმანს სამხრეთის სიმბოლოდ მოეჩვენა (მისი სამხრეთის), ფეხებში დაშნა დაუგდო. თითქოს თვით სამხრეთმა გადაწყვიტა, რომ დალმანს გამოწვევა უნდა მიეღო. დაშნის ასაღებად დახრილი ორ რამეს მიხვდა: ჯერ ერთი, რომ ეს თითქმის არაუნებური მოძრაობა მას ჩხუბს ავალდებულებდა. მეორე, რომ იარაღი მის მოუქნელ ხელში მის დასაცავად კი არა, მისი მკვლელის სასარგებლოდ იმოქმედებდა. ოდესღაც ადრე, ისიც, როგორც ყველა ჭაბუკი, დანებით იყო გატაცებული, თუმცა მისი ცოდნა იმაზე შორს არ წასულა, რომ დარტყმა ქვემოდან ზემოთ უნდა მიაყენო, დანა კი ალესილი მხრით ქვემოთ უნდა გეჭიროს. საავადმყოფოში არ დაუშვებდნენ, რომ მე ეს დამმართნოდა, გაიფიქრა დალმანმა.

– წამოდი ეზოში, – უთხრა ბიჭმა.

გავიდნენ. დალმანი – უიმედოდ, თუმცაღა უშიშრადაც. ზღურბლს რომ აბიჯებდა, გაიფიქრა, რომ ღია ცის ქვეშ დანით ჩხუბში წამიერად სიკვდილი იმ პირველ ღამეს, საავადმყოფოში, როცა ნემსი უჩხვლიტეს, მისთვის იქნებოდა გათავისუფლება, ბედნიერება და ზეიმი. იგრძნო, მაშინ რომ შესძლებოდა საკუთარი თავისთვის სიკვდილის არჩევა ან მოფიქრება, აირჩევდა ან მოიფიქრებდა სწორედ ასეთს.

დალმანი ხელს უჭერს დანას, რომლის გამოყენებაც საეჭვოა შეძლოს და მინდორში გადის.

კაცი ვარდისფერი კაფედან

მაშ თქვენ გსურთ გაიგოთ განსვენებული ფრანცისკო რეალეს შესახებ. ეს დიდი ხნის წინ იყო. თავის მხარეში არ შევხვედრივარ – ის ხომ ჩვეულებისამებრ ჩრდილოეთში დახეტიალობდა, სადაც გუადალუპესა და ბატერიას ტბებია. სულ სამჯერ შევხვედრივარ, ისიც ერთ ღამეს, მაგრამ ის ღამე არასდროს დამავიწყდება, იმიტომ რომ მაშინ მოვიდა ჩემს რანჩოში ჩემთან საცხოვრებლად ლუხანერა, როსენდო ხუარესმა კი სამუდამოდ დატოვა აროჟო. რასაკავირველია, არ გეცოდინებათ ეს სახელი. როსენდო ხუარესი, მეტსახელად ცოდვილი, ჩვენს დასახლება სანტა რიტაში მთავარ კაცად ითვლებოდა. დანას ოსტატურად ფლობდა და დონ ნიკოლას პარედესს[5] ერთ-ერთი კაცი იყო, რომელიც მორელს ემსახურებოდა[6].

კილომბოში[7] უყვარდა შეწოწიალება, იქ თავისი შავი რაშით გამოცხადდებოდა ხოლმე, რომელიც ვერცხლისფრად ჰყავდა მორთული. მამაკაცები და ძაღლები პატივს სცემდნენ, ასევე ქალები. ყველამ იცოდა, რომ მის ანგარიშზე უკვე ორი მოკლული იყო. თავის გაზეთილ ქოჩორზე ვიწროველიან მაღალ შლაპას წამოიმხობდა ხოლმე. როგორც ამბობდნენ, ბედის ნებიერა იყო. ჩვენ, ამავე დასახლების ბიჭებს, თვალში რომ ჩაგვარდნოდა, ხელს არ ამოვისვამდით, ეგ კი არა, მასავით ვაფურთხებდით – კბილებით. ჰოდა, ერთადერთმა ღამემ აჩვენა, როგორი იყო როსენდო საქმეში.

დამიჯერეთ – ყველაფერი იმ საზარელ ღამეს აირია, წითელ ბორბლებზე შემდგარი საძაგელი ფურგონის ჩამოსვლის შემდეგ, რომელიც ხალხით იყო გამემგილი. ჩვენს მოუკირწლავ შუკვებში ძლივს მიჯაყყაყებდა, ღუმელებს შორის, რომლებსაც თიხის გამოსაწვავი შავი ხვრელები „ამშვენებდა“. ორნი, შავებში ჩაცმულნი, გიჟბივით გაჰკიოდნენ გიტარების თანხლებით, ხოლო კოფოზე წამოსკუპებული მათრახს უქნევდა ძაღლებს, ცხენს რომ ასდევნებოდნენ; შუაში მდუმარე კაცი იჯდა, პონჩოში თავჩარგული. ეს მჭრელი იყო, მას ყველა იცნობდა, ის საჩხუბრად და მოსაკლავად დადიოდა. კიდევ ორი ჩამოსული წყნარად იწვა უკან, ფურგონის გადაკეცილ

ტილოზე, თითქოს მარტოობა აჰკიდებოდა ამ ბალაგანს, ასეთი იყო პირველი მოვლენა მათგან, რაც ჩვენ გველოდა, თუმცა ამის შესახებ მოგვიანებით გავიგეთ. ადგილობრივი ბიჭები უკვე რა ხანია შეჯგუფულიყვნენ ხულიას სალონში – დიდ თუთიის ბარაკში, რომელიც გუანოს გზისა და მალდონადოს მდინარის გასაყარზეა. ამ დაწესებულებას ნებისმიერი გაარჩევდა შუქით, რომელსაც დიდი ფანარი ავრცელებდა, და ასევე ხმაურით. მართალია, საქმე მოკრძალებულად იყო აწყობილი, ხულია – ბეჯითი და შრომისმოყვარე – იქ ცეკვებს აწყობდა მუსიკით, სპირტიან სასმელს ყიდდა და ყველა გოგონა სიხარულით ცეკვავდა. თუმცა ლუხანერა, რომელიც როსენდო ხუარესის კუთვნილება იყო, მათ ვერც შეედრებოდა. ის უკვე გარდაიცვალა, სენიორ, და ხდება ხოლმე, წლობით არ მახსენდება, მაგრამ თავის დროზე უნდა გენახათ – მარტო თვალები რად ღირდა. დაინახავდი და ძილი აღარ მოგეკარებოდა.

ანია[8], მილონგა[9], ქალები, როსენდოს გამამხნევებელი უხამსი საუბარი და მხარზე ხელის დარტყმა, რომელშიც მსურდა მეგობრობის გამოხატულება დამენახა – ერთი სიტყვით, ბედნიერების ზღვარზე ვიყავი. საცეკვაოდ სათუთი პარტნიორი მერგო – ჩემს თითოეულ მოძრაობას ცნობდა. ტანგო ყველაფერს გვიკეთებდა, რაც სურდა – გვახტუნავებდა, გვათრობდა, ერთმანეთს გვაშორებდა და ისევ გვაახლოებდა. ყველა ცეკვაში ჩაეფლო, როგორც რომელიღაც სიზმარში, მაგრამ უცებ მომეჩვენა, რომ მუსიკამ უფრო ხმამაღლა გაიჟღერა – მოახლოებული ფურგონიდან გიტარების ხმები აირია მასში. მერე ქარი, რომელსაც ბლავილის ხმა მოჰქონდა ჩვენამდე, ჩაწყნარდა და მე ისევ საკუთარ სხეულს დავემორჩილე, და ჩემი მეგობარი გოგონას სხეულს, და ცეკვის ნებასურვილს. თუმცა მალე კარზე ძლიერი კაკუნის ხმა გაისმა და მტკიცე ხმამ გაღება ბრძანა. მერე – სიჩუმე, გამოღებული კარის ხმა და აი, კაცი უკვე შენობაში იყო. თავის ხმას ჰგავდა. ჩვენთვის ის ჯერ კიდევ არ იყო ფრანცისკო რეალი, არამედ მაღალი და ბრგე კაცი, მთლად შავებში ჩაცმული, კისერზე გადაგებული ღია ყავისფერი შარფით. წაწვეტებულყვრიმალებიანი სახით, მახსოვს, ინდიელს წააგავდა.

როცა კარი გაიღო, მე მომხვდა. უკუვიქეცი და მაშინვე უნებურად ვეცი მას მარცხენა ხელით სახეში, მარჯვენით კი დანას დავწვდი, რომელიც ჟილეტში მქონდა შენახული. თუმცა დიდხანს არ მიბრძოლია. ახალმოსულმა მაშინვე მიმახვედრა, რომ ხელწამოსაკრავი ვინმე არ იყო: წამში წინ გამოიშვირა ხელები და ფეხებში გაბლანდული ლეკვივით მომისროლა. ასევე დავრჩი იატაკზე მჯდომარე, ხელები ჟილეტის უკან ჩამემალა, უსარგებლო იარაღის ტარს ჩაფრენილს. მან კი ვითომ არაფერიაო, გზა განაგრძო. მიდიოდა და ყველა იმაზე მაღალი იყო, ვისაც განზე სწევდა, თითქოს მათ ვერც ხედავდა. წინა რიგში მდგარი იტალიელები მარაოსავით გაიშალნენ მის წინ. შემდეგ რიგებში უკვე მზადყოფნაში იდგა ინგლისელი და სანამ უცნობი მას გვერდზე გადასწევდა, დანა მოუქნია. საკმარისი იყო ეს დარტყმა, რომ ყველამ ხელები მოიმარჯვა. ოთახი სიგრძეში ოციოდე მეტრი იქნებოდა და უცნობი თითქმის წამში გაათრიეს: ურტყამდნენ, აფურთხებდნენ, უსტვენდნენ, ერთი ბოლოდან მეორე ბოლომდე. თავიდან წიხლებს უშენდნენ, მერე, ნახეს რა, რომ

ხურდას არ უბრუნებდა, უბრალოდ ხელისგულით დაუწყეს სილების გაწვნა ან შარფის ცემა, თითქოს დასცინოდნენ. და კიდევ, თითქოსდა ინახავდნენ მას როსენდოსთვის, რომელიც რატომღაც ადგილიდან არ იძროდა და მდუმარედ იდგა, ბარაკის უკანა კედელს ზურგით მიყრდნობილი. ნაჩქარევად ეწეოდა სიგარეტს, თითქოს უკვე ხედავდა იმას, რაც ჩვენთვის მოგვიანებით გახდა ცხადი. მჭრელი, გასისხლული და გარინდული, მასთან ტალღასავით გადაისროლა ხალხის ბრბომ. ნასტვენმა, ნაფურთხმა, ნაცემმა მაშინდა დაიწყო ლაპარაკი, როცა თვალწინ როსენდო წარმოუდგა. მიაჩერდა, ხელით მოიწმინდა სახე და თქვა:

– მე ფრანსისკო რეალი ვარ, ჩრდილოეთიდან მოვედი. მე ფრანსისკო რეალი ვარ, მეტსახელად მჭრელი. ამ ძაღლის ლეკვებთან არ მაქვს საქმე, ვითომ რომ მაშინებენ, მე კაცი უნდა ვიპოვო. ხმები დადის, რომ თქვენს მხარეში მამაცი დანებით მეზრძოლი ცხოვრობს, დამღუპველი, მას ხალხი ცოდვილს ეძახის. მინდა მას შევხვდე და ვთხოვო დამიმტკიცოს, მე, უხელოს, რას ნიშნავს ოსტატი და მამაცი.

როსენდო ხუარესისთვის თვალმოუცილებლად თქვა ეს სიტყვები. ახლა მის მარჯვენა ხელში დიდი დანა ელვარებდა, რომელიც ალბათ სახელოში ჰქონდა დამალული. ვინც მას ერჩოდა, უკან დაიხია და კაცების გარშემო წრე შეკრეს, ყველანი მდუმარედ შევეყურებდით ორივეს. ვიოლინოს მოწრიპინე უსინათლო მულატის სიფათიც კი შიშმა გარინდა.

უცებ გავიგონე, რომ უკან ხალხი აწრიალდა და კარის ჭრილში ექვსი თუ შვიდი კაცი გამოჩნდა – მჭრელის თანმხლებნი. ყველაზე ხანდაზმულმა, ერთი შეხედვით გლეხკაცს რომ ჰგავდა, ჭაღარა უღვაშითა და გარუჯული კანით, წინ გადმოაბიჯა. მერე თითქოს შეცბა ამდენი ქალისა და ამდენი შუქის დანახვაზე და მოწიწებით მოიხადა ქუდი. სხვები ფრთხილად იცდიდნენ, მზად იყვნენ ჩხუბში ჩართულიყვნენ, თუ უსუფთაო თამაში წავიდოდა.

რა მოუვიდა როსენდოს, რატომ არ ურტყამს, რატომ არ გასრესს ამ გაბღენძილ თავხედს? ის კი დუმდა, არც კი უყურებდა. სიგარეტი, არ ვიცი, გადმოაფურთხა თუ თვითონ გადმოუვარდა ტუჩებიდან. ბოლოს და ბოლოს რამდენიმე სიტყვა ამოთქვა, მაგრამ ისე ჩუმად, რომ სალონის იმ მხარეს ვერავინ გაიგო, რა თქვა. ფრანსისკო რეალი იწვევდა, ის კი უკან იხევდა. უცებ ერთ-ერთმა უცნობმა ბიჭმა დაუსტვინა. ლუხანერამ მას ღვარძლიანად შეხედა, ნაწნავი გაიქნია და ხალხის ბრბო გაიარა. თავის კაცთან მიდიოდა, მკერდში შეუცურა ხელი, დანა გამოიღო და შემდეგი სიტყვებით მიაწოდა:

– როსენდო, მე მჯერა, რომ მალე დააოკებ მას.

ჭერის ქვემოთ ფანჯრის ნაცვლად ფართო გრძელი ნაპრალი იყო, რომელიც პირდაპირ მდინარეს გაჰყურებდა. როსენდომ ორივე ხელით გამოართვა დანა და

დახედა მას, თითქოს ვერ იცნო. უცებ გაიმართა, უკან დაიხია და დანა ნაპრალში გაფრინდა, მალდონადის მდინარეში დაიკარგა. თითქოს ცივი წყალი გადამასხეს.

– გული მერევა შენს გაფატვრაზე, – თქვა მჭრელმა და მოიმართა, რომ როსენდოსთვის დაერტყა. თუმცა ლუხანერამ გააჩერა, კისერზე ხელები შემოხვია, თავისი ჯადოსნური თვალებით შეხედა და ბრაზით უთხრა:

– მოეშვი, ის ხომ კაცი არ არის, ყველას გვატყუებდა.

ფრანსისკო რეალი გაშეშდა, შეეყოყმანდა, მერე მოეხვია – თითქოსდა სამარადქამოდ – და მუსიკოსებს უბრძანა მილონგა და ტანგო დაეკრათ, ყველა დანარჩენს კი – ეცეკვათ, მილონგამ, სტეპების ხანძრის ალმა ბარაკი მოიცვა, ერთი ბოლოდან მეორე ბოლომდე. რეალი გულმოდგინედ ცეკვავდა, მაგრამ გზნების გარეშე – ქალი ხომ უკვე მიიღო. როცა კართან აღმოჩნდნენ, დაიძახა – გამხიარულდით, სენიორებო, ის მხოლოდ ჩემთან ცეკვავს!

თქვა და გავიდნენ, ლოყამიდებულები, თითქოსდა ტანგოთი მთვრალნი, თითქოს ტანგომ გააბრუა ისინი.

სირცხვილისგან დამცხა. კიდევ რამდენიმე წრე წავიცეკვე ჩემს გოგონასთან ერთად და მივატოვე. თავი მოვაჩვენე, ჰაერი არ მყოფნის-მეთქი და კედლის გასწვრივ გასასვლელისკენ გავჩოჩდი. კარგია ეს ღამე, მაგრამ ვისთვის? კუთხეში ცარიელი ფურგონი იდგა, ორი ობოლი გიტარისტით კოფოზე. ნალველი შემომაწვა მათ დანახვაზე, მიტოვებულების, თითქოს ჩვენც არაფრად ვვარგოდით. და სიბრაზე დამეუფლა იმის გაფიქრებაზე, რომ ჩვენ არავინ და არაფერი ვართ. ყურში გაჩრილ მიხაკს დავწვდი, ტბორში ჩავაგდე და ერთი წუთი დავყურებდი, რომ არაფერზე მეფიქრა. მინდოდა უკვე ხვალინდელ დღეში აღმოვჩენილიყავი, მინდოდა ამ ღამისთვის თავი დამეღწია. ვიღაცამ იდაყვი გამკრა, გულზეც კი მომეშვა ამისგან. როსენდო იყო. მარტო მიდიოდა დასახლებიდან.

– სულ ფეხებში მებლანდები, არამზადავ, – მომძახა გავლისას. არ ვიცი, უნდოდა სული მოეთქვა თუ ისე, უბრალოდ. სიბნელეში, მალდონადოს მდინარისკენ გაემშურა. მეტი აღარ მინახავს.

ვიდექი და ვუყურებდი იმას, რაც მთელი ჩემი ცხოვრება იყო – ცას, უშველებელს, უკიდევანოს; მდინარეს, იქ, ქვემოთ რომ მოჩქეფდა, მარტოკა; მძინარე ცხენს, მოუკირწყლავ ქუჩას, თიხის გამოსაწვავ ღუმლებს და გავიფიქრე: ალბათ მე სარეველა ბალახი ვარ, რომელიც ნაგავსაყრელზე ამობიზინდა, „ბაყაყის ყვავილთან“. ან რა უნდა გაზრდილიყო ამ სიბინძურეში, ჩვენ გარდა, თავცარიელი ლაქლაქების, რომლებიც ძლიერის წინაშე ლაჩრებად ვიქცევით... მხოლოდ და მხოლოდ ბრიყვი ჩხუბისთავეები. და მაშინვე გავიფიქრე: არა, რაც მეტად ამათრახებენ ჩვენებს, მით უფრო მამაცები უნდა ვიყოთ. ჩვენ ჭუჭყი ვართ? მაშ დაე გვატრიალოს მილონგამ და გაგვაბრუოს სასმელმა, ქარმა კი ცხრატყავას სუნი ათრიოს აქეთ-იქით. ტყუილად იყო

ეს დამე კარგი. ცა ვარსკვლავებით იყო მოჭედული, თვლა არ ჰქონდა – ერთნი მეორის თავზე – თავბრუ დაგეხვეოდა. ვცდილობდი დავმშვიდებულიყავი, ვამბობდი, რომ ჩემთან არანაირი კავშირი არ ჰქონდა მომხდარს, მაგრამ როსენდოს სილაჩრემ და უცნობის მოუთმენელმა სიმამაცემ მეტისმეტად დამისერა გული. ამ აყლაყულდამ საუკეთესო ქალის ერთი ღამით მოხსნაც კი შეძლო. ამ ღამითაც და კიდევ ბევრითაც, ან იქნებ სამუდამოდაც, ლუხანერა ხომ სერიოზული საქმეა. ღმერთმა იცის, სად გაუჩინარდნენ. შორს ვერ წავიდოდნენ. ალბათ უახლოეს ხრამთან ალერსობენ.

როცა ბოლოს და ბოლოს დავბრუნდი, ყველა ცეკვავდა, ვითომ არაფერიო.

ბარაკში შეუმჩნევლად შეპარული ბრბოს შევერიე. მერე დავინახე, რომ ბევრი ჩვენგანი გამქრალიყო, უცნობები კი ტანგოს ცეკვავდნენ მათთან, ვინც ჯერ კიდევ დარჩენილიყო. არავინ არავის არ ერჩოდა და მუჯღუგუნს არ სცემდა, თუმცა ყველა ფხიზლად იყო, თავაზიანობის დაცვით. მუსიკა თითქოს თვლემდა, ქალები კი ზანტად და სურვილის გარეშე ჰყვებოდნენ ტანგოს უცხო მამაკაცებთან.

მოვლენებს ველოდი, მაგრამ ისეთს არა, როგორც მოხდა.

უცებ შემოგვესმა, რომ გარეთ ქალი ტიროდა, მერე კი ხმამ, რომელსაც უკვე ვიცნობდით, ოღონდ ძალიან მშვიდმა, მეტისმეტად მშვიდმაც კი, ოდნავ მიღმიერმა, მას უთხრა:

– შემოდი, შემოდი, შვილო, – პასუხად ისევ ქვითინი გაისმა. მაშინ ხმაში სიბრაზეც გაკრთა: – გააღე, გეუბნები, კახპავ, გააღე! – ჭრიალა კარი გაიღო და ლუხანერა შემოვიდა, მარტო. ბორძიკით, თითქოს ვიღაცა უბიძგებდა.

– ვიღაცის სული უბიძგებს, – თქვა ინგლისელმა.

– არა, მეგობარო, მიცვალებული, – თქვა მჭრელმა. სახე მთვრალს მიუგავდა.

შემოვიდა და ყველანი უწინდელივით ავწრიალდით. რყევით გადადგა სამი ნაბიჯი – შემზარავად მაღალმა – და მოცელილივით დაეცა მიწაზე. ერთმა თანმხლებმა ზურგზე დააწვინა, თავქვეშ კი დახვეული შარფი დაუდო და ამ დროს ხელები სისხლით გაესვარა. დავინახეთ, რომ მწოლიარეს მკერდზე ჭრილობა ჰქონდა; სისხლი გამხმარიყო და ჭრილობა გაშავებულიყო, რაც მანამდე ვერ შევნიშნე, რადგან მუქი შარფი ფარავდა. ერთ-ერთმა ქალმა მაგარი ქსოვილი და რაღაც ნაჭრები მოიტანა, რამე რომ ეშველა. კაცს ლაპარაკის ძალა არ ჰქონდა. ლუხანერას ხელები უსუსურად ჩამოეშვა და მომაკვდავს ძალაგამოცლილი მისჩერებოდა. ყველა გოცელებული შეჰყურებდა ერთმანეთს და პასუხს ვერ პოულობდა, და მაშინ, ერთმა, ბოლოს და ბოლოს, თქვა: როცა ისინი მჭრელთან ერთად გავიდნენ, მაშინვე მინდვრისკენ აიღეს გეზი, იქ კი თითქოს ციდან ჩამოვარდაო, ვიღაც ბიჭი გამოხტა და შეშლილივით ჩაერთო ჩხუბში, დანით მიაყენა ჭრილობა და მას შეუძლია დაიფიცოს, რომ არ იცის, ვინ იყო ეს, ოღონდ როსენდო არ ყოფილა... მაგრამ ვინ დაუჯერა?

კაცი ჩვენს ფერხთით კვდებოდა. ვიფიქრე: არა, არ შემცდარა იმის ხელი, ვინც მკერდში ამგერა დანა. მაგრამ კაცი მედგარი იყო. როგორც კი ის მიწაზე დაეცა, ხულიამ მატე[10] მოხარშა. მატე წრეზე წავიდა და როცა, ბოლოს და ბოლოს, მეც მერგო ყლუპი, კაცი ჯერ კიდევ ცოცხალი იყო.

„სახეზე დამაფარეთ“, – თქვა წყნარად, რადგან ძალები უკვე გამოსცლოდა. შერჩენოდა მხოლოდ სიამაყე და არ შეემლო იმის ატანა, რომ ხალხს მისი კრუნჩხვებისთვის ეტქირა. ვილაცამ სახეზე შავი შლაპა დააფარა. შლაპის ქვეშ მოკვდა, ერთხელ არ დაუკვნესია, ისე. როცა გულმა შეწყვიტა ძგერა, ხალხმა გაბედა მისი სახის გახსნა. დაღლილი გამომეტყველება ჰქონდა, როგორც ყველა მიცვალებულს. ის ერთ-ერთი ყველაზე მამაცი ადამიანი იყო, როგორებიც იმ დროს იყვნენ, ბატერიიდან ჩრდილოეთით, უკიდურეს სამხრეთამდე. როგორც კი დავრწმუნდი, რომ მკვდარი და უტყვი იყო, მისი სიძულვილიც გამიქრა.

– იმისთვის ვცხოვრობთ, რომ მერე მოვკვდეთ, – თქვა ქალმა ბრბოში. მეორემ შეფიქრიანებულმა დასძინა:

– ნამდვილი მამაკაცი იყო, ახლა კი მხოლოდ ბუზებს სჭირდება.

აქ უცებ უცნობებმა ერთმანეთს რაღაც გადაულაპარაკეს, მერე კი ერთხმად თქვეს:

– ის ქალმა მოკლა!

ვილაცამ მას პირდაპირ სახეში მიახალა, რომ მკვლელი ის იყო და ყველამ ალყაში მოაქცია. სულ მიმავიწყდა სიფრთხილე და ელვასავით გავჩნდი მასთან. უხერხულ მდგომარეობაშიც ჩავიგდე თავი და ხალხიც გავაოცე. ვიგრძენი, რომ ბევრი მიყურებდა, თუ ყველა არა. ნირწამხდარმა დამცინავად ვიყვირე:

– ერთი მის ხელებს შეხედეთ. ნუთუ მას ეყოფა ძალა და სიმამაცე, რომ ვინმეს დანა ჩაასოს!

მერე კი ერთგვარი ყოყოჩობით დავძინე:

– ვის მოუვა თავში აზრად, რომ განსვენებული, რომელზეც ამბობენ, რომ თავის დასახლებაში ნამდვილი მკვლელი იყო, თავის სიკვდილის იპოვიდა, თანაც ასეთ სასტიკს, ჩვენს დამპალ არემარეში, სადაც არაფერი ხდება, თუ კი არ მოკლა ვილაცამ უცნობმა, კაცმა არ იცის საიდან გამომძვრალმა, რომ ჩვენ გავერთეთ და მერე გაუჩინარებულიყო?

ეს არაკი ყველას მოეწონა.

ამ დროს სიჩუმეში ცხენების ფლოქვების ხმა გავიგეთ. პოლიცია ახლოვდებოდა. ყველას ჰქონდა საფუძველი – ვის მეტი და ვის ნაკლები – რომ პოლიციასთან მეტისმეტი არ ელაქლაქა, ამიტომაც გადავწყვიტეთ, რომ ყველაზე უკეთესი იქნებოდა მკვდარი მდინარეში ჩაგვეგდო. გახსოვთ ხომ ის გრძელი ნაპრალი ზემოთ, რომელშიც

დანამ გაიქროლა? სწორედ იმ ნაპრალიდან გადავარდა მამაკაცი შავებში. ის ბევრმა ხელმა აიღო, მანამდე წვრილი ხურდებისა და მხვილი ბანკნოტებისგანაც გაათავისუფლეს ამ ხელებმა, ვიღაცამ კი თითიც მოაჭრა, რომ ბეჭედი მოეხსნა. სენიორ, მათ ერგოთ ჯილდო საბრალო მიცვალებულისგან მას მერე, რაც ის ვიღაც სხვამ – კიდევ უფრო სუფთა კაცმა მოისაკლისა. ერთი მძლავრი გასროლა და ყველაფრის მნახველმა, მჩქეფარე წყალმა მიიღო. არ ვიცი, დრო დარჩათ თუ არა, რომ ნაწლავები ამოეღოთ, ზემოთ რომ არ ამოტივტივებულიყო – ვცდილობდი მისთვის არ შემეხედა. მოხუცი ჭადარა უღვაშით თვალს არ მაშორებდა. ლუხანერამ არეულობით ისარგებლა და გაიქცა.

როცა ხელისუფლების წარმომადგენლებმა შემოყვეს ცხვირი, ყველანი ისევ ვცეკვავდით. უსინათლო მევიოლინემ ისეთი ხაზანერები გაიხსენა, ახლა რომ ვერსად გაიგონებ. ცას ალიონი ეპარებოდა.

მშვიდად გავეშურე ჩემი რანჩოსკენ, რომელიც იქვე ახლოს იდგა. უცებ ვხედავ – ფანჯარაში შუქია, რომელიც მალევე ჩაქრა. ღმერთს ვფიცავ, როგორც კი მივხვდი, ვინ მელოდა იქ, ფეხქვეშ მიწა ვედარ ვიგრძენი. ჰოდა მაშინ, ბორხეს, მაშინ ისევ ამოვიღე ჩემი ბასრი მოკლე დანა, რომელიც აი აქ, მარცხენა სახელოში მქონდა დამალული და ისევ შევაველე თვალი, ახალივით იყო, სუფთა, ერთი ლაქაც კი არ ჰქონდა ზედ.

პარაცელსიუსის ვარდი

ლაბორატორიაში, რომელსაც მთელი სარდაფი ეკავა, პარაცელსიუსი[11] შესთხოვდა თავის ღმერთს, ღმერთს ზოგადად, ღმერთს სულ ერთია რომელს, რომ მას მისთვის მოწაფე გაეგზავნა. ბინდდებოდა. ბუხრის სუსტი შუქი მქრქალ ჩრდილებს სცემდა. წამოდგომისა და რკინის სანათურის ანთების ძალა არ ჰქონდა. პარაცელსიუსი დაღლილობამ გათანგა და თავისი ვედრებაც დაავიწყდა. დამეს უკვე წაეშალა დამტვერილი კოლბებისა და გამოსახდელი ჭურჭლის მოხაზულობები, როცა კარზე კაკუნი გაისმა.

ნახევრად მძინარე მასპინძელი ადგა, მაღალი დახრახნილი კიბე აიარა და კარი გამოაღო. სახლში უცნობი შემოვიდა. ისიც ძალიან დაღლილი ჩანდა. პარაცელსიუსმა სკამისკენ მიუთითა; შემოსული დაჯდა და მოლოდინში გაირინდა. მცირე ხანს ორივენი დუმდნენ.

პირველი მასწავლებელი ალაპარაკდა.

– სახის აღმოსავლური და დასავლური ნაკვეთები ჩემთვის ცნობილია, – სიამაყის გარეშე როდი თქვა მან, – თუმცა შენი სახის ნაკვეთები არ მეცნობა. ვინ ხარ და რას მოელო ჩემგან?

– ჩემს სახელს არ აქვს მნიშვნელობა, – უპასუხა შემოსულმა, – სამი დღე და ღამე ვიყავი გზაში, სანამ შენს სახლს მოვალწევდი. მინდა შენი მოწაფე გავხდე. ყველაფერი წამოვიღე, რაც გამაჩნია.

აბგა ჩამოიღო და მაგიდის ქვეშ გადმოაპირქვა. ოქროს მონეტები იყო, ძალიან ბევრი. ეს მარჯვენა ხელით გააკეთა,

პარაცელსიუსი განზე გადგა, რომ სანათური აენთო. უკან დაბრუნებულმა დაინახა, რომ შემოსულს მარცხენა ხელში ვარდი ეჭირა. ვარდმა ის ააღელვა.

მოხერხებულად ჩამოჯდა, თითები გადააჯვარედინა და თქვა:

– შენ იმედი გაქვს, რომ მე შევძლებ შევექმნა ქვა, რომელსაც ძალუმს ოქროდ გადააქციოს ყველა ბუნებრივი ელემენტი და ოქროს მთავაზობ. მაგრამ მე ოქროს არ ვეძებ, თუ შენ ოქრო გაინტერესებს, ვერასდროს იქნები ჩემი შეგირდი.

– ოქრო არ მაინტერესებს, – უპასუხა შემოსულმა, – ეს მონეტები მხოლოდ და მხოლოდ იმის დასტურია, რომ მზად ვარ ვიმუშაო. მინდა, რომ მეცნიერება მასწავლო. მინდა შენთან ერთად გავიარო ქვისკენ მიმავალი გზა.

პარაცელსიუსმა მშვიდად თქვა:

– გზა არის სწორედ ქვა. ადგილი, საითაც მიდიხარ – არის სწორედ ქვა. თუ ეს სიტყვები არ გესმის, მაშინ ჯერ არაფერი არ გესმის. თითოეული ნაბიჯი მიზანია.

შემოსული უნდობლად უყურებდა. მერე მკაფიოდ წარმოთქვა:

– მაშ, მიზანი მაინც არსებობს?

პარაცელსიუსს გაეცინა.

– ჩემი ცილისმწამებლები, რომლებიც ისევე მრავალრიცხოვანნი არიან, როგორც არაშორეულნი, ირწმუნებიან, რომ არა, და მე ცრუპენტელასაც მეძახიან. მე ამ საკითხზე სხვა აზრი მაქვს, თუმცა ისიც დასაშვებია, რომ მე მართლაც ილუზიებით ვიკვებები. მე მხოლოდ ის ვიცი, რომ არის გზა.

სიჩუმე ჩამოწვა, რომელიც მოგვიანებით შემოსულმა დაარღვია:

– მზად ვარ ის შენთან ერთად გავიარო; თუ საჭირო იქნება – ამას წლებსაც შევალევ. ნება მომეცი უდაბნო გადავლახო. ნება მომეცი, თუნდაც შორიდან შევავლო თვალი აღთქმულ მიწას, თუნდაც არ მეღირსოს მასზე ფეხის დადგმა. მაგრამ სანამ გზას შევუდგებოდეთ, შენი ოსტატობის თუნდაც ერთი დასტური მომეცი.

– როდის? – შეშფოთებულმა თქვა პარაცელსიუსმა.

– ახლავე, – მოულოდნელი სიმტკიცით უპასუხა მოწაფემ.

თავდაპირველად ლათინურად ლაპარაკობდნენ, ახლა – გერმანულად.

ჭაბუკმა ვარდი ასწია.

– ამბობენ, რომ შენ შეგიძლია, შენი მეცნიერებით შეიარაღებულს, ვარდი დაწვა და მერე ფერფლიდან აღადგინო. ნება მომეცი ამ სასწაულის მოწმე გავხდე. აი, რას გთხოვ და მაშინ მთელ ჩემს ცხოვრებას მოგიძღვნი.

– მეტისმეტად მიმნდობი ხარ, – თქვა მასწავლებელმა, – მე ნდობა არ მჭირდება. მე რწმენა მინდა.

მოსული თავის აზრზე იდგა.

– სწორედ იმიტომ, რომ უნდობელი ვარ, მსურს უშუალოდ ვიხილო ვარდის გაქრობა და აღორძინება.

პარაცელსიუსმა ვარდი ჩამოართვა და საუბრის დროს ხელში ათამაშებდა.

– შენ მიმნდობი ხარ, – გაიმეორა, – შენ ამტკიცებ, რომ მე მისი განადგურება შემიძლია?

– განადგურება ნებისმიერს შეუძლია, – უპასუხა შეგირდმა.

– ძალიან ცდები. ნუთუ ფიქრობ, რომ შესაძლებელია არყოფნასთან დაბრუნება? ნუთუ ფიქრობ, რომ ადამს სამოთხეში შეეძლო თუნდაც ერთი ყვავილის განადგურება, თუნდაც ერთი ბალახის?

– ჩვენ სამოთხეში არ ვართ, – დაჟინებით გაიმეორა ჭაბუკმა, – აქ, მთვარის ქვეშ, ყველაფერი მოკვდავია.

პარაცელსიუსი წამოდგა.

– მაშ ახლა სად ვართ? ნუთუ შენ ფიქრობ, რომ მამაზეციერს შეეძლო შეექმნა რაიმე, სამოთხის გარდა? გესმის თუ არა, რომ ცოდვით დაცემა არის უუნარობა იმის გაგებისა, რომ ჩვენ სამოთხეში ვართ?

– ვარდს შეუძლია დაიწვას, – ჯიუტობდა მოწაფე.

– თუმცა ბუხარში ცეცხლი დარჩება, – უპასუხა პარაცელსიუსმა.

– საკმარისია ეს ვარდი ცეცხლში შეაგდო, რომ დარწმუნდები, ის გაქრება, ფერფლი კი ნამდვილი იქნება.

– ვიმეორებ, რომ ვარდი უკვდავია და რომ მხოლოდ მისი სახე იცვლება. ჩემი ერთი სიტყვა იქნებოდა საკმარისი, რომ შენ ის კვლავ დაგენახა.

– ერთი სიტყვა? – უნდობლად ჩაილაპარაკა მოწაფემ, – გამოსახდელი ჭურჭელი უსაქმოდ დგას, კოლბებს მტვრის ფენა ადევს. როგორ დაუბრუნებდი მას სიცოცხლეს?

პარაცელსიუსმა სინანულით შეხედა.

– გამოსახდელი ჭურჭელი უსაქმოდ დგას, – გაიმეორა, – და კოლბებს მტვრის ფენა ადევს. რა არ გამომიყენებია ჩემი ხანგრძლივი ცხოვრების განმავლობაში; ახლა მათ გარეშეც იოლად გავდივარ.

– მაშ რას იყენებ ახლა? – შემრიგებლურად იკითხა შემოსულმა,

– იმასვე, რასაც იყენებდა მამაზეციერი, რომელმაც შექმნა ზეცა, და მიწა, და უხილავი სამოთხე, რომელშიც ვცხოვრობთ და რომელიც ჩვენგან დაფარულია პირველყოფილი ცოდვით. მე ვგულისხმობ სიტყვას, რომლის შეცნობაშიც ჩვენ კაბალა[12] გვებმარება.

მოწაფემ სრულიად გულგრილად თქვა:

– გთხოვ, რომ ვარდის გაქრობა და გაჩენა მიჩვენო. რას გამოიყენებ ამ დროს – გამოსახდელ ჭურჭელს თუ სიტყვას, ჩემთვის არ აქვს ამას არსებითი მნიშვნელობა.

პარაცელსიუსი ჩაფიქრდა, მერე თქვა:

– თუ ამას გავაკეთებდი, შენ შეგეძლო გეთქვა, რომ ყველაფერი ნანახი მხოლოდ და მხოლოდ მხედველობის ცდომილებაა. სასწაული არ მოგიტანს შენ სასურველ რწმენას. ამიტომაც გადადე ვარდი.

ჭაბუკი კიდევ უფრო უნდობლად უყურებდა. ამ დროს მასწავლებელმა ხმააწეულმა უთხრა:

– და საერთოდ, ვინ მოგცა უფლება, რომ მასწავლებლის სახლში შემოხვიდე და სასწაული მოითხოვო? რით დაიმსახურე მსგავსი მოწყალება?

მღელვარებაშეპყრობილმა შემოსულმა ჩუმად უპასუხა:

– მე ვაცნობიერებ ჩემს ამჟამინდელ არარაობას. ნიშნად ჩემი მომავალი მრავალწლიანი მორჩილებისა შენ გვერდით, გაფიცებ მომცე ნება განვჭვრიტო ფერფლი, შემდეგ კი ვარდი. მეტს აღარასდროს არაფერს გთხოვ. საკუთარი თვალით ნანახი იქნება სწორედ ჩემთვის მტკიცებულება.

მკვეთრი მოძრაობით სწვდა ვარდს, რომელიც პარაცელსიუსმა პიუპიტრზე დატოვა, და ცეცხლში მოისროლა. ყვავილი გადნა და ფერფლის გროვა დარჩა. მცირე ხანს ის სიტყვებსა და სასწაულს ელოდა.

პარაცელსიუსი შეუდრეკელი იყო. მოულოდნელი პირდაპირობით თქვა:

– ყველა ექიმი და ბაზელის აფთიაქარი შარლატანად მიმიჩნევს. როგორც ჩანს, ისინი მართლები არიან. აი, ფერფლი, რომელიც ვარდი იყო და რომელიც ვედარასდროს იქცევა იმად, რაც იყო.

ჭაბუკს შერცხვა. პარაცელსიუსი მატყუარა იყო ან კიდევ ფანტაზიორი, ის კი მასთან შეიჭრა და ითხოვდა, რომ მას მთელი თავისი ჯადოქრული მეცნიერების უძღურება ეღიარებინა.

მუხლი მოიყარა და თქვა:

– შევცდი. რწმენა არ მეყო, რომელსაც ითხოვს მორწმუნეთაგან ღმერთი. მაშ უყურონ ჩემმა თვალებმა ფერფლს. მე დავბრუნდები, როცა სულით გავძლიერდები, შენი მოწაფე გავხდები და გზის ბოლოს ვარდს დავინახავ.

გულწრფელი გრძნობით ლაპარაკობდა, თუმცა ეს გრძნობა მოხუცი მასწავლებლისადმი თანაგრძნობით იყო გამოწვეული, ესოდენ პატივცემულის, ესოდენ დაზარალებულის, ესოდენ არაჩვეულებრივის და საბოლოო ჯამში ესოდენ ცარიელის. რა უფლება აქვს მას, იოჰან გრიზებახს[13], თავისი უწმინდური ხელით ჩამოხსნას ნიღაბი, რომელიც სიცარიელეს ფარავს?

დატოვებული ოქროს მონეტები მოწყალებად ჩაითვლებოდა. წასვლისას ისინი თან წაიღო. პარაცელსიუსმა კიბემდე გააცილა და უთხრა, რომ ამ სახლში ის ყოველთვის სასურველი სტუმარი იქნებოდა. ორივეს შესანიშნავად ესმოდა, რომ მათ შეხვედრა აღარ ეწერათ.

პარაცელსიუსი მარტო დარჩა. სანამ სანათურს ჩააქრობდა და სავარძელში მოხერხებულად მოიკალათებდა, ფერფლის გროვა გადაქექა და ჩუმად წარმოთქვა სიტყვა. და ვარდი გაცოცხლდა.

დალლილი კაცის უტოპია

ამას უტოპიას ეძახდნენ, ბერძნულ სიტყვას, რაც ნიშნავდა „არ არსებობს ასეთი ადგილი“.

კეველო

არ არსებობს ორი ერთნაირი მთა, თუმცა დაბლობი ყველგან ერთი და იგივეა. ველებზე გადებულ გზაზე მივდიოდი და განსაკუთრებული ინტერესესი გარემო ვეკითხებოდი საკუთარ თავს – ნეტავ ოკლაჰომაში ვარ ახლა, ტეხასში თუ იმ ადგილას, რომელსაც ლიტერატორები პამპასებს უწოდებენ. არც მარჯვნივ, არც

მარცხნივ შუქი არ დამინახავს. როგორც ადრეც ყოფილა, ემილიო ორიბეს სტრიქონებს ვჭურჩულებდი:

„პანიკურად უსასრულო დაბლობებს შორის, ბრაზილიის ახლოს“ – უფრო და უფრო ხმამაღლა, უფრო და უფრო მკაფიოდ გაისმოდა“.

გზა ძლივს ჩანდა. წამოწინწკლა. ორასიოდე თუ სამასიოდე მეტრში მოულოდნელად ფანჯარაში შუქი დავლანდე. დაბალი სახლი იყო, სწორკუთხა და ხეებს უკან დამალული. კარი ისეთმა მაღალმა კაცმა გამოაღო, რომ თითქმის შემეშინდა. მთლად შავებით იყო შემოსილი. ვიფიქრე, რომ აქ ვილაცას ელოდნენ. კარი არ იყო ჩაკეტილი.

ხის კედლებიან გრძელ ოთახში შევედი. ჭერიდან ლამფა გადმოკიდებულიყო, რომელიც მოყვითალო შუქრდილებს სცემდა. მაგიდამ ცოტა გამაოცა. მასზე წყლის საათი იდგა, რომელსაც პირველად ვხედავდი, თუ არ ჩავთვლით ძველ გრავიურებს. კაცმა სკამისკენ მიმითითა.

ათასგვარ ენაზე მივმართე, მაგრამ ვერაფერი გაიგო. ხოლო როცა მისი რიგი მოვიდა, თვითონ ლათინურად ალაპარაკდა. გონება დავძაბე, რომ სკოლის ცოდნა გამეცოცხლებინა და საუბრისთვის მოვემზადე.

– ტანსაცმლის მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, – მითხრა, – სხვა საუკუნიდან მოსულხარ. ენის სხვადასხვაობა ტომთა სხვადასხვაობამ გამოიწვია, ასევე ომებმა, თუმცა სამყარო ლათინურს დაუბრუნდა. ვილაც ისევ შიშობს, რომ ის კვლავ გაფუჭდება და ფრანგულს დაუბრუნდება, ლემოზინს ან პაპია-მენტოს, მაგრამ ეს უბედურება მალე არ გვეწვევა, თუმცა არც ის, რაც იყო და არც ის, რაც მოგველის, არ მალეღვებს.

მცირე ხანს გაჩუმდა, მერე დასძინა:

– თუ გეზიზღება იმის ყურება, სხვა როგორ მიირთმევს, ხომ არ გაიზიარებ ჩემთან ტრაპეზს?

მივხვდი, რომ ჩემი დაბნეულობა შენიშნა და თანხმობა განვუცხადე.

დერეფანი გადავკვეთეთ გვერდითა კარებით და პატარა სამზარეულოში შევედი, სადაც ყველაფერი ლითონისგან იყო გაკეთებული. ლანგარზე შემოდებული ვახშმით დავბრუნდი: მოხარული სიმინდი თასებში, ყურძნის მტევანი, უცნობი ხილეული, რომელიც გემოთი ლელვს მოგაგონებდათ, და უშველებელი დოქი წყლით. პური, მგონი, არ იყო.

ჩემს მასპინძელს მკვეთრი სახის ნაკვეთები ჰქონდა, თვალების გამომეტყველება ენით აუწერლად უცნაური. არ დამავიწყდება ეს პირქუში და ფერმკრთალი სახე, რომელსაც მეტად ველარასდროს ვნახავ. საუბრის დროს კაცი ხელებს არ იშველიებდა.

ლათინურის ეთიკა მბოჭავდა, თუმცა მაინც გავბედე შეკითხვის დასმა:

– ნუთუ შენ არ გაგაოცა ჩემმა მოულოდნელმა გამოჩენამ?

– არა, – მიპასუხა, – ასეთი ვიზიტები საუკუნიდან საუკუნეში ხდება. ისინი დიდხანს არ გრძელდება: ხვალ – ყველაზე გვიან – შინ იქნები.

მისმა დამაჯერებელმა ხმამ დამამშვიდა. საჭიროდ ჩავთვალე საკუთარი თავი წარმედგინა:

– ეუდორო ასევედო. 1897 წელს დავიბადე ქალაქ ბუენოს-აირესში. სამოცდაათი წლის გავხდი. ინგლისურ და ამერიკულ ლიტერატურას ვასწავლი, ფანტასტიკურ მოთხრობებს ვწერ.

– მახსოვს, შენი ფანტასტიკური თხზულებები საკმაო ინტერესით წავიკითხე, – მიპასუხა ღიმილით, – კაპიტან ლემუელ გულივერის მოგზაურობა, რომელიც ბევრს სარწმუნო ჰგონია, და შუმმა თეოლოგია (ღვთისმეტყველების კამარა). თუმცა ფაქტებზე ნუ ვისაუბრებთ. ფაქტები უკვე აღარავის აღელვებს. ეს უბრალოდ ამოსავალი წერტილებია გამონაგონისა და მსჯელობისთვის. სკოლებში გვასწავლიან, ყველაფერში ეჭვი შევიტანოთ და დავიწყების უნარი გვქონდეს. პირველ რიგში დავივიწყოთ პირადი ან კერძო. ჩვენ ვარსებობთ დროში, რომელიც იწურება, თუმცა ვცდილობთ ვიცხოვროთ სუბ სპეციე აეტერნიტატის (მარადიულობის თვალთახედვით). წარსულიდან გვრჩება ცალკეული სახელები, თუმცა ისინი ჩვენი მეტყველებიდან ქრებიან. გვერდს ვუვლით არასაჭირო დაზუსტებებს. არ არის არც ქრონოლოგია, არც ისტორია. არც სტატისტიკა. შენ თქვი, რომ ეუდორო გქვია. მე ვერ გეტყვი ჩემს სახელს, რამეთუ მე მიწოდებენ „ვიღაცას“.

– მამაშენის სახელი რაღაა?

– მას არ ჰქონდა სახელი.

კედელზე თარო შევნიშნე. ალაღბედზე გავხსენი ერთი წიგნი. მკაფიო ასოები იყო, უცნობი, ხელით დაწერილი. მათი კუთხოვანი ფორმები რუნთა დამწერლობას ჰგავდა, რომელიც მხოლოდ საკულტო წარწერებისთვის გამოიყენებოდა. ვიფიქრე, რომ მომავლის ხალხი არა მხოლოდ უფრო მაღალი იყო, არამედ უფრო მარჯვეც. უნებურად მამაკაცის გრძელ თხელ თითებს შევხედე. და გავიგონე:

– შენ ახლა ნახავ იმას, რაც არასდროს გინახავს.

სათუთად გამომიწოდა მორის „უტოპიის“ ეგზემპლარი, ბაზელში 1518 წელს გამოცემული, რომელსაც უკვე მოესწრო ბევრი გვერდისა და გრავიურის დაკარგვა.

ერთგვარი თვითკმაყოფილებით შევნიშნე:

– ეს ნაბეჭდი გამოცემაა. სახლში ორი ათასზე მეტი მაქვს, თუმცა არა ასეთი ძველი და ფასეული, – და ხმამაღლა წავიკითხე სახელწოდება.

მას გაეცინა:

– ვერავინ შეძლებს ორი ათასი წიგნის წაკითხვას. ოთხი ასწლეულის განმავლობაში, რომლებიც მიცხოვრია, ექვსის დამღვევაც ვერ მოვახერხე. გარდა ამისა, იმდენად მნიშვნელოვანი წაკითხვა კი არ არის, რამდენადაც კვლავ გადაკითხვა. ბეჭდვა, რომელიც რა ხანია გაუქმებულია, კაცობრიობის ერთ-ერთი ყველაზე საზარელი ბოროტება იყო, რადგან საშუალებას იძლეოდა შემლილობამდე ემრავლებინათ ყველასთვის უსარგებლო ტექსტები.

– ჩემს საინტერესო წარსულში, – გამოვეხმაურე, – უაზრო შეხედულება მეფობდა: სამარცხვინოდ მიიჩნეოდა ყველა იმ მოვლენის არცოდნა, რაც ყოველდღე ხდებოდა დილიდან საღამომდე. პლანეტა ავსებული იყო მოჩვენებითი თანამეგობრობებით, როგორებიც არის კანადა, ბრაზილია, შვეიცარიული კონგო და საერთო ბაზარი. თითქმის არავინ იცოდა ამ პლატონური გაერთიანებების პრეისტორია, სამაგიეროდ, შესანიშნავად, უმცირეს წვრილმანებამდე იყვნენ გათვითცნობიერებულნი მასწავლებლების უკანასკნელ კონგრესზე, დიპლომატიური ურთიერთობების გაწყვეტის მიზეზებზე, მდივანთა მდივნების მიერ შედგენილი საპრეზიდენტო შეთანხმებების შესახებ იმ ბრძნული ბუნდოვანი ფორმულირებით, რაც ამ ჟანრისთვის იყო დამახასიათებელი. ყველაფერი იკითხებოდა, რათა მივიწყებას მისცემოდა, რამეთუ ერთი-ორი საათის შემდეგ ძველს ახალი ტრუიზმები ამჭიდროვებდა. ყველა საქმიანობას შორის პოლიტიკა უეჭველად ყველაზე თვალსაჩინო საზოგადოებრივი მოღვაწეობა იყო. ელჩებსა და მინისტრებს, ვითარცა ხეიბრებს, გრძელი მყვირალა ავტომანქანებით დაატარებდნენ, რომლებსაც გარს ეხვეოდნენ მოტოციკლისტები და ცერბერები, და დამშეული ფოტოგრაფები უსაფრდებოდნენ. თითქოს მათთვის ფეხები მოეკვეთათ, ასე ამბობდა ხოლმე დედაჩემი. გამოსახულებები და ნაბეჭდი სიტყვა გაცილებით უფრო რეალური იყო, ვიდრე საგნები. მხოლოდ გამოქვეყნებული მიიჩნეოდა ჭეშმარიტად. *Esse est percipi*[14] – ასეთი იყო პრინციპები, საშუალებები და მიზნები ჩვენი ცხოვრების ერთგვარი კონცეფციისა. ჩემს წარსულში ადამიანები გულუბრყვილოები იყვნენ, მათ სჯეროდათ, რომ საქონელი შესანიშნავია, თუ ასე ამტკიცებს და გამუდმებით ირწმუნება მისი დამამზადებელი. უნდა ითქვას, რომ ხშირად მომხდარა ძარცვა, თუმცადა ყველამ იცოდა, რომ ფულს არ მოაქვს არც უმაღლესი ბედნიერება და არც სრული სიმშვიდე.

– ფული? – გაიმეორა მან, – ახლა უკვე აღარ არსებობენ ისეთი სიღარიბით ტანჯულნი, რომელიც აუტანელი იქნებოდა, ან ისეთი სიმდიდრით, რომელიც ბიწიერების ყველაზე გამაღიზიანებელი ფორმა იქნებოდა. ყველა მსახურობს.

– როგორც რაბინი, – ვთქვი მე.

ჩანს, ვერ მიხვდა და განაგრძო:

– უკვე აღარ არის ქალაქები. ბაია-ბლანკის ნანგრევების მიხედვით, რომლებიც ცნობისმოყვარეობის გამო შევისწავლე, ბევრი რამ არის დაკარგული. რაკი არ არსებობს საკუთრება, არ არის არც მემკვიდრეობა. როცა ადამიანი – ასი წლისთვის – ფორმირდება, მზად არის მოითმინოს საკუთარი თავიც და თავისი მარტოობაც, რამეთუ მაშინ უკვე გაზრდის ერთადერთ ვაჟს.

– ერთადერთს? – ჩავეკითხე.

– დიახ, ერთადერთს. არ არის საჭირო კაცობრიობის გამრავლება. ვიღაც ფიქრობს, რომ ადამიანი სამყაროს შეცნობის ღვთიური იარაღია, თუმცა იმის თქმა კი დარწმუნებით არავის შეუძლია, თვით ღვთაება თუ არსებობს. მე ვფიქრობ, რომ ახლა განიხილება დანაკარგები და სარგებელი, რომელთა მოტანაც შეუძლია მთელი დედამიწის ადამიანების ცალკეულ თუ ერთიან და ერთდროულ თვითმკვლევლობას. თუმცა თემას დავუბრუნდეთ.

თავი დაუქნიე.

– ას წელს მიღწეულ ადამიანს უკვე შეუძლია შეიძულოს სიყვარულიც და მეგობრობაც. ამიერიდან მას არ ემუქრება დაავადებები და სიკვდილის შიში. ის ერთ-ერთი ხელოვნებით არის დაკავებული, ფილოსოფიით, მათემატიკით ან საკუთარ თავს ჭადრაკს ეთამაშება. თუ მოისურვებს – თავს მოიკლავს. ადამიანი საკუთარი ცხოვრებისა და საკუთარი სიკვდილის ბატონ-პატრონია.

– ეს ციტატაა? – ვკითხე ისევ.

– რასაკვირველია. ციტატების გარდა ჩვენ აღარაფერი დავგრჩა. ჩვენი ენა ციტატების სისტემაა.

– რას იტყვი ჩემი ეპოქის უდიდეს მოვლენებზე – სივრცეში გაფრენაზე? – ვთქვი მე.

– უკვე მრავალი ასწლეულია უარი ვთქვით მსგავს გადაადგილებებზე, რომლებიც უეჭველად მშვენიერი იყო. მაგრამ ვერასდროს მოვიშორებთ თავიდან ცნებებს „აქ“ და „ახლა“.

და ღიმილით დასძინა:

– გარდა ამისა, ნებისმიერი მოგზაურობა სივრცეში გადაადგილებაა. პლანეტიდან პლანეტაზე თუ მეზობელ სოფელში. როცა ამ სახლში შემოხვედით, თქვენც ერთ-ერთი სივრცითი მოგზაურობა განახორციელეთ.

– რა თქმა უნდა, – ვუპასუხე მე, – ჩვენში ბევრი ითქვა ასევე ქიმიურ პროდუქტებსა და გადაშენებისკენ მიმავალ ცხოველებზე.

თუმცა მამაკაცმა ზურგი შემაქცია და ფანჯარაში გაიხედა. გარეთ თეთრი ფერდობი იყო, თოვლისა და მთვარის ქვეშ გარინდული.

გავბედე მეკითხა:

– გაქვთ თუ არა მუზეუმები, ბიბლიოთეკები?

– არა. ჩვენ წარსულის დავიწყება გვსურს, რომელიც მხოლოდ ელეგიის შესაქმნელად თუ არის სახირო. ჩვენ არ გვაქვს სახსოვარი თარიღები, ასწლოვანი იუბილეები თუ გარდაცვლილთა გამოსახულებები. თითოეულმა საკუთარი შეხედულებისამებრ უნდა განავითაროს ის მეცნიერება თუ ხელოვნება, რომლის საჭიროებასაც გრძნობს.

– გამოდის, ყველა საკუთარი თავის ბერნარდ შოუა, ყველა საკუთარი თავის იესო ქრისტეა, ყველა საკუთარი თავის არქიმედეა?

მდუმარედ გამოხატა თანხმობა. შეკითხვებს განვაგრძობდი:

– მთავრობებს რაღა დაემართა?

– ტრადიციულად, ისინი თანდათანობით გამოდიოდნენ სარგებლობიდან. ისინი ნიშნავდნენ არჩევნებს, აცხადებდნენ ომებს, კრეფდნენ გადასახადებს, ართმევდნენ ქონებას, იჭერდნენ და შემოჰქონდათ ცენზურა, და მთელ დედამიწაზე არავინ სცემდა მათ პატივს. პრესამ შეწყვიტა მათი დეკლარაციებისა და გამოსახულებების დაბეჭდვა. პოლიტიკოსებს მოუხდათ, უფრო ღირსეული საქმიანობა ეპოვათ: ერთნი კარგ კომიკოსებად იქცნენ, სხვები – კარგ მკურნალებად. სინამდვილეში, რა თქმა უნდა, ყველაფერი გაცილებით უფრო რთულად იყო, ვიდრე ჩემს ნაამბობშია.

სხვა ტონით განაგრძო:

– ჩემი სახლი ავაშენე, ისეთივე, როგორც ყველა დანარჩენს აქვს. დავამზადე ავეჯი და მთელი ეს აღჭურვილობა. მოვხანი მინდორი, რომელსაც ახალი ხალხი, რომელთა სახეებსაც ვერ ვნახავ, ჩემზე უკეთ მოხნავენ. შემძლია რაღაც-რაღაცები გიჩვენო.

მეზობელ ოთახში გავყევი. ლამფა აანთო, რომელიც ჭერიდან იყო ჩამოშვებული. კუთხეში არფა დავინახე რამდენიმე სიმიტ. კედლებზე კვადრატული და მართკუთხა ტილოები შევნიშნე, სადაც ყვითელი გამა ჭარბობდა.

– ეს ჩემი ნაწარმოებებია, – გამომიცხადა.

დავავალიერე ტილოები და ყველაზე პატარასთან შევყოვნიდი, რომელზეც მზის ჩასვლა იყო გამოსახული ან მას მოგაგონებდათ, და რაღაც უსასრულობას შეიცავდა.

– თუ მოგწონს, შეგიძლია თან წაიღო მომავალი მეგობრის სახსოვრად, – მითხრა თავისი თანაბარი ხმით.

მადლობა გადავუხადე, მაგრამ ჩემი ყურადღება სხვა ტილოებმა მიიპყრო. არ ვიტყვოდი, რომ ისინი თეთრები იყო, თუმცა მოთეთროები ჩანდა.

– ისინი საღებავებით არის დახატული, რომელთაც შენი ძველი თვალები ვერ დაინახავენ.

ხელებით მსუბუქად შეეხო არფის სიმებს, მე კი ძლივს ვარჩევდი ცალკეულ ბგერებს. და მაშინ კარზე კაკუნნი გაისმა.

ტანმადალი ქალი და სამი თუ ოთხი მამაკაცი შემოვიდა სახლში. შეიძლებოდა გეფიქრა, რომ ყველანი ნათესავები იყვნენ ან რომ ყველანი ისინი დრომ დაამსგავსა. ჩემმა მასპინძელმა ჯერ ქალს მიმართა:

– ვიცოდი, რომ ამ ღამით შენც მოხვიდოდი. ნილსას თუ ხედავ ხოლმე?

– ხანდახან საღამოობით. ის ისევ მხატვრობაშია ჩაძირული.

– იმედი ვიქონიოთ, რომ ვაჟი მეტს მოასწრებს, ვიდრე მამამისი.

ხელნაწერები, ნახატები, ავეჯი, ჭურჭელი – ყველაფერი გავიტანეთ სახლიდან.

ქალი კაცებთან ერთად შრომობდა, მე ჩემი უძლურების მრცხვენოდა, რომელიც თითქმის არ მამღვებდა საშუალებას, მათ დავხმარებოდი. არავის დაუკეტავს კარი და ჩვენ გამოვედით, ბარგი-ბარხანით დატვირთულები. შევნიშნე, რომ სახურავი ორი მხრიდან იყო დაცვრებული.

თხუთმეტწუთიანი სიარულის შემდეგ მარცხნივ შევუხვიეთ. ახლოს რაღაც კოშკის მსგავსი გავარჩიე, რომელსაც გუმბათი ამშვენებდა.

– კრემატორიუმი, – წამოიძახა ვიღაცამ, – შიგნით სიკვდილის კამერაა. ამბობენ, რომ ის ერთმა „ფილანტროპმა“ გამოიგონა, რომელსაც მგონი, ადოლფ ჰიტლერი ერქვა.

მცველმა, რომლის სიმაღლესაც აღარ გავუკვირვებია, გისოსებიანი კარი გაგვიღო. ჩემმა მასპინძელმა მას რამდენიმე სიტყვა გადაუჩურჩულა. სანამ შიგნით შევიდოდა, ხელი დამიქნია გამომშვიდობების ნიშნად.

– ისევ წამოვა თოვლი, – ჩაილაპარაკა ქალმა.

ჩემს კაბინეტში მეხიკოს ქუჩაზე სათუთად ვინახავ ტილოს, რომელსაც ვიღაც დახატავს... ათასი წლის შემდეგ... პლანეტაზე ამჟამად გაფანტული მასალებით.

მელნიანი სარკე

ისტორიის მცოდნეთ იციან, რომ სუდანის ყველაზე სასტიკი მმართველი იაკუბ დაავადებული იყო, რომელმაც ქვეყანა ეგვიპტელების უსამართლო

გამომძაღველობის ქვეშ მოაქცია და სასახლის სამფლობელოებში 1842 წლის ბარმახატის თვის მე-14 დღეს გარდაიცვალა. ზოგიერთები ვარაუდობენ, რომ ჯადოქარმა აბდურახმან ელ მაფსუდიმ (რომლის სახელიც ნიშნავს „ყოვლად მოწყალის მსახურს“) მოკლა ის დაშნით ან მოწამლა, თუმცა ბუნებრივი სიკვდილი მაინც უფრო სავარაუდოა – ტყუილად ხომ არ უწოდეს მას დაავადებული. როგორც უნდა ყოფილიყო, კაპიტანი რიკარდო ფრანსისკო ბურტონი 1853 წელს ესაუბრა ამ გრძნეულს და ამბობს, რომ მან შემდეგი მოუთხრო:

„სინამდვილეში იაკუბ დაავადებულმა ციხე-კოშკში ჩამსვა იმ შეთქმულების გამო, რომელიც ჩემმა ძმა იბრაგიმმა ჩაიფიქრა, ბრიყვულად რომ ენდო მოლაღატე შავ ბელადებს: სწორედ მათვე უმუხბოდა და მეფესთან დაასმინეს.

ჩემი ძმის თავი მართლმსაჯულების გასისხლიანებულ ემაფოტზე დავარდა, მე კი საძულველი დაავადებულის ფერხითი დავეცი და ვუთხარი, რომ ჯადოქარი ვარ და რომ, თუ სიცოცხლეს მაჩუქებდა, ისეთ საუცხოო რაღაცებს ვაჩვენებდი, რომელთაც ჯადოსნური ლამპითაც ვერ ნახავდა. ტირანმა უცილობელი მტკიცებულებები მთხოვა. ლერწმის კალამი, მაკრატელი, ვენეციური ქაღალდის დიდი ფურცელი, მელნის ჭურჭელი, ტაფა, კორიანდრის რამდენიმე მარცვალი და სულ ცოტა ნამიანი საკმეველი მოვითხოვე, მერე ფურცელი ექვს ზოლად დავჭერი, პირველ ხუთზე შელოცვა დავწერე, დარჩენილზე – სიტყვები დიდებული ყურანიდან: „ჩვენ შემოგხსენით საფარველი და შენი მზერა განგვგმირავს“. მერე იაკუბს მარჯვენა ხელზე დავახატე მაგიური ნიშანი, ვთხოვე თითები პეშვად მოემუჭა და მასში მელანი ჩავუღვარე. ვკითხე, მის ზედაპირზე თუ ხედავდა თავის ანარეკლს, და მიპასუხა, რომ ხედავდა. ვუბრძანე თვალი არ მოეცილებინა, ავაბოლე კორიანდრი და საკმეველი და ტაფაზე დავწვი შელოცვა, მერე კი ვთხოვე დაესახელებინა, თუ რის დანახვა სურდა. იფიქრა და მითხრა, რომ სურდა საუცხოო ულაცის ნახვა, ყველაზე საუკეთესოსი, რაც კი დაჯირითობდა უდაბნოს გაშლილ ველებზე. დახედა და დაინახა მწვანე გაშლილი მინდორი, მერე – ლეოპარდით მარდი რაში შუბლზე დიდი თეთრი ვარსკვლავით. მთხოვა მისთვის ჰორიზონტზე უშველებელი ფაფუკი ღრუბელი მეჩვენებინა, მის მიღმა კი ცხენების ჯოგი. მივხვდი, რომ სიცოცხლე გადავირჩინე.

ჯერ გათენებული არ იყო, რომ ორმა ჯარისკაცმა მომაკითხა ციხეში და იაკუბის სავანეში მიმაცილა, სადაც უკვე მელოდა საკმეველი, ტაფა და მელანი. თავის სურვილებს მანდობდა და მეც ყველაფერს ვუჩვენებდი, რაც კი ქვეყნიერებაზე არსებობს. საძულველის პეშვში თავმოყრილი იყო ყველაფერი, რაც უკვე გარდაცვლილებს ენახათ და რასაც სალ-სალამათნი ჭვრეტენ: ქალაქები, ცხელი და ცივი ქვეყნები, მიწის სიღრმეებში დაფარული საუნჯეები, ზღვაზე ამხედრებული ხომალდები, ომის იარაღები, საექიმო და სამუსიკო ინსტრუმენტები, მშვენიერი ქალები, უძრავი ვარსკვლავები და პლანეტები, ფერები, რომლებითაც სარგებლობენ ურწმუნონი, როცა თავიანთ ამაზრზენ ნახატებს ხატავენ, მცენარეები და მინერალები მთელი მათი ფარული თუ აშკარა შესანიშნავი თვისებით, ვერცხლის ანგელოზები,

რომელთა პური ღვთის ქება და განდიდებაა, სკოლებში ჯილდოების გაცემა, ჩიტების ფიგურები და მეფეები, რომელნიც პირამიდის გულში არიან დაკრძალულნი, ხარის ჩრდილი, რომელზეც განისვენებს მიწა, მოწყალე ღმერთის უდაბნოები. მან იხილა ენით აუწერელი რამეები, როგორებიცაა გაზის რქოვანებით განათებული ქუჩები და ვეშაპი, რომელიც ადამიანის ხმის გაგონებაზე ილუპება. ერთხელ მიბრძანა, მეჩვენებინა ქალაქი, რომელსაც ევროპა ეწოდებოდა. ვუჩვენე მთავარი ქუჩა და ვფიქრობ, რომ სწორედ მაშინ, ამ ადამიანების ნაკადში, რომლებიც შავებში იყვნენ ჩაცმულნი და შიგადაშიგ სათვალეც ეკეთათ, მან პირველად დაინახა შებურვილი.

იმ დროიდან ეს ფიგურა – ხანდახან სუდანელის კოსტიუმში, ხან სამხედრო ფორმაში, მაგრამ ყოველთვის ქსოვილით შებურვული სახით, – სიზმრებში ეცხადებოდა. ის იქ ყოველთვის იყო, მაგრამ ვერ ვხვდებოდით, ვინ იყო. თანდათანობით ხილვები სარკეში, თავდაპირველად წამიერნი და უძრავნი, სულ უფრო რთული გახდა: ჩემი მოთხოვნები დაუყოვნებლივ სრულდებოდა და ტირანი ამას შესანიშნავად ხედავდა. ბოლოს ორივენი გვარიანად ვიღლებოდით. ნანახის სისასტიკე გვთანგავდა. ეს იყო დაუსრულებელი სახრჩობელები, შურისძიებები, დანაწევრებები, შემზარავი ჯალათის სიამეები.

ასე მოგვისწრო ბარმახატის თვის მეთოთხმეტე თვემ. ხელისგულზე მელნიტ წრე არის მოხაზული, საკმეველი ნაკვერჩხლებზეა დაგდებული, შელოცვები დამწვარია. ორნი ვიყავით. იაკუბმა მიბრძანა, ნამდვილი სიკვდილით დასჯა მეჩვენებინა მისთვის. შეწყალების გარეშე, რამეთუ დილიდან მის სულს სიკვდილის ჭვრეტა სწყუროდა. მას ვუჩვენე ჯარისკაცი დოლებით, გაშლილი ხარის ტყავი, ხალხი, რომელიც სანახაობას ელოდა, ჯალათი მართლმსაჯულების მახვილით. ჯალათით აღფრთოვანდა და მითხრა:

„ეს აბუ კირია, რომელმაც შენს ძმა იბრაგიმს მოჰკვეთა თავი, ეს ის არის, რომელიც შენს ბედსაც განსაზღვრავს, როცა მე მომენიჭება უნარი, ეს ფიგურები შენი დახმარების გარეშე გამოვიძახო“.

განსასჯელის მოყვანა ითხოვა.

როცა მოიყვანეს, იაკუბი დამუნჯდა, რადგან ეს სწორედ ის იდუმალი კაცი იყო, თეთრ ნაჭერში შებურვული. მიბრძანა გამეცა ბრძანება, რომ დასჯამდე მისთვის საბურველი მოეხსნათ. ფეხებში ჩავუვარდი: „ო, დროებისა და ყველა არსებულის მეფეო, ო, დღეების არსო, ეს სახე ისეთი არ არის, როგორც დანარჩენები, ჩვენ ხომ არც სახელი ვიცით მისი, არც ის, თუ ვინ არიან მისი მშობლები, არც ის, თუ რომელი მხრიდან იყო, და ვერ გავბედავ მისთვის საბურველის მოხსნას, რათა არ ჩავიდინო ის, რის გამოც პასუხისგება მომიწევს“.

იაკუბმა გადაიხარხარა და დაიფიცა, რომ თუ ქმნული ცოდვა აღმოჩნდება, ამ ცოდვას საკუთარ თავზე აიღებდა.

ამის შესახებ მახვილსა და ყურანზე დაიფიცა. მაშინ ვუბრძანე, გაეხადათ სიკვდილმისჯილისთვის, გადაშლილ ხარის ტყავზე დაეგდოთ და საბურველი მოეხსნათ. ასეც გააკეთეს. იაკუბის გაოგნებულ მზერას როგორც იქნა წარმოუდგა სახე, რომელიც მისი საკუთარი სახე იყო. შიშმა დაზაფრა. მტკიცე ხელით მოვუჭირე აკანკალებულ მარჯვენა ხელზე და ვუბრძანე, საკუთარი სიკვდილი ენახა.

ის მთლიანად სარკის ძალაუფლების ქვეშ იყო და არც კი ცდილობდა მზერის არიდებას ან მელნის გადმოღვრას. როცა მის წინ გადაშლილ ხილვაში ხმალი დაეცა დასჯილის თავს, წამოიყვირა – ამ ხმას ჩემი გული არ მოულობია – და მკვდარი დაეცა იატაკზე.

დიდება პირველქმნილს, იმას, ვისაც უპყრია ხელთ უზომო მოწყალებისა და უსაზღვრო სასჯელის გასაღები.

ულრიკა

Hann tekr sverthit Gram ok leggr i methal theira bert. Volsunga Saga

(ის იღებს გრამის ხმალს და შიშველს დებს თავისსა და მას შორის, – „საგა ველსუნგებზე“).

ნაამბობში რეალურობას დავეყრდნობი, ან, ყოველ შემთხვევაში, საკუთარ მოგონებებს რეალობაზე, რაც, კაცმა რომ თქვას, ერთი და იგივეა. მოვლენები არც ისე დიდი ხნის წინ მოხდა, თუმცა ლიტერატურული ჩვეულებით, როგორც ცნობილია, მიღებულია წვრილმანების შეფერადება და აქცენტების გამძაფრება. მინდა გიამბოთ ულრიკასთან შეხვედრის შესახებ (არ ვიცი და ალბათ ვერც ვერასდროს გავიგებ მის ნამდვილ სახელს) იორკში. მთელმა შემთხვევამ საღამო და დილა დაიკავა.

რა თქმა უნდა, შემემლო მომეგონა, რომ პირველად ის „ხუთ დასთან“ ვნახე, სხვათა წარმოსახვის მიერ დაულაქავი ვიტრაჟების ქვეშ, რომელნიც კრომველელ ხატმებრძოლებს დაუნდიათ, მაგრამ სინამდვილეში ერთმანეთი Northern Inn[15]-ის დარბაზში გავიცანით, ქალაქგარეთ. დარბაზი ნახევრად ცარიელი იყო, ჩემკენ ზურგით იჯდა. დალევა შესთავაზეს, მაგრამ უარი უთხრა.

– მე ფემინისტი ვარ, – ესროლა, – და არ ვაპირებ კაცებს მივბადო. მეზიზღება მათი თამბაქო და ალკოჰოლი.

ფრაზა წარმატებაზე იყო გათვლილი, მივხვდი, რომ მას პირველად არ წარმოთქვამდნენ. მერე გავიგე, ეს აზრი რამდენად არ იყო მის ხასიათში; თუმცა ჩვენი სიტყვები ხშირად არ გვგავს ჩვენ.

მან, მისივე თქმით, ადგილობრივ მუზეუმში დააგვიანა, მაგრამ შეუშვეს, როცა შეიტყვეს, რომ სტუმარი ნორვეგიიდან იყო. ვიღაცამ შენიშნა:

– ნორვეგიელები პირველად არ არიან იორკში.

– დიახ, – აიტაცა მან, – ინგლისი ჩვენი იყო, თუმცა დავკარგეთ. თუ ადამიანს საერთოდ შეუძლია რაიმეს ფლობა ან რაიმეს დაკარგვა.

და მაშინ დავინახე ის. ბლეიკი სადღაც წერს ნაზი ვერცხლისა და მწვავე ოქროს გოგონებზე. ულრიკა ოქრო და სინაზე იყო. მაღალი, მოძრავი, ნატიფი სახით და ნაცრისფერი თვალებით. თუმცა მასში გაოგნებდა არა გარეგნობა, არამედ მშვიდი იდეალების გამომეტყველება. ნაჩქარევი ღიმილი მას კიდევ უფრო აუცხოებდა. შავი კაბა ეცვა, რაც იშვიათია ჩრდილოეთ მხარეში, სადაც სიჭრელით ცდილობენ პირქუში გარემოს გაფერადებას. ინგლისურად სუფთად ლაპარაკობდა, ზუსტად, მხოლოდ ოდნავ უსვამდა ხაზს „რ“-ს. განზრახ არ ვაკვირდებოდი მას, ეს ყველაფერი თანდათანობით მოგვიანებით ამომიტივტივდა მეხსიერებაში.

წარგვადგინეს. ვუთხარი, რომ ანდის უნივერსიტეტში ვასწავლიდი, ბოგოტაში. და განვუმარტე, რომ კოლუმბიელი ვარ.

ჩაფიქრებულმა მკითხა:

– და რას ნიშნავს კოლუმბიელობა?

– არ ვიცი, – ვუპასუხე, – ეს რწმენის საკითხია.

– იგივე, რაც ნორვეგიელობა, – შენიშნა ფრთხილად.

კიდევ რაზე იყო საუბარი იმ საღამოს, არ მახსოვს. დილის ადრე დავეშვი სასადილო ოთახში. ფანჯრების მიღმა თოვლი იდო. მიწა გამთენიის მზეში იძირებოდა. მარტონი ვიყავით. ულრიკამ თავის მაგიდასთან მიხმო. მითხრა, რომ უყვარს მარტო სეირნობა.

შოპენჰაუერის ხუმრობა გავიხსენე და შევეპასუხე:

– მეც. შეგვიძლია ორნი გავეშუროთ სასეირნოდ.

სველ თოვლზე დავიძარით. გარშემო სულიერის ჭაჭანება არ იყო. შევთავაზე, ტორგეიტამდე მივსულიყავით, მდინარეზე რამდენიმე მილი გაგვევლო. უკვე ვიცოდი, რომ მიყვარდა ულრიკა, და მინდოდა მხოლოდ მასთან ერთად მევლო.

უცებ შორიდან მგლის ყმუილი მოისმა. არასდროს გამიგონია მგლის ყმუილი, მაგრამ მივხვდი, რომ ეს მგელი იყო. ულრიკას სახე არ შესცვლია.

მოულოდნელად, თითქოსდა ხმამაღლა ფიქრობსო, თქვა:

– რამდენიმე უბადრუკმა ხმალმა გუშინ იორკ-მინსტერში უფრო მეტად ამაღელვა, ვიდრე უშველებელმა ხომალდებმა ოსლოს მუზეუმში.

ჩვენი გზები იყოფოდა. სადამოს ულრიკა ლონდონში მიემგზავრებოდა, მე – ედინბურგში.

– მინდა ოქსფორდ-სტრიტზე გავიარო, – თქვა ულრიკამ, – სადაც დე კუინსი თავის ანას ეძებდა, ლონდონის ხალხმრავლობაში რომ დაეკარგა.

– დე კუინსიმ, – გამოვეხმაურე, – ძებნა შეწყვიტა. მე კი უკვე ამდენი წელია სულ ვეძებ და ვეძებ.

– და მგონი, იპოვე, – ჩუმიად წარმოთქვა.

მივხვდი, რომ ახლა შეიძლებოდა ყველაზე არაჩვეულებრივი და სანუკვარი ახდენილიყო და თვალებისა და ტუჩების კოცნა დავუწყე. მსუბუქად გამერიდა, მცირე ხანს გაჩუმდა, მერე კი თქვა:

– მე ტორგეიტში გავხდები შენი. მანამდე კი ხელს ნუ მახლებ. გთხოვ. ასე ჯობია.

ბებერი ბერბიჭასთვის სიყვარულის აღთქმა უნებლიე ძღვენია. მოსალოდნელ სასწაულს სრული უფლება აქვს, პირობები გიკარნახოს. ჩემი სიჭაბუკე გამახსენდა, პოპიანში და ტეხასელი გოგონა, ქერათმიანი და მოქნილი, როგორც ულრიკა, რომელმაც ჩემი სიყვარული უარყო.

შეცდომა არ დამიშვია და არ მიკითხავს, ვუყვარდი თუ არა. ვხვდებოდი, რომ არც პირველი აღმოვჩნდებოდი და არც უკანასკნელად დავრჩებოდი. ეს თავგადასავალი, ჩანდა, ჩემთვის საბოლოო, იბსენის ამ ბრწყინვალე და თამამი აღზრდილისთვის, ერთ-ერთი იყო მრავალთაგან.

ხელჩაკიდებულნი მივაბიჯებდით.

– ეს ყველაფერი სიზმარს ჰგავს, – ვთქვი მე, – მე კი არასდროს ვნახულობ სიზმრებს.

– როგორც ის მეფე, – გამომეხმაურა ულრიკა, – რომელიც არასდროს ხედავდა სიზმრებს, სანამ ჯადოქარმა საღორეში არ დააძინა, – და წამის შემდეგ დასძინა, – უსმინე. ახლა ჩიტი ამღერდება.

წამის შემდეგ გალობის ხმა მოისმა.

– ამ მხარეში სჯერათ, – ვუთხარი მე, – რომ სიკვდილისთვის განწირულთ მომავლის წინასწარმეტყველება შეუძლიათ.

– ჰოდა, ვარ კიდევ განწირული, – იყო პასუხი.

შემფოთებულმა შევხედე.

– ტყით წავიდეთ, – დავიჟინე მე, – ასე უფრო მოკლეა.

– ტყეში საშიშია, – მიპასუხა.

ბილიკით წავედით.

– ნეტავ ეს წუთი მარადისობად იქცეს, – ჩავიჩურჩულე.

– „მარადისობა“ – სიტყვა, ადამიანებისთვის აკრძალული, – წარმოთქვა ულრიკამ და მაღალფარდოვნება რომ შეემსუბუქებინა, მთხოვა ჩემი სახელი გამემეორებინა, რომელიც ვერ გაიგონა.

– ხავიერ ოტაროლა, – ამოვთქვი.

სცადა გაემეორებინა და ვერ შეძლო. მეც სახელი „ულრიკე“ არ გამომდიოდა.

– სიგურდს დაგიძახებ, – თქვა ღიმილით.

– თუ ასეა, – მეც გავეპასუხე, – შენ ბრუნჰილდა იქნები.

ნაბიჯი შეანელა.

– იცი ეს საგა? – ვკითხე მე.

– რა თქმა უნდა. ტრაგიკული ამბავია, რომელიც გერმანელებმა მერე გააფუჭეს თავიანთი „ნიბელუნგებით“.

არ შევდავებივარ და ვუთხარი:

– ბრუნჰილდა, ისე მოაბიჯებ, თითქოს გინდა, რომ სარეცელზე ჩვენ შორის ხმალი ესვენოს.

მაგრამ ჩვენ უკვე სასტუმროს წინ ვიდექით. რატომღაც არ გამკვირვებია, როცა მასაც Northern Inn ერქვა.

კიბეზე ასულმა ულრიკამ გადმომძახა:

– გესმის, მგელო? ინგლისში ძაღლები არ დარჩა. მოდი ჩქარა.

ასვლისას შევნიშნე, რომ კედლები უილიამ მორისის გემოვნებით იყო შეფერილი: მუქ წითლად, ნაყოფებისა და ჩიტების გამოსახულებებით. ულრიკა პირველი შევიდა. ბნელი ოთახი დაბალი იყო, სხვენივით. ნანატრი ლოგინი მქრქალ მინაში მეორდებოდა და მუქის ხის სიპრიალემ ბიბლიის სარკე გამახსენა.

ულრიკამ უკვე გაიხადა. სახელით მეძახდა: „ხავიერ“. ვიგრძენი, რომ უფრო მსხვილად ჩამოთოვა. საგნები და სარკეები დაიკარგა. ხმალი არ გვყოფდა. დრო ქვიშასავით მიედინებოდა. სიბნელეში სიყვარული საუკუნოდ გრძელდებოდა და ულრიკას სახე პირველად და უკანასკნელად იყო ჩემი.

სხვა ორთაბრძოლა

ბევრი დრო არ გასულა მას მერე, რაც ურუგვაელი მწერლის კარლოს რეილესის ვაჟმა ეს ამბავი მიაშო ადროგას კვარტალში, ზაფხულის ერთ საღამოს. სიძულვილის გრძელი ქრონიკა და მისი საშინელი დასასრული ჩემს მეხსიერებაში შეერწყა ევკალიპტების სააფთიაქო სუნსა და ფრინველების ხმებს.

როგორც ყოველთვის, ჩვენი ორი ქვეყნის არეულ ამბებზე ვსაუბრობდით. რეილესი დაინტერესდა, ხომ არ გამიგონია რაიმე ხუან პატრისიო ნოლანზე, თავის დროზე ცნობილ ყალთაბანდსა და ოხუნჯზე. ვიცრუე და ვუპასუხე, რომ გამეგონა. მართალია, ნოლანი ჯერ კიდევ ცხრაასიან წლებში გარდაიცვალა, ბევრი დღემდე მეგობრულად იხსენებდა. თუმცა არაკეთილისმსურველებიც მოიძებნებოდნენ. რეილესმა თავისი ურიცხვი ცელქობიდან ერთ-ერთის შესახებ მიაშო. შემთხვევა მანანტიალესთან შეტაკებამდე ცოტა ხნით ადრე მომხდარიყო, მთავარი გმირები კი იყვნენ სერო-ლარგოელი გაუჩოები – მანუელ კარდოსო და კარმენ სილვეირა.

როგორ და რის გამო წარმოიშვა მათი სიძულვილი? ახლა, თითქმის საუკუნის შემდეგ, როგორ აღვადგინოთ ორი მამაკაცის ბუნდოვანი ამბავი, რომელთაგან მეხსიერებაში დარჩა მხოლოდ მათი უკანასკნელი ორთაბრძოლა? რეილესი-უფროსის მამულის მმართველმა, კაცმა, რომელიც ატარებდა სახელს ლადერეჩა და „ვეფხვის ულვაში“, ზეპირი გადმოცემით დააზუსტა გარკვეული დეტალები, რომლებსაც აქ დიდი რწმუნებით არ მოგიყვანთ, რამეთუ მივიწყებაც და მეხსიერებაც თანაბრად გამომგონებლები არიან.

მანუელ კარდოსო და კარმენ სილვეირა ერთმანეთის მეზობლად დარიბულ ნაკვეთებს ფლობდნენ. სიძულვილის წყარო, ისე როგორც სხვა ვნებების, ბნელია. საუბრობდნენ დაუდალავი საქონლის გამო წარმოშობილ ქიშპზე, თუ დოღზე, რომლის დროსაც სილვეირამ, რომელიც ძალით უსწრებდა მეტოქეს, კარდოსოს ცხენს აჯობა. რამდენიმე თვის შემდეგ ერთმანეთს ეჯიბრებოდნენ ტრუკოში[16] ადგილობრივი პულპერიის[17] მაგიდასთან. სილვეირა ხმამაღლა ულოცავდა მეტოქეს თითოეულ ცუდ სვლას და ბოლოს სუფთად დაამარცხა. ტყავის ქამარში ფულს რომ იღებდა, სილვეირამ მადლობა გადაუხადა კარდოსოს გაკვეთილისთვის. კიდევ ცოტაც და საქმე ალბათ ხელჩართულ ომში გადაიზრდებოდა. გახურებული თამაში იყო, მაყურებელიც არ ესწრებოდა ცოტა და პარტნიორებს ახელებდნენ. იმ სასტიკ მიდამოებში მხოლოდ ასე თუ ცხოვრობდნენ – კაცი კაცის წინააღმდეგ, დანა დანის პირისპირ; თუმცა კარდოსოსა და სილვეირას ამბავში ისიც აღსანიშნავია, რომ ისინი ალბათ არაერთხელ შესჩებებიან ერთმანეთს ახლო-მახლო ფერდობებზე დილასაც და საღამოსაც, მაგრამ არც ერთხელ ბოლომდე არ უჩხუბიათ. ჩანდა, თითოეული მათგანის უბადრუკ, პრიმიტიულ ცხოვრებაში არაფერი იყო უფრო

მკირფასი ამ სიძულვილზე, და ორივე ზრუნვით დაჰფოფინებდა მას. ვერც კი ეჭვობდნენ, რომ ერთმანეთის მონებად იქცნენ.

შემდგომ მოვლენებზე რომ ვსაუბრობ, არ ვიცი, სად არის აქ მიზეზები და სად – შედეგები. კარდოსო, არა იმდენად სიყვარულით, რამდენადაც გართობის მიზნით, ვინმე სერვილიანას დაუკავშირდა, მეზობლად მცხოვრებ გოგონას; როგორც კი ამის შესახებ შეიტყო, სილვეირაც წაეარშიყა მას, თავისთან წაიყვანა, რამდენიმე დღეში კი გააგდო, ფეხებში ნუ მებლანდებო. გაცოფებული გოგონა კარდოსოს მივარდა მფარველობის მოლოდინში, თუმცა მან იმ ღამით დაიტოვა, გაჟიმა, დილას კი გამოემშვიდობა, სხვისი ნარჩენებით გაგულისებული.

დაახლოებით მაშინვე, ოღონდ არ მახსოვს, სერვილიანამდე თუ მის შემდეგ, მოხდა მოდარაჯე ძაღლის ამბავი. სილვეირას ის ძალიან უყვარდა და ურუგვაის დამაარსებელთა რაოდენობის მიხედვით, ოცდაცამეტს ეძახდა. ძაღლი არხში იპოვეს მკვდარი; სილვეირას თავი არ უმტვრევია იმაზე ფიქრით, ვინ დაუყარა ცხოველს შხამი.

1870 წლის ზამთარში აპარისიოს მიერ ატეხილმა ამბოხმა იმავე პულპერიაში, ბანქოს თამაშისას უწიათ. მეამბოხეთა მეთაურმა, მულატმა ბრაზილიელმა შეკრებილთ მიმართა, რომ ისინი სამშობლოს სჭირდებოდა და რომ აღარ მოითმენდნენ მთავრობის მხრიდან ჩაგვრას, თეთრი ემბლემები დაურიგა და სიტყვა რომ დაასრულა, რომელიც მთლად კარგად ვერც ვერავინ გაიგო, ჩვენი გმირები სხვებთან ერთად გაუყენა გზას. ოჯახებთან გამოსამშვიდობებლადაც კი არ გაუშვეს. მანუელ კარდოსომ და კარმენ სილვეირამ ეს ისე მიიღეს, როგორც მოვალეობა: ჯარისკაცის ცხოვრება მცირედ თუ განსხვავდება გაუჩოს ცხოვრებისგან. მიწაზე ძილს, თავქვემ უნაგირამოდებულს, დიდი ხანია შეეჩვივნენ. ხელეზს, რომელიც იოლად დასცემდა ხარს, არ გაურთულდებოდა ადამიანის მოცეღვა. წარმოსახვის არმქონენი არ გრძნობდნენ არც სიბრაღულს, არც შიშს, თუმცა ზოგჯერ ტანში გააჟრჟოლებდათ, შეტევაზე რომ მიდიოდნენ. უზანგებისა და იარაღის ჟღარუნს, როცა საქმეში ცხენოსანთა არმია ჩაებმება, ნებისმიერი გაიგონებს. მაგრამ თუ მაშინვე არ დაგჭრიან, მერე უკვე თავი უვნებელი გგონია. სახლი არ ენატრებოდათ. პატრიოტიზმის იდეაც უცხო იყო მათთვის და მხარზე თუ ქუდზე ამოკვეთილი გერბის გარდა არაფერი აკავშირებდათ არც ერთ და არც მეორე მხარესთან.

მალე გამოიწრთნენ კვერთხის ფლობაში. შეტევებსა და კონტრშეტევებში ორივე მიხვდა, რომ შეიძლებოდა თანამებრძოლები ყოფილიყვნენ და მტრებად დარჩენილიყვნენ. მხარდამხარ მებრძოლთ, როგორც ცნობილია, ერთმანეთთან სიტყვა არ გაუცვლიათ.

სამოცდათერთმეტის ჩახუთულ შემოდგომაზე ეწვიათ აღსასრული. მოკლე, საათზე მცირეხნიანი ბრძოლა ერთ-ერთ იმ ყრუ კუთხეში გაიმართა, რომლის სახელწოდებაც არავინ იცოდა (ისტორიკოსებმა ის გაცილებით გვიან „მონათლეს“). დილას

შეტაკებათ კარდოსო ოთხით გახობდა მეთაურის კარავთან და მოგუდული ხმით სთხოვა, გამარჯვების შემთხვევაში რომელიმე კოლორადოელი მისთვის დაეტოვებინა, რადგან ცხოვრებაში არ გამოუღადრავს კაცისთვის ყელი და უნდა გაიგოს, როგორია ეს სინამდვილეში. ოფიცერი დაჰპირდა, შეგისრულებ, თუ ბრძოლაში ნამდვილი მამაკაცივით გამოიჩენო თავს.

ბლანკოელები რაოდენობით ჯაბნიდნენ, მაგრამ კოლორადოელები უკეთ იყვნენ შეიარაღებულნი და ფერდობიდან ცელავდნენ მოწინააღმდეგეს. მწვერვალისკენ ორი წარუმატებელი გასროლის შემდეგ ბლანკოს მეთაურმა თავისებს უბრძანა, ჩაჰბარებოდნენ. იმავე წუთს მას, მისივე თხოვნით, გულში დანა დასცეს.

თავდამსხმელებმა იარაღი დაყარეს. კაპიტანმა ხუან პატრისიო ნოლანმა, რომელიც კოლორადოელებს მეთაურობდა, ტყვეთა მოსალოდნელი განადგურება უმცირეს დეტალებამდე დაგეგმა. თვითონაც სერო-ლარგოდან იყო და სილვეირასა და კარდოსოს ძველისძველი მტრობის შესახებ ყველაფერი იცოდა. ბრძანა ისინი მოეძებნათ და გამოაცხადა:

– როგორც მსმენია, ერთმანეთს ვერ იტანთ და რა ხანია ეძებთ ანგარიშსწორების შესაფერის შემთხვევას. ჩათვალეთ, რომ გაგიმართლათ. ჯერ კიდევ მზის ჩასვლამდე გექნებათ შესაძლებლობა გვიჩვენოთ, თქვენ ორს შორის რომელია ნამდვილი მამაკაცი. ყელს გამოგჭრიან, მერე კი სარბოლოდ გაგიშვებენ. გამარჯვება ღვთის ხელშია.

დარაჯმა ისინი უკან წაიყვანა.

ახალი ამბავი მთელ ბანაკში დაირხა. ნოლანმა თავდაპირველად ბრძანება გასცა სალამოს აქციის დასრულების შემდეგ მოეწყოთ რბოლა, თუმცა ტყვეებმა დელეგატი გამოგზავნეს საუწყებლად, რომ მათაც სურდათ მაყურებლებად ყოფნა და პრეტენდენტებზე საკუთარი ფსონების დადება. გამგებიანმა ადამიანმა – ნოლანმა შემხვედრი ნაბიჯი გადადგა. ფსონებად იღებდნენ ფულს, იარაღს, ცხენებს, მათ აღკაზმულობას. საშინლად დახუთული ჰაერი იყო. შეთანხმდნენ ოთხზე დაეწყოთ, რომ სიესტას არავინ გამოკლებოდა. ლათინოამერიკული წესების თანახმად, ნოლანმა მოლოდინი კიდევ ერთი საათით გადასწია. ჩანდა, დანარჩენ ოფიცრებთან ახალ გამარჯვებას განიხილავდა; შიკრიკი აქეთ-იქით დარბოდა ჩაიდნით ხელში.

მტვრიანი გზის ორივე მხარეს, კარვების გასწვრივ ხელებშეკრული და მიწაზე ჩამომსხდარი ტყვეების რიგები გადაჭიმულიყო. ზოგიერთი გულს გინებით იმშვიდებდა, სხვები კი „მამაო ჩვენოს“ იმეორებდნენ, თითქმის ყველა დათრგუნვილი გამოიყურებოდა. მოწევა, რასაკვირველია, არავის შეეძლო, რბოლის თავი უკვე აღარ ჰქონდათ, მაგრამ ყველა წინ იყურებოდა.

– მალე მეც გამომჭრიან ყელს, – ამოიოხრა ერთმა.

– და მერე როგორ, ერთიანად გაგათავებენ, – აიტაცა მეზობელმა.

– თორემ შენ სხვანაირად მოგექცევიან, – კბილებში გამოსცრა პირველმა.

სერჟანტმა ხმლით მოხაზა გზის გასწვრივ. სილვეირსა და კარდოსოს ფეხები გაუხსნეს, რომ თავისუფლად ერბინათ. ორივე დადგა ნიშნულთან ერთმანეთისგან ხუთიოდე ნაბიჯში. ოფიცრებმა მოუწოდეს, მათი იმედები გაემართლებინათ, რამეთუ მათზე სათითაოდ დიდი ფული ჰქონდათ დადებული.

სილვეირას ფერადკანიანთან მოუწია საქმის დაჭერა, ვინმე ნოლანთან. ჩანდა, მისი წინაპრები მონები იყვნენ კაპიტნის მამულში და ამიტომაც ატარებდა მის გვარს. კარდოსოს პროფესიონალი ერგო, მოხუცი კორიენტესიდან, რომელსაც ჩვეულებად ჰქონდა განსასჯელების წახალისება, მათ მხარზე ურტყამდა ხელს და ჩაილაპარაკებდა: „აბა, აბა, ბიჭო, ქალები მეტს ითმენენ, მშობიარობენ“.

ლოდინით გატანჯულნი, წინ წამდგარნი ერთმანეთს უყურებდნენ.

ნოლანმა ანიშნა, დაიწყეთო.

დაკისრებული როლით გაამაყებულმა ფერადკანიანმა ერთი ხელის მოსმით გაუჭრა ყელი ყურიდან ყურამდე; კორიენტინელი ვიწრო ჭრილობით შემოიფარგლა. ხორხიდან სისხლმა ამოსჩქეფა. მეტოქეებმა რამდენიმე ნაბიჯი წინ წადგეს და... პირქვე დაემხნენ. დაცემისას კარდოსომ ხელები წინ გადაშალა. ასე, ალბათ, ვერც კი გაიგო ამის შესახებ ისე, მან მოიგო.

ხუან მურანია

მრავალი წელი დაუღალავად ვიმეორებდი, რომ ბუენოს-აირესის რაიონ პალერმოში გავიზარდე. ვაღიარებ, ეს მხოლოდ და მხოლოდ ლიტერატურული ბაქიაობა იყო; სინამდვილეში გრძელი გისოსების მიღმა გავიზარდე, მამაჩემისა და ჩემი წინაპრების სახლში, ბალითა და წიგნებით. დანებისა და გიტარების პალერმო (როგორც მე მარწმუნებდნენ) ნებისმიერ ლუდხანაში იყო მოქცეული, 1930 წელს სპეციალური ნაშრომი მივუძღვენი ევარისტო კარიეგოს, ჩვენს მეზობელს, რომელიც იქაურობის მეხოტბე იყო. მალე ერთმა შემთხვევამ ემილიო ტრაპანის გადამყარა. მატარებლით მივემგზავრებოდი მორონში; ტრაპანიმ, რომელიც ფანჯარასთან იჯდა, სახელით მიხმო. მაშინვე ვერ ვიცანი: მას მერე, რაც ერთ მერხს ვუსხედით მე-6 სკოლაში ტემზის ქუჩაზე, არაერთი ათწლეული გავიდა. ის უცილობლად ეხსომება რობერტო გოდელს.

არასდროს ვყოფილვართ განსაკუთრებული მეგობრები. დრომ და ორმხრივმა გულგრილობამ კიდევ უფრო შორს გაგვყარა. მახსოვს, მაშინდელი „ლუმფარდოს“ [18] საწყისებს მაზიარებდა.

საკმაოდ ტრივიალური საუბარი გაიმართა, როცა ცდილობ მეხსიერებიდან უსარგებლო ფაქტები ამოატივტივო და აღმოაჩენ, რომ შენი თანაკლასელი, არსებითად, მოკვდა, მისგან მხოლოდ სახელი დარჩა.

მოულოდნელად ტრაპანიმ თქვა:

– შენი წიგნი მათხოვეს, კარიეგოზე. იქ თავზეხელაღებულთა დროებაზე საუბრობ. შენ, ბორხეს, საიდან შეიძლება იცნობდე ყაჩაღებს?

გულუბრყვილო გაცემებით შემომხედა.

– დოკუმენტები შევისწავლე...

შემაწყვეტინა:

– დოკუმენტები სიტყვებია. მე დოკუმენტები არაფერში მჭირდება. მე თვით მაგ ხალხს ვიცნობ, – ერთხანს გაჩუმდა, მერე დასძინა, თითქოს საიდუმლოს მიმხედა, – მე ხუან მურანიას ნათესავი ვარ.

პალერმოში ცხრაასიან წლებში დანის მოტრიალეთა შორის მურანია ყველაზე ცნობილი იყო. ტრაპანიმ განმარტა:

– ჩემი დეიდა ფლორენტინა მისი ცოლი იყო. ეს ალბათ შენ დაგაინტერესებს.

აქა-იქ გამომკრთალი რიტორიკული პათოსი და ზოგიერთი მეტისმეტად გრძელი ფრაზა მაფიქრებინებდა, რომ თავის ამბავს პირველად არ ჰყვებოდა.

– დედას არასდროს არ მოსწონდა, რომ მისმა დამ ხუან მურანიას დაუკავშირა ცხოვრება. ის მისთვის ბოლომდე უხემ ცხოველად დარჩა, დეიდა ფლორენტინასთვის კი იგი მოქმედების ადამიანი იყო. მის გარდაცვალებაზე ათასგვარ რამეს ჭორაობდნენ. ზოგიერთი ამტკიცებდა, რომ ერთ ღამეს, ღორივით მთვრალი, კორონელის ქუჩის კუთხეში თავისი ეტლიდან გადმოვარდა და თავით ქვას დაენარცხა. იმასაც ამბობდნენ, რომ პოლიცია ეძებდა და ურუგვაიში გაიქცა. დედაჩემი, რომელიც ვერასდროს ვერ იტანდა თავის სიძეს, არაფერს მიხსნიდა. მე კი მაშინ ძალიან პატარა ვიყავი და არ მახსოვდა ბიძია ხუანი.

ასწლოვანი იუბილეს წელს რასელის ჩიხში ვცხოვრობდით, გრძელ და ვიწრო სახლში. უკანა გასასვლელი, რომელიც ჩვეულებრივ გასაღებით იყო დაკეტილი, წმინდა სალვადორის ქუჩაზე გადიოდა. დეიდა, რომელიც მაშინ უკვე ასაკში გახლდათ და უცნაურობებიც ახასიათებდა, ზემოთ მდებარე პატარა ოთახს იყო შეკედლებული. გამხდარი და ძვალმსხვილი ძალიან დიდი მეჩვენებოდა და ხშირად დუმდა. სუფთა ჰაერს ვერ იტანდა და სახლს თითქმის არასდროს ტოვებდა, არც ის უყვარდა, მასთან თუ შევიდოდა ვინმე. არაერთხელ შემინიშნავს, როგორ აწაპნიდა ხოლმე მაგიდიდან საკვებს და მალავდა. კვარტალში ამბობდნენ, რომ მურანიას

გარდაცვალების თუ გაუჩინარების შემდეგ ის ცოტა ჭკუიდან შეირყა. მახსოვს, სულ შავები ეცვა. კიდეც, ჩვევად ჰქონდა საკუთარ თავთან ლაპარაკი.

სახლი ვინმე სენიორ ლუჩესის ეკუთვნოდა, ბარაკასის რაიონში სადალაქოს მეპატრონეს. დედა შინ კერავდა რალაცებს, მაგრამ ჩვენი საქმე მაინც ჭკავად იყო. ყველაფერი არ მესმოდა, თუმცა ჩურჩულით წარმოთქმულ სიტყვებს ვიჭერდი: „სასამართლოს უწყება“, „ქონების აღწერა“, „გასახლება გადაუხდელობის გამო“. დედა სასოწარკვეთილებაში ჩავარდა, დეიდა კი ჯიუტად იმეორებდა: „ხუანი არ დაუშვებს, რომ ვიღაც გრინგომ ქუჩაში გაგყაროს“. ყოველ ჯერზე – უკვე ზეპირად ვიცოდით – ჰყვებოდა, რა დაემართა ერთ თავხედს სამხრეთი კვარტალებიდან, რომელმაც საკუთარ თავს უფლება მისცა და მისი ქმრის სიმამაცეში ეჭვი შეიტანა. ეს რომ შეიტყო, მურანიას დრო არ დანანებია, ქალაქის მეორე ბოლოს მიაღწია, ბაქია იპოვა, დანით მოუღო ბოლო და გვამი რიაჩუელოში გადაისროლა. მართლა მოხდა თუ არა ასეთი რამ, არ ვიცი; მთავარია, რომ მას ჰყვებოდნენ და მისი სჯეროდათ.

ჩამინებული უკვე ვხედავდი ჩემს თავს უპატრონოს, სერანოს ქუჩის ნანგრევებში დამწყვდეულს, მაწანწალას ან ატმის დამტარებელს. ეს უკანასკნელი საქმიანობა მომწონდა კიდეც, რადგან სკოლის მეცადინეობებიდან გამათავისუფლებდა.

არ მახსოვს, რამდენ ხანს გრძელდებოდა ჩვენი შფოთვა. შენმა განსვენებულმა მამამ ერთხელ ჩემი თანდასწრებით თქვა, რომ დრო არ იყოფა დღეებად, როგორც ქონება – სენტავოებად ან პესოებად: ყველა პესო ერთნაირია, როცა ყველა დღე, ან ყოველი საათიც კი – განსხვავებული. ვეჭვობ, მაშინ მივმხვდარიყავი, რას გულისხმობდა ის, მაგრამ ეს ფრაზა გონებაში ჩამიჯდა.

ერთ დამეს სიზმარი ვნახე, რომელიც კომმარით დამთავრდა. ბიძია ხუანი მესიზმრა. არ ვიცნობდი, მაგრამ ჯმუხი მყავდა წარმოდგენილი, ინდიელთა სისხლის ნარევით, მეჩხერი უღვაშით და არეული ქოჩრით. სამხრეთისკენ მივდიოდით ქვის სამტეხლოებისა და სამოვრების გავლით, თუმცა ქვის სამტეხლოც და სამოვარიც ტემზის ქუჩა იყო. მზე შუბისტარზე იდგა. ბიძია ხუანი შავებში იყო გამოწყობილი. რომელიღაც უფსკრულზე გადებულ ხიდთან გაჩერდა. ხელი პიჯაკის ქვეშ ჰქონდა ამოდებული, გულთან, ოღონდ თითქოს კი არ იღებდა, არამედ პირიქით, მალავდა იარაღს. ნაღვლიანი ხმით მითხრა: „ძალიან შევიცვალე“. ხელი ამოიღო და შევარდნის ბრჭყალები დავინახე. სიბნელეში ყვირილით გამომეღვიძა.

დილას დედამ ბრძანა, ლუჩესისთან მიმეცილებინა. ვიცოდი, რომ გადავადების სათხოვნელად მიდიოდა და ალბათ თან იმიტომ მივყავდი, რომ მეპატრონეს შეჰბრალებოდა. დისთვის სიტყვა არ უთქვამს: ის არასდროს დართავდა ნებას, ასე დაემცირებინა თავი.

ადრე არ ვყოფილვარ ბარაკასში. მეჩვენებოდა, რომ იქ გაცილებით ხალხმრავლობა იყო, მეტი მაღაზია და ნაკლები მიტოვებული ადგილი. კუთხეში რომ შევუხვიეთ,

ჩვენთვის საჭირო სახლთან პოლიცია და ხალხის ბრბო შევნიშნეთ. ჯგუფიდან ჯგუფზე გადაჩურჩულებით ერთ-ერთი ადგილობრივი ჰყვებოდა, რომ დილის სამ საათზე კაკუნმა გააღვიძა; გაიგონა, სახლის კარი როგორ გაიღო და ვიღაც შემოვიდა. კარი ღია დარჩა, დილას კი ნახევრად ჩაცმული ლუჩესი მისაღებში მწოლიარე ნახეს. დანით იყო განგმირული. მარტო ცხოვრობდა, დამნაშავე არ აღმოუჩენიათ. სახლში არაფერი დაკარგულა. ვიღაცას გაახსენდა, რომ ბოლო დროს მოკლული თითქმის მთლად დაბრმავდა. სხვამ მრავალმნიშვნელოვნად დასძინა: „ჩანს, მისი ჟამი მოვიდა“. სიტყვებმა და ტონმა ჩემზე დიდი შთაბეჭდილება მოახდინა; წლების შემდეგ დავრწმუნდი, რომ ასეთ შემთხვევაში ყოველთვის მოიძებნება ხოლმე ორატორი, რომელიც მსგავს აღმოჩენას აკეთებს.

კუბოსთან შეკრებილებმა ყავა შემოგვთავაზეს. ერთი ფინჯანი გამოვართვი. ყუთში მიცვალეზულის ნაცვლად ცვილის თოჯინა იწვა. დედას ვუთხარი ამის შესახებ. ერთ-ერთმა იქ მყოფთაგანმა გაიღიმა და მითხრა, რომ ეს შავებში ჩაცმული თოჯინა იყო სწორედ სენიორ ლუჩესი. დაზაფრული წამოვდექი, უკეთ შესახედად. დედამ ხელზე მომქაჩა.

მრავალი თვის განმავლობაში გარშემო ყველა ამაზე ლაპარაკობდა. მკვლელობა იმ ხანებში იშვიათად ხდებოდა: გახსოვს, რამხელა ხმაური მოჰყვა მელენას, კამპანისა და სილიეტეროს საქმეს? ერთადერთი ადამიანი ბუენოს-აირესში, რომელსაც წარბი არ შეუხრია, დეიდა ფლორენტინა იყო. ბებრული სიჯიუტით იმეორებდა:

– ხომ გეუბნებოდით, რომ ხუანი არ მისცემდა უფლებას ვიღაც გრინგოს, ჩვენ გარეთ გავეძევებინეთ.

ერთ დილას კოკისპირულად წვიმდა. სკოლაში ვერ წავედი და სახლში დავბორიალებდი. ასე მოხვდი მაღლა. დეიდა მუხლებზე ხელებდაწყობილი იჯდა. თითქოს გაქვავებული. ოთახი სინესტის სუნით იყო გაჯერებული. ერთ კუთხეში რკინის საწოლი იდგა, ზამბარებიანი, მეორეში – ხის სკივრი ტანსაცმლისთვის. შებათქაშებულ კედელზე იაფფასიანი ლითოგრაფია ეკიდა, რომელზეც ღვთისმშობელი იყო გამოსახული. პატარა მაგიდაზე შანდალი იდგა.

თვალები არ აუწევია, ისე მითხრა დეიდამ:

– ვიცი, რატომაც მოხვედი. დედაშენმა გამოგაგზავნა. ის ვერაფრით იჯერებს, როგორ შეძლო ხუანმა ჩვენი შველა.

– ხუანმა? – დავიბენი, – ხუანი ხომ ათი წლის წინ მოკვდა.

– ხუანი აქ არის, – შემედავა, – გინდა გაჩვენო?

მაგიდის უჯრა გამოსწია და დანა ამოიღო. მერე შერბილებული ხმით დაამატა:

– აი ისიც. მე ვიცოდი, რომ ის არ მიმატოვებდა. ასეთი მეორე არ ყოფილა ამქვეყნად. მან გრინგოს სულის მოთქმის საშუალებაც კი არ მისცა.

მაშინღა მივხვდი ყველაფერს. ამ საბრალო, ჭკუას გადაცდენილმა მოხუცმა მოკლა ლუჩესი. სიძულვილითა და სიგიჟით შეპყრობილმა, ან იქნებ, სიყვარულით, – ვინ იცის? – უკანა გასასვლელიდან დატოვა სახლი, ბნელ ღამეში ქუჩა გადაკვეთა, საჭირო სახლი იპოვა და ამ თავისი დიდი გამვალტყავებული ხელებით ჩაასო დანა. მურანიას დანა იყო, მურანიასი, რომელსაც მკვდარსაც კი ეთაყვანებოდა.

დღემდე არ ვიცი, გაენდო თუ არა დეიდა დედაჩემს. ჩვენი გამოსახლების წინ ის გარდაიცვალა.

ტრაპანიმ თხრობა დაასრულა. მეტად აღარ შევხვედრივართ ერთმანეთს. ამ ქალის, ქვრივის ამბავში, რომელმაც თავისი ქმარი – თავისი ვეფხვი – მის მიერ დატოვებულ ნივთთან გააიგივა, მისი სისასტიკის იარაღთან, მე ერთგვარი სიმბოლო მესახება. ადამიანი სახელად ხუან მურანია ერთ დროს ჩემი ბავშვობის ქუჩებში დადიოდა, მან შეიცნო ის, რაც თითოეულმა უნდა შეიცნოს, და ბოლოს და ბოლოს სიკვდილის გემო იგემა, რათა მერე დანად გარდაქცეულიყო, დღეს – დანის შესახებ მოგონებებად, ხვალ კი – მივიწყებად, რომელსაც ვერავინ აუვლის გვერდს.

THERE ARE MORE THINGS

(ბევრი რამ არის ამქვეყნად)

ჰოვარდ ფ. ლავკრაფტის სახსოვრად

ოსტინში, ტეხასის უნივერსიტეტში ბოლო გამოსაშვები გამოცდა როგორც კი ჩავაბარე, ცნობა მივიღე, რომ ლათინოამერიკულ მიყრუებულ სოფელში ანევრიზმით გარდაიცვალა ბიძაჩემი ედვინ არნეტი. სხვის სიკვდილთან შეხებისას თითოეული ადამიანი მიეცემა უნაყოფო სინანულს, საკუთარ თავს საყვედურობს უწინდელი უგულობის გამო. ადამიანებს ავიწყდებათ, რომ ისინი მიცვალებულნი არიან, რომელნიც მიცვალებულებს ესაუბრებიან. უნივერსიტეტში ფილოსოფიას ვსწავლობდი. მახსოვს, ბიძაჩემი, რომელიც არ იშველიებდა არანაირ ავტორიტეტებს, გორაკების სიახლოვეს, წითელ მამულში, ჩემ წინაშე ფილოსოფიის საუცხოო თავსატეხებს ხსნიდა. დესერტზე მორთმეული ფორთოხლის მეშვეობით მაზიარა ბერკლის იდეალიზმს; ჭადრაკის დაფა საკმარისი აღმოჩნდა ელექტების პარადოქსების გასაცნობად. მოგვიანებით მანვე მომცა მეოთხე განზომილების რეალურობის დამტკიცების მიზნით შეპყრობილის ჰინტონის შრომები, მკითხველს ფერადი კუბებით აგებული მახვილგონივრული ფიგურების მაგალითზე რომ

არწმუნებდა საკუთარი თეორიის ჭეშმარიტებაში. ახლაც გონებაში მიტივტივებს პრიზმები და პირამიდები, რომლებსაც მაშინ კაბინეტის იატაკზე ვაწყობდით.

ბიძია ინჟინრად მუშაობდა რკინიგზაზე. სამსახურიდან წამოსვლამდე გადაწყვიტა, ტურდერში დასახლებულიყო, მიყრუებულ სოფელში, ბუენოს-აირესის სიახლოვეს. გასაკვირი არ არის, რომ სახლის აშენება თავის უახლოეს მეგობარს ალექსანდრ მიუირს დაავალა. ეს მკაცრი ადამიანი ნოქსის მკაცრ სწავლებას ქადაგებდა, ბიძია კი, იმ ეპოქის კეთილშობილი უმრავლესობის ჩვეულებსამებრ, თავს თავისუფლად მოაზროვნედ მიიჩნევდა, ან უფრო ზუსტად, აგნოსტიკოსად, თუმცაღა თეოლოგიით ინტერესდებოდა, როგორც ინტერესდებოდა ჰინტონის კუბებით და ახალგაზრდა უელსის გააზრებული კომმარებით. ძაღლებზე გიჟდებოდა. თავის უშველებელ ნაგაზს ახლობელი და შორეული ლიჩფილდის სახსოვრად სემუელ ჯონსონი დაარქვა.

წითელი მამული გორაკზე იდგა, ჰორიზონტამდე გადაწვდენილი მდელოებით გარემოცული. სახლს, მიუხედავად გაღავანს შემოვლებული არაუკარიებისა, პირქუში იერი ედო. ჩვეულებრივი ბრტყელი სახურავის ნაცვლად, მის კედლებსა და პაწაწინა ფანჯრებს თავზე ეხურა ორ მხარეს დამრეცი კრამიტის სახურავი და კვადრატული კოშკურა. ბავშვობაში შევეგუე ამ სიმახინჯეს, როგორც ეჩვევი ყველა შეუსაბამობას, რომლებიც მხოლოდ მარტივი არსებობის ძალით იწოდება სამყაროდ.

სამშობლოში 1921 წელს დავბრუნდი. სახლი, სასამართლო გარჩევების თავიდან ასაცილებლად, გასაყიდად გაიტანეს. ის ვიღაც უცნობს ერგო, სახელად მაქს პრეტორიუსს, რომელმაც დადგენილზე ორჯერ მეტი თანხა გადაიხადა. კონტრაქტის ხელმოწერის შემდეგ ერთხელ საღამოსკენ მოვიდა ორ ხელქვეითთან ერთად და ძველ არხში ჩაუშვა უწინდელი ავეჯი, წიგნები და ჭურჭელი (ნაღვლიანად ვიხსენებ დიაგრამებს ჰინტონის ტომებში და უშველებელ გლობუსს). დილისკენ პატრონი მიუირს შეხვდა და შესთავაზა, სახლში რაიმე გადაეკეთებინა, რაზეც აღშფოთებული უარი მიიღო. ბოლოს და ბოლოს საქმე რომელიღაც დედაქალაქურმა კანტორმა ითავა. ადგილობრივმა დურგლებმა უარი თქვეს სახლის ხელახალ გაწყობაზე და მხოლოდ ვინმე მარიანიმ გლიუდან მიიღო პრეტორიუსის პირობები. მას ორი კვირა გადაბმით მოუხდა მუშაობა დახურულ დარაბებში. ღამით კი წითელ მამულში ახალი მფლობელიც შევიდა. ფანჯრები კვლავ არ გახსნილა, მაგრამ ღამდამობით ადვილად შეიძლებოდა დარაბებში შუქის სხივების დანახვა. ერთ დილას მერძევე გაღავანთან ნაგაზის თავმოჭრილ და გამოშიგნულ გვამს წააწყდა. ზამთარში არაუკარიებიც გაჩეხეს. არავინ აღარ შეხვედრია პრეტორიუსს, რომელმაც, ჩანს, ქვეყანა დატოვა.

მგსავს ახალ ამბებს, რასაკვირველია, გულგრილი არ დავუტოვებოვარ. ვალიარებ, ჩემი მთავარი თვისება ცნობისმოყვარეობაა: მან არაერთხელ მიბიძგა სრულიად უცხო ქალის ალერსისკენ. მხოლოდ იმისთვის, რომ უფრო ახლოს გამეცნო, ან კიდევ ოპიუმში სიამოვნების პოვნის მცდელობისკენ (თუმცაღა, აღვნიშნავ, უშედეგო), ან

სულაც სახიფათო თავგადასავლებს კენ, რომელთაგან ერთ-ერთზე ახლა გიამბობთ. მაშ ასე, თავში აზრად მომივიდა, მომხდარი გამომეძიებინა.

პირველი ნაბიჯი იყო ალექსანდრ მიუერთან გამგზავრება. ჯმუხი და შავგვრემანი მახსოვდა, ძვალწვრილი, თუმცა ძლიერი, ახლა ის წლებს მოედრიკა, შავი წვერი გასჭადრაგებოდა. თავის სახლში მიმიღო, რომელიც ბიძაჩემის საცხოვრებლისგან დიდად არ განსხვავდებოდა, ორივენი ხომ შესანიშნავი პოეტისა და უგერგილო არქიტექტორის უილიამ მორისის კაპიტალურ მანერას მისდევდნენ.

ჩვენს საუბარს გულისხმიერი ნამდვილად არ ეთქმოდა. შოტლანდიის სიმბოლო ტყუილად როდია ბირკავა. თუმცა მივხვდი, რომ მაგარი ცვილონური ჩაი და ურიცხვი კვერები (რომლებსაც პატრონი ტეხდა და თბილ კარაქიან და თაფლიან რძეში ალბობდა, თითქოს ისევ ბავშვი ვიყავი) მართლაც კალვინისტის მოკრძალებული ტრაპეზი იყო, რომელიც ძველი მეგობრის ძმისშვილს მოუწყო. მათი უხსოვარი თეოლოგიური პაექრობანი გახანგრძლივებულ საჭადრაკო პარტიას ჰგავდა, რომლის დროსაც მეტოქეებს თითქოს აღარ აქვთ სხვა გამოსავალი, გარდა ერთად მოქმედებისა.

დრო გადიოდა, მე კი ვერა და ვერ ვახერხებდი საქმეზე გადასვლას. უხერხული სიჩუმე ჩამოწვა. მიუირი ალაპარაკდა:

– ახალგაზრდავ, ვფიქრობ, თქვენ აქ იმისთვის არ ჩამოსულხართ, რომ ედვინზე ან შეერთებულ შტატებზე იმასლაათოთ, რომლის წესებიც, მართალი რომ გითხრათ, სრულიად არ მალელებს. თქვენ დამდამობით გაშფოთებთ წითელი მამულის გაყიდვა და მისი უცნაური მყიდველი. მეც ასევე. მართალი გითხრათ, ეს ამბავი არ მომწონს, ყველაფერს გიამბობთ, რაც ვიცი. თუმცაღა ბევრი რამ, სამწუხაროდ, არ ვიცი.

მცირე დუმილის შემდეგ აუჩქარებლად განაგრძო:

– ედვინის გარდაცვალებამდე მცირე ხნით ადრე მისმა მმართველმა კანტორაში მიმიწვია. იქ ჩვენი ტაძრის მოძღვარიც დამხვდა. შემომთავაზეს, კათოლიკური სამლოცველოს პროექტი გამეკეთებინა. სასტიკი უარი ვთქვი. მე შემოქმედს ვემსახურები და მსგავს საზიზღრობაზე არ წავალ: საკურთხეველი ავაგო კერპთაყვანისმცემლობისთვის.

გაჩუმდა.

– სულ ეს არის? – გავბედე მეკითხა.

– არა. ამ ბინძურ პრეტარიუსსაც სურდა, რომ სახლი დამენგრია, რომელიც თავად ავაგე, და მის ადგილას რაღაც ამაზრზენი აღმემართა. საზიზღრობა მრავალსახოვანია.

ეს სიტყვები მკაცრი სახით თქვა და წამოდგა.

კუთხეში რომ შევუხვიე, დანიელ იბეროს შევეჩხე, ერთმანეთს ვიცნობდით, როგორც ყველანი შემოგარენში. შემომთავაზა, გავიაროთო. არასდროს მიტაცებდა ბოროტმოქმედები და უკვე წინასწარ ვგრძნობდი, მოვისმენდი უხამს, ფაცხაში მოსაყოლ ასე თუ ისე აპოკრიფულ და აუცილებლად სისხლიან ამბებს, მაგრამ დავუთმე და მიწვევა მივიღე. თითქმის შებნელებული იყო. როცა შორიდან გორაკზე შესკუპებული წითელი მამული გამოჩნდა, იბერა გამომეშვიდობა. ვკითხე მიზეზი. პასუხმა გამაოგნა.

– დონ ფელიპეს მარჯვენა ხელი ვარ. ჯერ არავის უთქვამს ჩემთვის, უსუსური ხარო. შენ ხომ გახსოვს ის ბიჭი, ურგოიტი, როგორ უნდოდა ჩემთვის ანგარიში გაესწორებინა და რა დაემართა. მაშ ასე. ერთხელ წვეულებიდან მოვდივარ. მამულიდან ასიოდე ნაბიჯში ვგრძნობ, ვიღაც არის იქ. ჩემმა რაშმა ვაშლის ხეებში ისე მოქუსლა, უცებ აღვირი რომ არ დამეჭირა და გზა არ გამესწორებინა, დღეს ეს საუბარი არ გვექნებოდა. რომ მახსენდება, რა დამეზმანა მაშინ, სისხლი მეყინება. – წყობილებიდან გამოსულმა მაგრად შეიგინა.

იმ ღამით თვალი არ მომიხუჭავს. დილისკენ პირანეზის მანერით შესრულებული ნახატი მომელანდა, ის არასდროს მინახავს, ხოლო თუ მინახავს კიდეც, აშკარად დამავიწყდა: ლაბირინთს გამოხატავდა. ქვის ამფითეატრი კვიპაროსების გარემოცვაში, მათ წვერებზე მალდებოდა. არც კარები, არც ფანჯრები – მხოლოდ ჭაბურღილების უსასრულო რიგი ვერტიკალში. ვცდილობდი მინოტავრი დამენახა ჭოგრიტში. ბოლოს და ბოლოს დავინახე კიდეც. ეს იყო ურჩხულთა ურჩხული: მიწაზე გართხმულიყო ადამიანი უფრო არა ხარის, არამედ ბიზონის თავით, და ჩანდა, თითქოს ეძინა და ოცნებობდა. რაზე ან ვისზე?

საღამოს მამულის გვერდით ჩავიარე. კარი დაკეტილი იყო, გისოსების კბილანები გადაღუნულიყო. ძველი ბაღი ბალახბულახით იყო ავსებული. მარჯვნივ არაღრმა ნაპირებში გათელილი თხრილი გაჭიმულიყო.

კიდეც ერთი ვარიანტი რჩებოდა, მაგრამ არ მინდოდა აჩქარება – და არა მხოლოდ უსაფრთხოებისთვის, არამედ იმიტომაც, რომ მას უცილობელი და უკანასკნელი ნაბიჯი მოსდევდა.

მცირე იმედით გავეშურე გლიუმში. დურგალი მარიანი ზორბა და მოლიმარი იტალიელი აღმოჩნდა, ასაკოვანი, თავაზიანი და ხალისიანი. საკმარისი იყო მისთვის შემეხედა, მაშინვე თავიდან ამოვიგდე წინასწან მოფიქრებული ეშმაკობები. სავიზიტო ბარათი გადავეცი, რომელიც მთელი ხმით საზეიმოდ წაიკითხა, მოწიწებით დამიკრა თავი სიტყვაზე „დოქტორი“. განვუმარტე, რომ ავეჯით ვარ დაინტერესებული, რომელიც ტურდერში ბიძაჩემის სახლისთვის დაამზადა. მაშინვე დაიქოქა. არც კი მიცდია მთელი ეს დაუსრულებელი და შესტებით გაძლიერებული სიტყვები გამერჩია, როცა უცებ გამოაცხადა, რომ კლიენტის ნებისმიერი, თუნდაც ყველაზე გაუგონარი სურვილი მისთვის კანონია და რომ ის ზუსტად შეკვეთის

თანახმად მუშაობდა. სხვადასხვა ყუთი გადაქეჩა და რაღაც გაუგებარი ქაღალდები გადმომცა, მოუხელთებელი პრეტორიუსის მიერ ხელმოწერილი (ჩანს, ადვოკატად მიმიღო). გამომშვიდობებისას მარწმუნებდა, რომ მთელი ქვეყნის ოქროს ფასად არ დაბრუნდებოდა ტურდერში, განსაკუთრებით კი იმ მამულში. კლიენტის სიტყვები ღვთიურია, დასძინა მან, მაგრამ მისი მოკრძალებული აზრით, ბატონი პრეტორიუსი შეშლილია. მერე, თითქოს შერცხვაო, გაჩუმდა. მეტი სიტყვა ვეღარ გამოვძალე.

მსგავსი შედეგი ვივარაუდე, მაგრამ ერთია ივარაუდო და სულ სხვა – მიაღწიო.

ბევრჯერ მითქვამს საკუთარი თავისთვის, რომ ერთადერთი საიდუმლო დროა, წარსულის, აწმყოსა და მომავლის უსასრულო წნული, ყოველთვის და არასდროს. თუმცა მთელ ჩემს თვითჩაღრმავებულ ფიქრებს არაფერთან არ მივყავდი: მორიგ სადამოს ვუთმობდი შოპენჰაუერის თუ როისის სწავლებებს, ყოველ ღამე დავებეტებოდი იმავე გზებზე წითელი მამულის გარშემო. ხანდახან ზემოთ უფრო ნათელ შუქს ვარჩევდი, შიგადაშიგ კვნესაც მესმოდა. ასე გრძელდებოდა ცხრამეტ იანვრამდე.

ერთ-ერთი ბუნოსაირესული დღე იყო, როცა თავს უბრალოდ მიგდებულად ან გათანგულად კი არა, უჰაერობისგან გასრესილად გრძნობ. ღამის თერთმეტ საათზე ქარიშხალი ამოვარდა. ჯერ სამხრეთიდან დაუბერა, მერე წვიმამაც დაუშვა. ვეძებდი ერთ ხეს მაინც, რომ თავი შემეფარებინა. ელჭექს ჩემგან ორ ნაბიჯში გალავნის გისოსის გაელვება მოჰყვა. შიშისგან თუ რაღაცის იმედით ჭიშკარს ვუბიძგე. მოულოდნელად დამემორჩილა. ქარმა შიგნით შემაგდო. მიწა და ცა ავისმომასწავებლად გაშავებულიყო. სახლის კარი ნახევრად ღია იყო. წვიმა სახეში მომემხეფა და შიგნით შევაბიჯე.

ფილებით მოპირკეთებული კედლები აღმართულიყო. გათელილი მინდორი გავიარე. ყველგან მოტკბო გულისამრევი სუნი იდგა. არ მახსოვს, მარჯვნივ თუ მარცხნივ ქვის კიბეს გადავეყარე. ნაჩქარევად ავედი და თითქმის გაუცნობიერებლად მოვატრიალე ჩამრთველი.

ჩემი ბავშვობის სასადილო ოთახი და ბიბლიოთეკა ახლა მათი გამყოფი კედლის გარეშე ერთ უშველებელ, თითქმის მიტოვებულ დარბაზად ქცეულიყო, რაღაც ავეჯით. არც კი ვეცდები მის აღწერას, რადგან არ ვარ დარწმუნებული, რომ საკუთარი თვალით ვნახე, თუმცაღა აუტანლად მკვეთრი შუქი იყო. ავხსნი. ხედავ იმას, რასაც აღიქვამ. სკამი ადამიანის სხეულისთვის სარგო ზომისაა, მაკრატელი – ჭრის სარგო ზომის. ისევა ლამფისა თუ ეტლის შემთხვევაში, მაგრამ ველური ვერ აღიქვამს მისიონერის ბიბლიას, გემის მგზავრი კი მის მექანიზმს სხვანაირად ხედავს, ვიდრე მუშა ჯგუფი. ჩვენ რომ სინამდვილეში ვხედავდეთ სამყაროს, მას გავიგებდით.

არც ერთი იმ უაზრო ფორმიდან, რომლებსაც იმ ღამემ შემახვედრა, არ შეეფარდებოდა არც ადამიანურ სხეულს, არც ყოველდღიურ ჩვეულებებს. ამაზროვნე და

გულისამრევი იყო. ერთ-ერთ კუთხეში დაკიდული კიბე იყო, რომელიც ერთი სართულით ზემოთ მიემართებოდა. მის დაახლოებით ათ ფართო ფოლადის საფეხურს შორის არასწორი ფორმის ნაპრალები ჩანდა. ეს კიბე, რომელიც ასე თუ ისე ხელსა და ფეხს ვარაუდობდა, გასაგები და ერთგვარად დამამშვიდებელი იყო. შუქი ჩავაქრე და გავჩერდი, სიბნელეს თვალი შევაჩვიე. სრული სიწყნარე სუფევდა, მაგრამ უჩვეულოდ გაწყობილი ოთახი გზაფრავდა. ბოლოს გავბედე.

ავედი და ისევ გაუბედავად გადავატრიალე ჩამრთველი. კოშმარი, რომელიც ქვედა სართულზე შეინიშნებოდა, ზემოთ გაფურჩქნილიყო და გნთქავდა. გარშემო ბევრი რაღაც დავინახე. ან შეიძლება, ცოტა, მაგრამ ერთ გროვად. მახსენდება რაღაც ვრცელი და ძალიან მაღალი საოპერაციო მაგიდის მსგავსი, ნალის ფორმის, მრგვალი ამოღრმავებებით ბოლოებში. პატრონის სარეცელი ხომ არ არის, გამიელვა თავში, და როგორც ჩრდილი, მისი ამაზრზენი ცხოველური თუ ღვთაებრივი ანატომიის შესახებ ხომ არ მინიშნებს? რაღაც დიდი ხნის წინ წაკითხული ლუკანის გვერდიდან ამოტივტივდა სიტყვა „ამფისბენა“ [19], რომელიც ნაწილობრივ ხსნიდა, თუმცა არანაირად არ ამოწურავდა იმას, რაც შემდეგ დავინახე. მახსოვს კიდევ ზემოთკენ აშვერილი და მაღლა წყვდიადში ჩაკარგული სარკეების მახვილი კუთხე.

როგორი იყო ბინადარი? რას ეძებდა ამ პლანეტაზე, მისთვის არანაკლებ საშიშზე, ვიდრე ის იყო ჩვენთვის? ასტრონომიის თუ ისტორიის რომელი მიჩქმალული უბნებიდან, რომელი შორეული და ახლა უკვე შეუცნობელი წყვდიადიდან გამოცხადდა ამ სამხრეთამერიკულ ალაგას, სწორედ ამ ღამით?

თავი პირველყოფილ ქაოსში შეჭრილად ვიგრძენი. ფანჯრის მიღმა წვიმა შენელდა. საათს დავხედე და გაოგნებულმა აღმოვაჩინე, რომ უკვე თითქმის ორი საათი იყო. შუქი დავტოვე და ფრთხილად დავიძარი კიბისკენ. იქნებ მოვახერხო იქ ჩასვლა, საიდანაც ეს-ესაა ამოვედი. დავეშვა მანამდე, სანამ ბინადარი დაბრუნდება. ვიფიქრე, რომ ორივე კარი არ დამიკეტავს, რადგან უბრალოდ არ ვიცოდი.

ფეხით უკვე შევეხე კიბის ბოლოსწინა ფრთას, როცა ვიგრძენი, რომ საფეხურებზე ვიღაც ამოდიოდა – დამთრგუნველი, წყნარი და უსაზღვრო. ცნობისმოყვარეობა შიშზე ძლიერი იყო და თვალი არ დამიხუჭავს.

როსენდო ხუარესის ამბავი

ღამის თერთმეტი საათი იყო. ალმასენში [20] შევედი, ბოლივარისა და ვენესუელის ქუჩების გადაკვეთაზე, სადაც ახლა ბარია. კუთხიდან ვილაცამ გამომძახა. მის მანერაში იყო რაღაც მედიდური, ყოველ შემთხვევაში, მაშინვე დავემორჩილე. ერთ-ერთ მაგიდას უჯდა და რატომღაც გადავწყვიტე, რომ აქ დიდი ხანი იქნებოდა,

ცარიელ ჭიქას ჩაჩერებული. საშუალო სიმაღლის იყო, უბრალო ხელოსანს ჰგავდა ან ძველი დროის გლეხს. მეჩხერ უღვაშში ჭადარა შერეოდა. უნდობელს, ყველა დედაქალაქელივით, შარფი არ მოეხსნა. დასალევად დამპატიჟა. მივუჯექი და გამოველაპარაკე. ეს ოცდაათობმეტში იყო.

კაცმა მითხრა:

– ჩემზე ალბათ არ გაგიგონიათ, მე კი თქვენ გიცნობთ, სენიორ. მე როსენდო ხუარესი ვარ. განსვენებული პარედესი მიამბობდა თქვენ შესახებ. მოხუცს თავისი ახირებები ჰქონდა. ცოტა ტყუილებიც უყვარდა, და იმიტომ კი არა, რომ ეცრუა, არამედ ხალხის გასართობად. ახლა, როცა ორივენი ვუსაქმურობთ და მოვიწყინეთ, გიამბობთ, სინამდვილეში რა მოხდა იმ ღამეს, ღამეს, როცა მჭრელი მოკლეს. თქვენ, სენიორ, აღწერეთ ეს მოთხრობაში, რომლის შეფასების უნარიც მე არ მაქვს, თუმცა მინდა, რომ სიმართლე იცოდეთ და არა მხოლოდ გამონაგონი.

გაჩუმდა, თითქოს რაღაცას იხსენებდა და განაგრძო:

– არის რაღაცეები, რასაც წლების შემდეგ აცნობიერებ. რაც იმ ღამით მოხდა, დიდი ხნის წინ დაიწყო. მალდონადოს კვარტალში გავიზარდე, ფლიურესტოს მიღმა. ეს საზიზღარი ჯურღმული იყო, რომელიც, საბედნიეროდ, მოასუფთავეს. ყოველთვის მიმაჩნდა, რომ პროგრესს ვერ შეაჩერებ. ვერც იმას აირჩევ, სად დაიბადები. მამაჩემის სახელის გაგება არ მეწერა. დედაჩემი კი, კლემენტინა ხუარესი, ღირსეული ქალი გახლდათ, უთოობით შოულობდა პურის ფულს. მე მგონი, ენტრე-რიოსიდან იყო ან აღმოსავლეთიდან, ყოველ შემთხვევაში, თავის საახლობლოს იხსენებდა ხოლმე ქალაქ კონსეპსიონ-დელ-ურუგვაიდან. ბალახივით ვიზრდებოდი. ჯოხებით ჩხუბი ვისწავლე. მაშინ ჯერ კიდევ არ მოგვწონდა ფეხბურთი, მას ინგლისელების მონაჩმახად ვთვლიდით.

ერთ საღამოს აღმასენში ბიჭი გადამეკიდა, გარმენდია. პასუხს არ ვცემდი, მაგრამ მთვრალი იყო და არ მეშვებოდა. გამოვედით. უკვე ტროტუარიდან დაიძახა ღია კარში:

– დამელოდეთ, ახლავე დავბრუნდები!

დანა თან მქონდა; მდინარის ნაპირს მივუყვებოდით, ნელ-ნელა, ერთმანეთს თვალს არ ვაშორებდით. გარმენდია რამდენიმე წლით იყო უფროსი; არაერთხელ გვიჩხუბია და ვგრძნობდი, რომ ჩემს დაჭრას აპირებდა. მე ჩიხის მარჯვენა მხარეს მოვდიოდი, ის – მარცხნივ. ნაგვის გროვაზე გადაიქცა. როგორც კი შექანდა, მაშინვე დაუფიქრებლად მივვარდი. სახეში ვთხლიშე, ერთმანეთს ჩავაფრინდით. ასეთ წუთებში ყველაფერი შეიძლება მოხდეს. ბოლოს და ბოლოს დანით მივაყენე დარტყმა, რომელიც გადამწყვეტი აღმოჩნდა. მხოლოდ მერე ვიგრძენი, რომ მანაც დამჭრა, ოღნავ გამკაწრა. იმ ღამით მივხვდი, რომ ადამიანის მოკვლა რთული არ არის და კიდევ ისიც გავიგე, როგორ კეთდება ეს. მდინარე შორს დგაფუნობდა. დრო რომ არ დამეკარგა,

აგურის ღუმლის უკან დავმალე მკვდარი. სიბრიყვით თან წავიღე ბეჭედი, რომელიც სულ ზედ ეკეთა ხოლმე. წამოვიცვი, ქუდი ჩამოვიფხატე და აღმასენში დავბრუნდი. აუჩქარებლად შევედი და ვთქვი:

– აი, მეც დავბრუნდი.

ჭიქა წყალი შევუკვეთე, ყელი მიშრებოდა. მაშინღა მივაქციე ყურადღება სისხლის ლაქას.

მთელი დღე ვიწრიალე ტახტზე და დილამდე თვალი ვერ მოვხუჭე. დილას პოლიციამ მომაკითხა.

განსვენებული დედაჩემი, საბრალო, მთელი ხმით აქვითინდა. ისე მიმათრევდნენ, როგორც დამნაშავეს. ორი დღე და ღამე მარტოკას მომიწია ყურყუტმა. არავინ მოდიოდა ჩემ სანახავად, მხოლოდ ლუის ირალა, ერთგული მეგობარი, თუმცა მას ნება არ მისცეს. მესამე დილას პოლიციის ინსპექტორმა გამომიძახა. სკამზე გადათხლეშილი იჯდა და შემომყურებდა. მერე მკითხა:

– მაშ ეს თქვენ გაუყენეთ გარმენდია იმ ქვეყანას?

– რაკი თქვენ ასე ამბობთ... – ვუპასუხე მე.

– მე „სენიორით“ უნდა მომმართო. აზრი არ აქვს უარყოფას და მტკიცებას. აი, მოწმეთა ჩვენებები და ბეჭედი, რომელიც შენს სახლში ვიპოვეთ. დაუყოვნებლივ მოაწერე ხელი აღიარებით ჩვენებას.

ბუმბული მელანში დაასველა და გამომიწოდა.

– ნება მომეცით ცოტა ხანს ვიფიქრო, სენიორ ინსპექტორო, – როგორღაც მივხვდი, რომ ეს მეთხოვა.

– ოცდაოთხ საათს გაძლევ, რომ კარგად იფიქრო, მარტოკამ. არ აგაჩქარებ. თუ გონს არ მოეგები, ლას-ერასის ქუჩაზე აღმოჩნდები.

ადვილი წარმოსადგენია, რომ ვერ მივხვდი, რას გულისხმობდა.

– თუ დამთანხმდები, სულ რამდენიმე დღე იჯდები. მერე გამოგიშვებენ და დონ ნიკოლას პარედესმა დამარწმუნა, რომ შენს საქმეებს მოაგვარებს.

ათი დღე გავიდა. ბოლოს და ბოლოს შემითანხმდნენ.

ხელი მოვაწერე, როგორც მათ სურდათ, და ერთ-ერთმა მცველმა კაბრერას ქუჩაზე გამიყვანა.

გასასვლელთან ცხენები იდგნენ, კართან და შიგნით მეტი ადამიანი ირეოდა, ვიდრე ბორდელში. ეს კომიტეტი აღმოჩნდა. დონ ნიკოლასმა, რომელიც მატეს სვამდა,

როგორც იქნა მიმილო. აუჩქარებლად ამიხსნა, რომ მორონში გამგზავნიდა, სადაც არჩევნებისთვის მიდიოდა მზადება. სასინჯად სენიორ ლაფერერთან მგზავნიდნენ. წერილი შავებში ჩაცმულმა ყმაწვილმა დაწერა, რომელიც ლექსებს თხზავდა. მათში, როგორც გავიგონე, მოხუცებულთა სახლებსა და სულმდაბლობაზე, განათლებული საზოგადოებისთვის ნაკლებად საინტერესო თემებზე იყო საუბარი. მადლობა გადავუხადე და გამოვედი. მცველი უკვე გაუჩინარებულიყო.

ყველაფერი კარგად გამოვიდა. განგებამ უწყის, რასაც აკეთებს. გარმენდიას სიკვდილი, რომელიც თავდაპირველად ასე მთრგუნავდა, ახლა გზებს მიხსნიდა. რა თქმა უნდა, მთავრობას ყურებით ვყავდი დაჭერილი. პარტიისთვის რომ არ მეძუშავა, ჩამაყუდებდნენ, მაგრამ მე ძალებს არ ვიშურებდი და მენდობოდნენ.

სენიორ ლაფერერმა გამაფრთხილა, რომ ისე მოვქცეულიყავი, როგორც საჭირო იყო და ასეთ შემთხვევაში მის პირად მცველად მაქცევდა. გავაკეთე ის, რასაც ჩემგან ელოდნენ. მორონში და მოგვიანებით კვარტალში ხელმძღვანელობის ნდობა დავიმსახურე. პოლიციამ და პარტიამ სასოწარკვეთილის სახელი გამითქვეს. მნიშვნელოვან როლს ვასრულებდი დედაქალაქისა და პროვინციის საარჩევნო პერიპეტებში. ადრე არჩევნები არ იყო ხანგრძლივი. არ მინდა დაგვალათ, სენიორ, სისხლიანი შემთხვევების აღწერით. ვერასდროს ვიტანდი რადიკალებს. მე ყველა პატივს მცემდა. ქალი გავიჩინე, ლუხანერა, და მშვენიერი ჟღალი ცხენი. წლობით განვასახიერებდი მორეირას, როგორც თავის დროზე ყოველი მეორე გაუჩო. ბანქოთი და აბზინდის ნაყენით ვერთობოდი.

ჩვენ, მოხუცები, ერთი რომ ავყბედდებით, ვეღარ გაგვაჩერებ, მაგრამ იმას ვუახლოვდები, რის შესახებაც ვაპირებდი თხრობას. არ ვიცი, ვახსენე თუ არა უკვე ლუის ირალი, იშვიათი მეგობარი. უკვე ასაკოვანი იყო, მაგრამ არანაირ შრომას არ ერიდებოდა და მეც ვუყვარდი. ცხოვრებაში არც ერთ კომიტეტთანაც არ იყო დაკავშირებული. საარსებო ფულს დურგლობით შოულობდა. არავის არ უძვრებოდა და არც არავის რთავდა ნებას, რომ მას შესძრომოდა. ერთ დილას ჩემთან შემოვიდა და მითხრა:

– იმის სათქმელად მოვედი, რომ კასილდამ მიმატოვა. რუფინო აგილერამ წაიყვანა.

ამ კაცს უკვე გადავყროდი მორონში. ვუპასუხე:

– ჰო, ვიცნობ. ყველაზე უარესი ნამდვილად არ არის აგილერას ოჯახობიდან.

– უარესია თუ არა, ჩემთან მოუწევს საქმის დაჭერა.

ვიფიქრე და ვუთხარი:

– შენთვის არაფერი არ წაურთმევია. თუ კასილდამ დაგტოვა, გამოდის, რომ მას უყვარს რუფინო, შენ კი მისთვის სულერთი ხარ.

– ხალხი რაღას იტყვის? რომ მე ლაჩარი ვარ?

– ჩემი რჩევაა, არ ჩაერიო ამ ამბავში იმის გამო, თუ რის თქმა შეუძლია ხალხს და იმ ქალის გამო, რომელსაც აღარ უყვარხარ.

– მასთან საქმე არ მაქვს. მამაკაცი, რომელიც ხუთ წუთზე მეტ ხანს ფიქრობს ქალზე, კაცი კი არაა, ჩვარია. კასილდაზე არ ვდარდობ. ბოლო ღამეს, როცა ერთად ვიყავით, მითხრა, რომ ვბერდები.

– მართალი უთქვამს.

– სიმართლე მტკივნეულია. ვინც ახლა მჭირდება, ეს რუფინოა.

– მომისმინე. ის მერლოში არჩევნებზე ვნახე საქმეში. მამაცი ვინმეა.

– გგონია, მეშინია?

– ვიცი, რომ არ გეშინია, მაგრამ აბა კარგად დაფიქრდი. ორიდან ერთია: ან შენ მოკლავ და ციხეში მოხვდები, ან ის მოგკლავს და სასაფლაოსკენ გაგიყენებს.

– მერე რა? შენ როგორ მოიქცეოდი ჩემს ადგილას?

– არ ვიცი, მაგრამ მე მაგალითად არ გამოვდგები. ციხისთვის რომ თავი დამელწია, კომიტეტში მწმენდავად ვიქეცი.

– მე არ გავხდები მწმენდავი არც ერთ კომიტეტში, მე ანგარიშის გასწორება მინდა.

– გამოდის, შენს სიმშვიდეს დააყენებ სასწორზე, კაცმა არ იცის ვის გამო და ასევე ქალის, რომელიც არ გიყვარს?

მეტი აღარ მოუსმენია. წავიდა. მეორე დღეს გავიგე, რომ რუფინოს მორონში მაღაზიაში წაჰკიდებია და რომ რუფინომ ის მოკლა.

ის სიკვდილზე მიდიოდა და მოკლეს კიდეც, პატიოსნად, ერთი ერთზე. მე მეგობრული რჩევა მივეცი, მაგრამ თავს დამნაშავედ ვგრძნობდი.

დაკრძალვიდან რამდენიმე დღის შემდეგ მამლების ბრძოლაზე წავედი. განსაკუთრებით არასდროს მომწონდა ეს ბრძოლები, მაგრამ იმ კვირას უბრალოდ გულისამრევი იყო ყველაფერი. ამ ფრინველებს რომ ჩავუარე გვერდით, მათთვის თავების წაგლეჯაც კი მომინდა.

იმ ღამით, რომლის შესახებაც გაიამბობთ, უფრო სწორად, იმ ღამით, რომლითაც სრულდება ჩემი ნაამბობი, მეგობრებს შევუთანხმდი, რომ პარდასთან ცეკვებზე წავიდოდი. რამდენი წელი გავიდა, მაგრამ ახლაც კი მახსოვს ჩემი მეგობარი გოგონას ჭრელი კაბა. ღია ცის ქვეშ ვერთობოდით. ხმაურიანი ღრეობის გარეშეც ვერ გავძელით. მე ვიზრუნე, რომ ყველაფერი ისე ყოფილიყო, როგორც ღმერთი ინებებდა.

თორმეტი არ იყო, როცა უცნობები მოვიდნენ. ერთმა, რომელსაც მჭრელს ეძახდნენ და რომელიც იმ ღამით მოღალატურად მოკლეს, ყველასთვის შეუკვეთა დასალევი. უნდოდა, შემთხვევით ესარგებლა და ეჩვენებინა, რომ ჩვენ ორივენი ერთი ყაიდისანი ვიყავით. მაგრამ რაღაც ჩაიფიქრა: მომიახლოვდა და ქება დამიწყო. მითხრა, რომ ის ჩრდილოეთიდან არის და რომ იქ ჩემ შესახებ ხმები მიუვიდა. ლაპარაკს არ ვუშლიდი, მაგრამ რაღაც უსიამო ვიეჭვე. დაუსრულებლად სვამდა, ეტყობა, გამბედაობისთვის, და ბოლოს და ბოლოს საჩხუბრად გამიწვია. მაშინ მოხდა სწორედ ის, რის გაგებაც არავის სურს. ამ თავხედურ სიცელქეში საკუთარი თავი დავინახე, როგორც სარკეში და სირცხვილმა დამწვა. შიში არ მქონია. რომ შემშინებოდა, ალბათ, ჩხუბში ჩავერთვებოდი. ისევ ისე გავაგრძელე დგომა, თითქოს არაფერი მომხდარიყოს. უფრო ახლოს მოვიდა და იყვირა, ისე, რომ ყველას გაეგონა:

– აი, ჩანს, რომ ლაჩარი ხარ!

– დაე ვიყო, – ვუპასუხე მშვიდად, – არ მეშინია ლაჩრის სახელის. შეგიძლია დაამატო, თუ ასე მოგწონს, რომ დედაჩემიც შეურაცხყავი და შემარცხვინე. აბა, მოგეშვა?

ლუხანერამ ჟილეტიდან დანა გამოაძრო, ჩვეულებრივ იქ მქონდა ხოლმე და გაბრაზებულმა ხელში მომაჩიჩა.

– როსენდო, მე ვფიქრობ, რომ ეს გამოგადგება.

დანა დავაგდე და ნაჩქარევად გავედი. ხალხი გაოგნებული გაიწ-გამოიწია და გამატარა. სულ არ მენალვლებოდა, რას ფიქრობდნენ ისინი.

ამ ცხოვრებისთვის რომ ბოლო მომელო, აღმოსავლეთ რესპუბლიკაში გავიქეცი, სადაც მეურმე გავხდი. დაბრუნების შემდეგ აქ დავსახლდი. სან-ტელმო ყოველთვის მშვიდი კვარტალი იყო.

გარეწარი ქალი

ამბობენ (თუმცაღა ხმების დაჯერება ძნელია), რომ ეს ამბავი თვით ედუარდოს მონაყოლია, უმცროსი ნილსენის, კრისტიანის, მისი უფროსი ძმის კუბოს თავთან ღამის თენების დროს. კრისტიანი ბუნებრივი სიკვდილით მოკვდა ათას რვაას ოთხმოცდა რომელიღაც წელს, მორონის ოლქში. მაგრამ ზუსტად არის ცნობილი, რომ ვიღაცამ ეს ამბავი ვილაცისგან გაიგონა იმ გაჭიანურებული ღამის დროს, რომელსაც მწარე მატეს სმით ვკლავდით, და გადმოსცა სანტიაგო დაბოვეს, მან კი მე მიაძმო. დიდი ხნის შემდეგ ისევ მოვისმინე ეს ამბავი ტურდერში. მეორე ვერსია, ოდნავ უფრო დაწვრილებითი, მთლიანობაში შეესაბამებოდა სანტიაგოს ნაამბობს – გარკვეული ვარიაციებითა და გადახრებით, რაც ჩვეულებრივი ამბავია. მე კი ამ

ამბავს ახლა იმიტომ ვწერ, რომ მასში სარკესავით ჩანს, თუ არ ვცდები, დედაქალაქის შემოგარენის უწინდელი მცხოვრებლების ხასიათის ტრაგიკული და მკაფიო არსი. ვეცდები ზუსტად გადმოვცე ყველაფერი, თუმცადა უკვე ვგრძნობ, რომ ლიტერატურულ ცდუნებებს ავყვები, არასაჭირო წვრილმანების ხაზგასმით თუ შელამაზებით.

ტურდერში მათ ნილსენებს უწოდებდნენ. ეკლესიის მოძღვარმა მითხრა, რომ მისი წინამორბედი გაცოცდა, როდესაც ამ ადამიანების სახლში გაცვეთილი ბიბლია ნახა, შავი ყდით და გოთური შრიფტით; ბოლო გვერდებზე ხელით მონიშნული თარიღები და სახელები შენიშნა. ეს ერთადერთი წიგნი იყო სახლში. ნილსენების უწესრიგო ქრონიკა ისე გაუჩინარდა, როგორც ყველაფერი გაუჩინარდება. სახლი, უკვე არარსებული, ალიზით იყო ნაშენი, ორი პატიოთი: მთავართ, რომელიც წითელი ფილებით იყო გაწყობილი, და მეორით – მიწის იატაკით. თუმცადა იქ ბევრი არავინ შეივლიდა. ნილსენები თავიანთ მარტოობას იცავდნენ. მუნწად გაწყობილ ოთახებში ხის საწოლებზე იწვნენ. მათი სიამოვნება იყო ცხენი თავისი აღკაზმულობით, დანა მოკლე ტარით, მგზნებარე სუფრები შაბათობით და სულის მამამებელი ალკოჰოლი. ვიცი, რომ ისინი მაღლები იყვნენ, ჟღალი ქოჩრებით. დანია თუ ირლანდია, რომელთა შესახებაც ალბათ არც გაუგონიათ, ამ ორი კრეოლის სისხლში იყო. არემარეში ჟღალთმიანების ემინოდათ: შესაძლოა, მათ ვიღაც მოკლეს. ერთხელ ძმები მხარდამხარ იბრძოდნენ პოლიციასთან. ამბობენ, რომ უმცროსი ერთხელ ხუან იბერასაც კი შეეჩეხა და თავის დაცვა შეძლო, რაც მცოდნე ადამიანებისთვის ბევრს ნიშნავს. ისინი მეხრეებიც იყვნენ. ტყავსაც თრიმლავენ და საქონელსაც კლავდნენ, ხანდახან საქონელსაც დაღვენდნენ. ფულის ფასი იცოდნენ, თუმცა მაგარ სასმელზე თუ თამაშებზე არ წუწურაქობდნენ. მათ ნათესავებზე არავის არაფერი გაეგონა და არავინ იცოდა, საიდან გაჩნდნენ თვითონ ისინი. ხარები ჰყავდათ კიდევ და ოთხთვალა.

თავიანთი გარეგნობით ქალაქის მკვიდრ ბინადართაგან განსხვავდებოდნენ, რომელთაც ამ ადგილს კადნიერი სახელი – წესრიგის დამრღვევთა სანაპირო უწოდეს. ეს და კიდევ ის, რაც ჩვენ არ ვუწყით, ხსნის ორი ძმის მყარ მეგობრობას. მათთან წაკინკლავება ნიშნავდა იმას, რომ ორივეს მტრად გაიხდიდი.

ნილსენები მოქეიფეები იყვნენ, თუმცა მათი სასიყვარულო თავგადასავლები ჯერჯერობით შემოიფარგლებოდა ბორდელებით ან სხვათა ალაყაფის კარებით. ამიტომაც ცოტა ჭორი როდი გაჩნდა, როცა კრისტიანმა ხულიანა ბურგოსი მიიყვანა სახლში. რა თქმა უნდა, მსახურად დაიყენა, მაგრამ ისიც მართალია, რომ მას ლამაზ ბიჟუტერიას ჩუქნიდა და თან დაჰყავდა დროსტარებისას. მეზობლების მოკრძალებულ ქეიფებზე, სადაც არ იყო მიღებული უცხო გოგონებთან გაარშიყება, ცეკვებში კი ჯერ კიდევ დიდ სიამოვნებას პოულობდნენ. ხულიანას ნუშისებრი თვალეები და მუქი კანი ჰქონდა. საკმარისი იყო მისთვის შეგეხებათ, რომ პასუხად

გაგილიმებდათ. ღარიბულ კვარტალში, სადაც ჯაფა და პრობლემები ქალებს აშრობდა და აჭკნობდა, ის მეტისმეტად მომხიზვლელი ჩანდა.

ედუარდო თავდაპირველად ყველგან მათ ახლდა თან. მერე უცებ არესიფესში გაემგზავრა – არ ვიცი რატომ – და იქიდან თან მოიყოლა, ალბათ გზად თუ აიყვანა, ვიღაც გოგონა, რამდენიმე დღეში გაამევა და კიდევ უფრო პირქუში გახდა, მარტო სვამდა ალმასენში, ყველას გაურბოდა. მას კრისტიანის გოგონა შეუყვარდა. როცა კვარტალში გაიგეს ამის შესახებ, ალბათ, თვითონ მასზე უფრო ადრეც კი, ყველა ყურებდაცქვეტილი ელოდა, რით დასრულდებოდა ძმების ეს იდუმალი მეტოქეობა.

ერთხელ, გვიან ღამით ფაცხიდან დაბრუნებულმა ედუარდომ კრისტიანის წაბლა ცხენი დაინახა, ბოძთან მიბმული. უფროსი ძმა მას პატიოში ელოდა, სადღესასწაულოდ გამოწყობილი. ქალი გავიდა და ხელში მატეთი დაბრუნდა. კრისტიანმა ედუარდოს უთხრა:

– ფარიასთან მივდივარ საქეიფოდ. ხულიანა რჩება. თუ გინდა, ისარგებლე.

ხმა მბრძანებლურად და კეთილად ისმოდა. ედუარდო ადგილზე გაშეშდა, ძმას გამჭოლად შეხედა, არ იცოდა, როგორ მოქცეულიყო. კრისტიანი წამოდგა, ედუარდოს დაემშვიდობა, ისე, რომ ხულიანასთვის არ შეუხედავს – თითქოს ის რაღაც ნივთი იყო, – ცხენზე შემოჯდა და აუჩქარებლად გააჭენა.

სწორედ იმ ღამიდან ისინი მას ინაწილებდნენ. ზუსტად არავინ იცის, როგორ მიმდინარეობდა მათი ცხოვრება ამ სამარცხვინო კავშირში, რომელმაც დასახლების წესიერი ყოფა დაარღვია. მაგრამ დიდხანს ასე ვერ გაგრძელდებოდა. ძმები ხულიანას სახელს არ წარმოთქვამდნენ, მისი მოხმობის დროსაც კი, მაგრამ ეძებდნენ – და პოულობდნენ კიდევ – მიზეზებს ქიშპისთვის. თუ კამათი ეხებოდა ტყავების გაყიდვას, კამათის მიზეზი სულაც არ იყო ტყავები. კრისტიანი ყოველთვის ხმას უწევდა, ედუარდო კი მეტად დუმდა. თავისდაუნებურად ისინი ერთმანეთზე ეჭვიანობდნენ. ადგილობრივი მხარის მკაცრი წესები მამაკაცს არ აძლევდა უფლებას, თუნდაც საკუთარ თავთან ელიარებინა, რომ ქალს შეეძლო მასში მეტი რაღაცის გამოწვევა, ვიდრე მხოლოდ მისი დაუფლების სურვილი იყო. ორივენი გამიჯნურდნენ და ეს მათ ამცირებდა ერთმანეთისა და საკუთარ თვალში.

ერთ საღამოს ლომასის მოედანზე ედუარდო ხუან იბერს შეხვდა და მან მიულოცა ლამაზმანის ხელში ჩაგდება. ვფიქრობ, სწორედ მაშინ დაალილავა ედუარდომ ის. მისი თანდასწრებით არავის ჰქონდა უფლება, კრისტიანისთვის დაეცინა.

ქალი ორივეს ცხოველური მორჩილებით ემსახურებოდა, მაგრამ ვერ მალავდა იმას, რომ უმცროსს ანიჭებდა უპირატესობას, რომელმაც თავის წილზე უარი არ თქვა, თუმცა პირველსაც არ შემოუღია სახლში ეს წესრიგი.

ერთხელ ხულიანას უბრძანეს, ორი სკამი დაედგა მთავარ პატიოში, ოღონდ თვითონ იქ არ გამოჩენილიყო – ძმებს სალაპარაკო ჰქონდათ. ქალი დიდხანს ელოდა საუბრის დასრულებას და სიესტის დროს დასასვენებლად წამოწვა, მაგრამ მალევე უხმეს. უბრძანეს შეეკრა თავისი ბარგი, შუშის კრიალოსანი და ჯვარიც კი, დედის მიერ დატოვებული. ყოველგვარი ახსნა-განმარტების გარეშე ჩასვეს ოთხთვალაში და გაუდგნენ გზას, მდუმარესა და მძიმეს. წვიმას აეტალახებინა შარა და მხოლოდ დილის ხუთი საათისთვის მიაღწიეს მორონს. იქ გოგონა ბორდელის მეპატრონეს მიჰყიდეს. გარიგება ადგილზე მოხდა, კრისტიანმა ფული აიღო და ნახევარი უმცროს ძმას გაუწოდა.

ტურდერში ნილსენებმა, რომლებმაც ბოლოს და ბოლოს სიყვარულის კლანჭებს დააღწიეს თავი (მათ დამლუპველად რომ იქცეოდა), თავიანთ უწინდელ ცხოვრებასთან ამჯობინეს დაბრუნება – მამაკაცების გარემოცვაში. და ისევ შეუდგნენ ჩხუბებს, გარჩევებსა და ძიძგილაობას.

იქნებ სჯეროდათ კიდეც თავიანთი ხსნის, მაგრამ ხშირად ხდებოდა, რომ – თითოეული თავ-თავის საქმეზე – უმიზეზოდ თუ სავსებით სამართლიანი მიზეზით სადღაც იკარგებოდა.

ახალ წლამდე ცოტა ხნით ადრე უმცროსმა თქვა, რომ ბუენოს-აირესში მიემგზავრებოდა საქმეზე. კრისტიანი მორონში გაეშურა და ზემონახსენები სახლის კართან ედუარდოს ცხენი დაინახა. შევიდა. უმცროსი ძმა იჯდა. თავის რიგს ელოდა, როგორც ჩანს.

კრისტიანმა უთხრა:

– თუ ასე გაგრძელდება, ცხენებს წავაქცევთ. ამას ისევ ჯობია, ხელთ გვყავდეს.

დიასახლისთან საუბრის შემდეგ ქამრიდან ფული ამოიღო და ძმებმა გოგონა თან წაიყვანეს. ხულიანა კრისტიანთან ერთად წავიდა. ედუარდომ თავის რაშს დაჰკრა მათრახი, რომ მათთვის არ შეეხედა.

ყველანი დაუბრუნდნენ იმას, რის შესახებაც უკვე ვისაუბრეთ. პრობლემის საძაგელი გადაწყვეტა გამოსავალი არ ყოფილა, ორივენი ურთიერთსიცრუემდე დამდაბლდნენ. კაენი სულ ახლოს დაძრწოდა, თუმცა ძმები ნილსენები ერთმანეთს ისე იყვნენ მიწებებულები – ვინ იცის, რა სირთულეები და საშიშროებები არ გადაულახავთ ერთად! – ამიერიდან ორივე ამჯობინებდა, სიბრაზე სხვებზე გადაენტხიათ. სხვებზე, ძაღლებზე, ხულიანაზე, რომელმაც ქიშპი შემოიტანა.

მარტი მთავრდებოდა, მაგრამ სიცხე არ იკლებდა, კვირას (კვირაობით ადამიანები ადრე ბრუნდებიან სახლებში), აღმასენიდან დაბრუნებულმა ედუარდომ დაინახა, რომ კრისტიანი ხარებს აბამდა. კრისტიანმა უხმო:

– მოდი ერთი აქ. რამდენიმე ტყავი უნდა წავიღო პარდოსთვის. უკვე დავტვირთე. სიგრილეში უფრო იოლია მგზავრობა.

პარდოს სავაჭრო საწყობი, მგონი, შორს იყო, სამხრეთისკენ. ლას-ტროპასის გზით მიდიოდნენ, მერე კი გაუხვიეს. ღამით ველი სულ უფრო ფართოდ იშლებოდა მათ თვალწინ. ისლიან ჭაობს გაუარეს. კრისტიანმა ჩამწვარი სიგარეტი მოისროლა და მშვიდად თქვა:

– ახლა საქმეს შევუდგეთ, ძმაო. მერე სვავები დაგვეხმარებიან. დღეს მოვკალი. დაე აქ დარჩეს თავისი ხაბაკებიანად. აღარ შეგვიქმნის პრობლემებს.

და ლამის ატირებულები ერთმანეთს ჩაეხუტნენ. ახლა კიდევ ერთი ძაფი აკავშირებდათ: ქალი, ტკივილით მიტანილი მსხვერპლად, და მისი დავიწყების აუცილებლობა.

საჩუქრების ღამე

აი, რა ამბავი მოვისმინეთ ერთხელ საკონდიტრო „აგილაში“ ფლორიდის ქუჩაზე, პიედადის მთის წვერზე.

შეცნობის პრობლემაზე ვსაუბრობდით. ერთ-ერთი დამსწრე პლატონის თეზისს ამაგრებდა იმის შესახებ, რომ ყველაფერი, რაც გარშემოა, ჩვენ წინა ცხოვრებაში გვინახავს, ამიტომაც შეცნობა ნიშნავს გახსენებას. ვილაცამ – მგონი, მამაჩემმა – ბეკონი მოიშველია, რომელსაც ეს აზრი ასე განუვითარებია: თუ შეცნობა ნიშნავს გახსენებას, მაშინ უცოდინრობა დავიწყების ტოლფასია. აქ საუბარში კიდევ ერთი თანამოსაუბრე ჩაერია, ასაკოვანი კაცი, რომელიც მსგავსი მეტაფიზიკისგან, ერთი შეხედვით, შორს უნდა ყოფილიყო. აუჩქარებლად და დამაჯერებლად საუბრობდა:

– ვერაფერს ვიტყვი პლატონურ არქეტიპებზე. არავის ახსოვს, პირველად როდის ნახა ყვითელი და შავი, როდის შეიცნო პირველად ნაყოფის გემო: ჩვენ მეტისმეტად პატარები ვიყავით, ამიტომ არ შეიძლებოდა გვეცოდნოდა, რომ ამ შემთხვევას უამრავი მსგავსი მოჰყვებოდა. მაგრამ პირველი განცდების სხვა მაგალითებიც არსებობს – ისინი არავის ავიწყდება. შემიძლია გიამბოთ, რა შემემთხვა ერთ ღამეს, მას მერე ხშირად რომ მახსენდება. ეს იყო სამოცდაათოთხმეტი წლის ოცდაათი აპრილის ღამეს.

სააგარაკო სეზონი იმ პერიოდში უფრო დიდხანს გრძელდებოდა, მაგრამ არ მახსოვს, იმ წელს რატომ შევეყოვნდით ჩემი ბიძაშვილების დორნების მამულში, ლობოსის ახლოს, აპრილის ბოლომდე. ერთ-ერთმა მუშამ, რუფინომ, იქაური ცხოვრების საიდუმლოებებს მაზიარა. ცამეტი წელი შემისრულდა. რუფინო გაცილებით უფროსი იყო და შარიანი კაცის სახელი ჰქონდა. ძალიან მარჯვე იყო, ჯობებით სახუმარო

ორთაბრძოლებში ყოველთვის გამარჯვებული გამოდიოდა. ერთ პარასკევს შემომთავაზა, ხვალ დილას ქალაქში წავიდეთ, გავერთოთო. რასაკვირველია, დავთანხმდი, ისე, რომ დიდად არ მესმოდა, რას გულისხმობდა. მხოლოდ გავაფრთხილე, რომ ცეკვა არ ვიცოდი. მიპასუხა, რომ ამის სწავლა იოლია.

ვახშმის შემდეგ გავემართეთ, რვის ნახევარზე. რუფინო საზეიმოდ გამოწყვილიყო, ელვარე ხანჯალიც შეება. მე დაცინვის შიშით ჩემი დანა შინ დავტოვე. მალე პირველი სახლებიც გამოჩნდა. ყოფილხართ ოდესმე ლობოსში? არა უშავს, ამას არ აქვს მნიშვნელობა. ყველა პროვინციული ქალაქი ერთმანეთს ჰგავს, თუმცაღა თითოეულს თავი განსაკუთრებულად მიაჩნია. იგივე ტალახიანი შუკები, იგივე დაბალი სახლები, რომელთა გვერდით ცხენზე ამხედრებულ ადამიანს თავი გოლიათი ჰგონია. გზაჯვარედინზე ცისფრად თუ ვარდისფრად შეღებილი სახლისკენ გავემართეთ. „ვარსკვლავი“ – იუწყებოდა წარწერა.

ცხენების სადგომთან რამდენიმე აღკაზმული ცხენი იდგა. ოდნავ შეღებული კარიდან ქუჩისკენ სინათლე სცემდა. სიღრმეში დიდი დარბაზი მოჩანდა კედელზე გამწვრივებული სკამებით, აქა-იქ კაცმა არ იცის, საითკენ მიმავალი კარები მოჩანდა. წითური ძალღიმიანი შემოგვივარდა ფეხებში, ყეფით მოგვესალმა. ხალხი ბევრი იყო. ფერად ხალათებში გამოწყობილი ქალები აქეთ-იქით დასეინობდნენ. მთლად შავებში ჩაცმული ქალი, ოდნავ მოშორებით, დიასახლისს ჰგავდა. რუფინო მიესალმა და უთხრა:

- აი, მეგობარი მოვიყვანე. აქ პირველად არის, ჯერ ცოტა მოშინაურება უნდა.
- გასაგებია, ვეცდები, – უპასუხა სენიორამ.

ავწრიალდი. ყურადღება რომ გამეფანტა ან რომ მეჩვენებინა, ჯერ კიდევ პატარა ვიყავი, სკამების ბოლოში ძალღიმიანი დავიწყე თამაში. სამზარეულოს მაგიდაზე ბოთლში ჩარჭობილი სანთლები ენთო. მახსოვს პატარა მაყალი შორეულ კუთხეში. თეთრ კედელზე მოპირდაპირე მხარეს ღვთისმშობლის ხატი ეკიდა.

ვიღაცა ოხუნჯობებს შორის მოუქნელად ურაკუნებდა გიტარას. ჩემი სიმბდალის გამო, უარი ვერ ვთქვი ღვიის სასმელზე, პირში რომ ცეცხლი წამიკიდა. ერთი ქალი სხვებისგან განსხვავებული მომეჩვენა. მას ტყვეს ეძახდნენ. ინდიელთა სისხლი იგრძნობოდა, თუმცა სახის ნაკვთები სწორი ჰქონდა, თვალები კი – ნალვლიანი. ნაწნავი მკერდზე ესვენა. რუფინო, რომელმაც შენიშნა, რომ მას ვათვალთვლებდი, მისკენ მიტრიალდა და მიმართა:

- მოდი ერთი, იმ თავდასხმაზე მოჰყევი, თორემ რაღაც მიმავიწყდა, რა ხდებოდა.

გოგონაც ალაპარაკდა – ისე, თითქოს მის გარშემო კაციშვილის ჭაჭანება არ იყო და უცებ ვიგრძენი, რომ მას მეტზე არაფერზე შეეძლო ფიქრი, გარდა ამ ერთადერთი შემთხვევისა მის ცხოვრებაში.

აი, რა მოგვითხრო:

– სულ პატარა ჩამომიყვანეს კატამარკიდან. რა უნდა მცოდნოდა თავდასხმებზე? ჩვენს მამულში მისი ხსენებისაც კი ეშინოდათ. საშინელი საიდუმლოსავით ჩურჩულით გამანდეს, რომ ინდიელები მოულოდნელად უტევდნენ, წვიმასავით, ადამიანებს ხოცავდნენ, საქონელს კი მიერეკებოდნენ. ქალებიც თან მიჰყავდათ თავიანთ კუნჭულებში და იქ რასაც სურდათ, იმას უკეთებდნენ. ვცდილობდი არ დამეჯერებინა. ჩემი ძმა ლუკასი, რომელიც მოგვიანებით შუბით დაჭრეს, იფიცებოდა, რომ ეს ყველაფერი ზღაპრები იყო, აი, როცა სიმართლეს ამბობენ, საკმარისია ერთხელ თქვან და ყველა ხვდება, რომ ეს სიმართლეა.

ინდიელების დასაშოშმინებლად მთავრობა მათ მატეს უგზავნიდა, მაგრამ ისინი ყველაფერში მხოლოდ თავიანთ უნდობელ ჯადოქრებს უგონებდნენ. ბელადის ბრძანებით ინდიელებს იოლად შეეძლოთ ნებისმიერი კარის განგრევა. ფიქრებში ლამის მინდოდა კიდეც, რომ მოსულიყვნენ და ყოველდღე დაისის მხარეს ვიმზირებოდი. არ ვიცოდი დროის დათვლა, მაგრამ სიცივემ დაიჭირა, მერე ზაფხული მოვიდა, საქონლის დაშანთვის დრო იყო, კიდეც მოგვიანებით კი, სწორედ თავდასხმამდე, მმართველის ვაჟი გარდაიცვალა. ინდიელები თითქოს ქარმა გადმოისროლა. ნარშავის ყვავილს დავყურებდი არხში და მათზე ვფიქრობდი. დილას მოვიდნენ. ცხოველებმა ადამიანებზე ადრე იყნოსეს: თითქოს მიწა იძრა. მამული ხიფათმა მოიცვა, ჰაერში ფრინველები აწრიალდნენ. უცებ ყველამ იმ მხარეს გაიხედა, საითაც მე ყოველდღე ვიცქირებოდი.

– და ვინ მოიტანა ცნობა? – იკითხა ვილაცამ.

თვალეზგაშტერებულმა გოგონამ, თითქოს სხვა სამყაროში მყოფმა, უკანასკნელი ფრაზა გაიმეორა.

– უცებ ყველამ იმ მხარეს გაიხედა, საითაც მე ყოველდღე ვიცქირებოდი. თითქოს თვით ფერდობი იძროდა. ფოლადის გალავნის მიღმა ჯერ მტვერი დავინახეთ და მხოლოდ შემდეგ – ინდიელები. თავდასხმა იყო. ინდიელები ტუჩებზე ხელებს იტყაპუნებდნენ და საბრძოლო კიჟინას სცემდნენ. იარაღიდან სანტა-ირენეში მხოლოდ რამდენიმე გრძელი ხიშტი თუ გვქონდა – თავდამსხმელთა დასაზაფრავად ან პირიქით, მათთვის მძვინვარების მოსამატებლად.

ტყვე გოგონა თითქოს გაზეპირებულად ლაპარაკობდა, მახსოვრობით, მაგრამ მართლა შემომესმა ქუჩიდან ველური ინდიელების ხმები, მათი ყვირილი. კარზე დარტყმაც და აი, ისინი უკვე დარბაზში იყვნენ, თითქოს პირდაპირ სიზმრიდან შემოიჭრნენ ცხენებზე ამხედრებულნი. ეს მთვრალი ბიჭების ხროვა იყო, შემოგარენიდან. ახლა, მოგონებებში, ისინი უშველებელნი მეჩვენებიან. წინ მომავალმა კარის ახლოს ჩამომჯდარ რუფინოს იდაყვი გაჰკრა. მას სახე შეეცვალა და ჩაიჩოჩა. სენიორა, აქამდე უძრავად მყოფი, წამოდგა და თქვა:

– ეს ხუან მორეირაა.

ახლა, მრავალი წლის შემდეგ, უკვე არ ვიცი, ვინ მახსენდება სინამდვილეში: კაცი, რომელიც პირველად დავინახე იმ ღამით, თუ სხვა, რომელიც რამდენჯერმე ვნახე მერე ცირკის არენაზე. ხან პოდესტის ერთ-ერთი ძმის შავ წვერსა და აქოჩრილ თავს წარმოვიდგენ, ხან კი წითელ ნაყვავილარ სახეს. ძალღი მორეირას შესაგებებლად კუდის ქიციანით გაცუნცულდა. შოლტის მოქნევით ის ადგილზე გააშეშა. ძალღი ამოტრიალდა, აცახცახდა და მოკვდა. აი, აქ იწყება ნამდვილი ამბავი.

უხმაუროდ შევძვერი უახლოეს კარში – მის მიღმა ვიწრო დერეფანი იყო კიბით – და ზემოთ ბნელ ოთახში გავიტრუნე. არ ვიცი, იყო თუ არა იქ სხვა ავეჯი დაბალი საწოლის გარდა. ჟრუანტელმა დამიარა. ქვემოთ ყვირილი არ წყდებოდა, შუშის მტვრევის ხმაც გაისმა. კიბეზე მტკიცე ნაბიჯები გავიგონე, წამით შუქმა გაიელვა. მერე ტყვე ქალის ხმამ წაიჩურჩულა:

– მე სტუმრებს ვემსახურები, ოღონდ მათ, რომლებიც არ ხმაურობენ. მოდი აქ, ნუ გეშინია.

ხალათი უკვე მოეხსნა. მივჩოჩდი მისკენ და მის სახეს შევეხე. არ ვიცი, რა დრო გავიდა. არც სიტყვა გაგვიცვლია, არც კოცნა. ნაწნავი გავუშალე, თმაზე ხელი გადავუსვი, ისეთი ფაფუკი თმა ჰქონდა... მერე მთელ სხეულზე შევეხე. მეტი აღარასდროს შევხვედრივართ ერთმანეთს, მისი ნამდვილი სახელიც ვეღარ გავიგე.

მკვეთრი გასროლის ხმა გაისმა. ტყვე გოგონამ თქვა:

– შეგიძლია სხვა კიბით ჩახვიდე.

ასეც მოვიქეცი და ტალახიან ქუჩაზე გამოვალწიე. მთვარე ანათებდა. თიხოვან კედელს პოლიციის სერჟანტი დარაჯობდა, რომელსაც ხელში შაშხანა ეჭირა ზემოთ აწეული ხიშტით. გამიღიმა და მითხრა:

– დახეთ ერთი, რა პატარა მექალთანე ყოფილა.

პასუხის გაცემა ვერ მოვასწარი. ვიღაც კაცი უცებ კედელს გადმოევილო. სერჟანტმა ერთი მოქნევით აძგერა ხიშტი. კაცი მოცელილი დაეცა და მიწაზე მწოლიარე დარჩა, აკვნესებული და სისხლისგან დაცლილი. ძალღი გამახსენდა. საქმე რომ მოემთავრებინა, სერჟანტმა კიდევ ერთხელ ატაკა ხიშტი წაქცეულს. მერე კი რაღაც შვებით თქვა:

– ხედავ, მორეირა, ტყვიის გახარჯვაც კი არ დამჭირდა შენზე.

ყველა მხრიდან გამოჩნდნენ სახლის გარშემო მოტრიალე პოლიციელები, მერე – მეზობლები. ანდრეს ჩირინომ დიდი ძალისხმევით ამოაძრო ხიშტი. ყველა ეცა ხელის ჩამოსართმევად. მოლიმარმა რუფინომ თქვა:

– ლამის გაიქცა ბანდიტი.

ჯგუფიდან ჯგუფისკენ გადავდიოდი, ეს-ესაა ნანახს ვუამბობდი. უცებ ვიგრძენი, რომ ფეხზე ძლივს ვიდექი. თითქოს მაციებდა კიდეც. ყველა მივატოვე, რუფინო მოვძებნე და შინისკენ გავემართეთ, ცხენის სიმალიდან უკვე ჩანდა ალიონის თეთრი ზოლი. კი არ დავიღალე, უფრო ალბათ მომხდარის ნაკადმა მომცელა.

– იმ ლამის ჩანჩქერმა, – უკარნახა მამაჩემმა.

– სწორედაც რომ, – დაეთანხმა მთხრობელი, – სულ რამდენიმე საათში შევიცანი სიყვარული და ვნახე სიკვდილი. ადრე თუ გვიან ადამიანების წინაშე ყველაფერი იხსნება, ან, ყოველ შემთხვევაში, ყველაფერი, რისი შეცნობის უნარიც მათ აქვთ. მაგრამ მე იმ ლამეს, დაისიდან აისამდე, ეს ორი მნიშვნელოვანი რამ შევიცანი. წლები გადის და უკვე იმდენჯერ ვყვები ამ ამბავს, რომ არ ვიცი, ის მახსოვს თუ მხოლოდ სიტყვები, რომლებითაც ამ ამბავს ვყვები და ვყვები. იქნებ, ზუსტად იგივე ხდებოდა ტყვე გოგონასა და მისი თავდასხმის ამბის შემთხვევაში. და დღეს უკვე სულ ერთია, მე ვნახე თუ ვინმე სხვამ, თუ როგორ მოკლეს მორეირა.

უღირსი

ჩვენი წარმოდგენები ქალაქის შესახებ ყოველთვის ცოტა ანაქრონისტულია: კაფემ მოასწრო ბარად გადაგვარება, სადარბაზო კი, რომლის თაღების მიღმაც შეიძლებოდა შიდა ეზოსა და ტალავერის დანახვა, ჭუჭყიან დერეფნად იქცა, სიღრმეში ლიფტით. ასე მაგალითად, მე რამდენიმე წელი მიმაჩნდა, რომ ტალკაუანოს ქუჩის გარკვეულ ადგილას წიგნების მაღაზია „ბუენოს-აირესი“ მელოდა, თუმცა ერთ დილას დავრწმუნდი, რომ ის ანტიკვარულ მაღაზიას შეუცვლია, დონ სანტიაგო ფიშბეინი კი, უწინდელი მფლობელი, გარდაცვლილიყო. საკმაოდ ზონზროხა კაცი იყო... არა იმდენად სახის ნაკვეთების მახსოვს, რამდენადაც ჩვენი ხანგრძლივი მასლაათი. გაწონასწორებულსა და თავდაჯერებულს, ჩვევად ჰქონდა გაეკიცხა სიონიზმი, რომელიც ებრაელს გადააქცევს ჩვეულებრივ, ერთ ტრადიციასა და ერთ ქვეყანასთან მიჯაჭვულ ადამიანად, იმ სირთულეებისა და წინააღმდეგობრიობების გარეშე, რომელიც მას ამჟამად ამდიდრებს. სწორედ მან მითხრა, რომ ბარუხ სპინოზას შრომების სრული გამოცემა მზადდებოდა, ევკლიდური ტერმინოლოგიის გარეშე, რომელიც კითხვას ართულებდა და ფანტასტიკურ თეორიებს წარმოსახვით სიმკაცრეს სძენდა. მაჩვენებდა, თუმცა არ სურდა მოეყიდა ჩემთვის როზენროტის „გახსნილი კაბალას“ საინტერესო ეგზემპლარი, თუმცაღა გინზბურგისა და უეიტის ზოგიერთ წიგნზე ჩემს ბიბლიოთეკაში მისი მაღაზიის შტამპი არტყია.

ერთ სადამოს, როცა ორნი ვისხედით, თავისი ცხოვრების ეპიზოდი გამანდო, რომელიც ახლა შემოდის მოგითხროთ. მხოლოდ, როგორც ალბათ მიხვდებოდით, გარკვეულ წვრილმანებს შევცვლი.

„ვაპირებ გიამბოთ ისტორია, რომელიც არავინ იცის. არც ანამ, ჩემმა ცოლმა, და არც ვინმემ ჩემი ყველაზე ახლო მეგობრებიდან. ეს ისე დიდი ხნის წინათ მოხდა, თითქოს მე არც კი გადამხდა. იქნებ ეს ამბავი რაიმე მოთხრობისთვის გამოგადგეთ, რომელშიც, რასაკვირველია, დაშნა-ხანჯლის გარეშე ვერ გაძლებთ.

არ მახსოვს, მითქვამს თუ არა ოდესმე თქვენთვის, რომ ენტრე-რიოსის პროვინციიდან ვარ. არ ვიტყვი, რომ ჩვენ ებრაელი გაუჩოები ვიყავით, რამეთუ გაუჩო-ებრაელები საერთოდ არ არსებობენ. ჩვენ ვიყავით ვაჭრები და ფერმერები. ურდინარაინში დავიბადე, რომელიც თითქმის აღარ შემომჩრა მეხსიერებაში. როცა ჩემი მშობლები ბუენოს-აირესში გადაბარგდნენ მაღაზიის გასახსნელად, სულ პატარა ბიჭი ვიყავი. ჩვენთან ახლოს იყო მალდონადოს კვარტალი, მერე კი უდაბნო იწყებოდა.

კარლელი ერთ დროს წერდა, რომ ადამიანებს არ შეუძლიათ ცხოვრება გმირების გარეშე. გროსოს ისტორიის კურსი სან-მარტინის კულტს მთავაზობდა, მაგრამ მასში მხოლოდ და მხოლოდ მეომარს ვხედავდი, რომელიც ერთ დროს ჩილეში იბრძოდა, ახლა კი ბრინჯაოს ქანდაკებად და მოედნის სახელწოდებად ქცეულიყო. შემთხვევად სულ სხვა გმირს გადამყარა – ფრანსისკო ფერარის, ჩვენთვის ორივესთვის საუბედუროდ. ვგონებ, ეს სახელი პირველად გესმით.

მართალია, ჩვენი კვარტალი არ სარგებლობდა ცუდი სახელით, როგორც კორალესი და ბახო, მაგრამ აქაც ყველა აღმასენში მოიძებნებოდა უსაქმურების თითო კომპანია. დაწესებულება ტრიუმვირატისა და ტემზის კუთხეში ფერარის საყვარელი ადგილი იყო. სწორედ იქ მოხდა შემთხვევა, რომელმაც მის ერთ-ერთ მიმდევრად მაქცია. ჩაის ყიდვას ვაპირებდი, როცა უცნობი გამოჩნდა, ბლუჯა თმით და ულვაშებით და ღვიის არაყი შეუკვეთა. ფერარიმ მსუბუქად ჰკითხა მას:

– მითხარი ერთი, შენ ხომ არ შეგხვდი გუმინწინ ხულიანასთან ცეკვებზე? საიდან ხარ, გამახსენე?

– სან-კრისტობალიდან, – უპასუხა მან.

– ჩემი რჩევა იქნებოდა, – გულში ჩამწვდომად თქვა ფერარიმ, – აქ ნულარ მოხვალ. აქ უწესო ხალხი იკრიბება და რამე შარში არ გაგხვიონ.

ისიც, კაცი სან-კრისტობალიდან, თავისი ულვაშებიანად გაქრა. შესაძლოა, ფერარიზე მხდალი არც იყო, მაგრამ ხვდებოდა, რომ აქ მხოლოდ ახლობლების კომპანია იკრიბებოდა.

იმ საღამოს შემდეგ ფერარი ჩემთვის ის კერპი გახდა, რომელიც თხუთმეტი წლის ბიჭს სწყუროდა. მუქთმიანი იყო, მაღალი, კარგი აღნაგობის, ლამაზი – იმ დროის სტილში. ყოველთვის შავებს იცვამდა. სხვა შემთხვევამ შეგვახვედრა.

ქუჩაში დედასა და დეიდასთან ერთად მოვდიოდი. მოზარდების კომპანიას გავუთანაბრდით და ერთ-ერთმა მათგანმა ხმამაღლა თქვა:

– გაატარეთ ეს მოხუცი ქალები.

შევცბი. არ ვიცოდი როგორ მოვქცეულიყავი. ფერარი ჩაერია, რომელიც შინიდან გამოვიდა. ბუნტისთავის წინ დადგა და უთხრა:

– თუ ვინმეს გინდა აეკიდო, ჯობია ეს ჩემთან გააკეთო.

ერთმანეთს პირმოკუმულები გაჰყვნენ. სიტყვა არავის დაუძრავს. იცნობდნენ მას.

მან მხრები აიჩჩია, თავი დაგვიქნია და გზა გააგრძელა. სანამ წავიდოდა, მე მომმართა:

– თუ თავისუფალი ხარ, საღამოს ფაცხაში მოდი.

გავოგნდი. ახლა ვხვდები, მას სურდა ამგვარად წავეხალისებინე. სარამ, დეიდაჩემმა თქვა:

– აი ბიჭი, რომელიც ქალებს მოწიწებით ექცევა,

დედამ კი, მე რომ გამომქომაგებოდა, შენიშნა:

– უფრო სწორი იქნებოდა მისთვის გეწოდებინა ბიჭი, რომელსაც არ სურს სხვებს ჰგავდეს.

ექვი მაქვს, რომ თითოეული მათგანის სანუკვარი სურვილი იყო, მეორე ხუან მორეირო გამხდარიყო. მე კი წითური ვიყავი, მეგონა, ყველა ზემოდან მიყურებდა, ამრეხით. საბოლოო ჯამში წითური მიწოდეს მეტსახელად, თუმცა არა სიძულვილით. მერე დავმეგობრდით კიდევ, მათგან ვისწავლე მოწევა და ბევრი სხვა რამ.

ხუნინის ქუჩის ერთ სახლში მკითხეს ერთხელ, ფრანსისკო ფერარის მეგობარი ხომ არ ვიყავი. ვუთხარი, რომ არა, რამეთუ დადებითი პასუხი ტრაზახად მივიჩნიე.

ერთხელ პოლიციელები მოვიდნენ და გაგვჩხრიკეს. ზოგიერთს კომისარიატში მოუწია წასვლამ. ფერარის ხელი არ ახლეს. ორიოდ კვირის შემდეგ იგივე განმეორდა, მაგრამ ამჯერად ფერარიც წაიყვანეს, იმიტომ, რომ ქამრის უკან დანა უნახეს. ან იქნებ, ადილობრივი უფროსობის კეთილგანწყობა დაკარგა.

ახლა ფერარიში საბრალო ჭაბუკს ვხედავ, რომელიც მოატყუეს და გაყიდეს. მაშინ კი ღმერთი მეგონა.

მეგობრობა არანაკლებ იდუმალია, ვიდრე სიყვარული ან იმ მორევის რომელიმე სხვა მონაწილე, რომელსაც ცხოვრება ჰქვია. ერთხელ თავში მომივიდა აზრად, რომ არაიდუმალი მხოლოდ ბედნიერებაა, იმიტომ, რომ ის თავისსავე გამართლებას ემსახურება. საქმე ის იყო, რომ ფრანსისკო ფერარი, მამაცი და ძლიერი, მეგობრულად იყო განწყობილი ჩემ მიმართ, გარიყულის. მე მეჩვენებოდა, რომ შეცდომა მოხდა და ამ მეგობრობის ღირსი არ ვიყავი. ვცდილობდი თავი ამერიდებინა მისთვის, მაგრამ ის არ მანებებდა. ჩემი დაბნეულობა დედის შენიშვნებითაც ღრმავდებოდა, რომელიც ჩემს საქციელს ვერ არგებდა იმას, რასაც თვითონ მორალს უწოდებდა და რაც ჩემში დაცინვას იწვევდა. ამ ამბავში მთავარი არის ჩემი ურთიერთობები ფერარისთან და არა სრული სიმდაბლე, რომელსაც ახლა არ ვინანიებ. სანამ მონანიება გრძელდება, გრძელდება ბრალეულობაც.

მოხუცი, რომელიც ისევ იჯდა ფერარის გვერდით, მასთან რაღაცას ჩუმიდ ლაპარაკობდა. ისინი რაღაცას გეგმავდნენ. მაგიდასთან ჩემი ადგილიდან თითქოს ვაიდემანის სახელი გავარჩიე, ვისი საქსოვი ქარხანაც ჩვენი კვარტალის ახლოს მდებარეობდა. მალე ყოველგვარი ახსნა-განმარტების გარეშე მიბრძანეს ქარხნის დათვალიერება და ყველა შესასვლელის კარგად შესწავლა. სადამოვდებოდა, როცა მდინარე და რკინიგზა გადავკვეთე. მახსოვს ცალკე მდგარი სახლები, ტირიფის ხეები და უნაყოფო მიწები. ქარხანა ახალი იყო, მაგრამ მიტოვებულს ჰგავდა და განაპირას იდგა. მისი კედლების წითელი ფერი ჩემს მეხსიერებაში დაისის ცას უერთდება. გარს გალავანი ჰქონდა შემოვლებული. მთავარი შესასვლელის გარდა კიდევ ორი კარი იყო სამხრეთ მხარეს, რომლებიც პირდაპირ შიგნით შედიოდა.

უნდა ვაღიარო, რომ გვიან მივხვდი იმას, რაც თქვენთვის უკვე ცხადია. ჩემი ცნობები ქარხნის შესახებ ერთ-ერთმა ბიჭმა დაადასტურა, რომლის დაც იქ მუშაობდა. ალმასენში კომპანიის არყოფნა შაბათს საღამოს შეუმჩნეველი არ დარჩებოდა, ამიტომ ფერარიმ გადაწყვიტა, რომ თავდასხმა შემდეგ პარასკევს უნდა მომხდარიყო. მე დარაჯობა დამევალა. ჯერჯერობით ერთად არ უნდა დავენახეთ. როცა ქუჩაში მარტონი დავრჩით, ფერარის ვკითხე:

– მენდობი?

– კი, – მიპასუხა, – ვიცი, რომ ღირსეული კაცივით მოიქცევი.

იმ ღამითაც და მას მერეც მშვიდად მეძინა. ოთხშაბათს დედას ვუთხარი, რომ ცენტრში მივდიოდი ახალი კოვბოური ფილმის სანახავად. საუკეთესო ტანსაცმელში გამოვეწყვე, რაც კი მქონდა და მორენოს ქუჩისკენ გავემურე. ტრამვაი დიდხანს მიჩაქჩაქებდა. პოლიციის განყოფილებაში ლოდინმა მომიწია, სანამ ბოლოს და ბოლოს ერთმა თანამშრომელმა, ვინმე ეალდმა თუ ალტმა არ მიმიღო. ვუთხარი, რომ საიდუმლო ცნობით მივედი. მიპასუხა, რომ თამამად შემეძლო ლაპარაკი. გავანდე, რაც ჩაიფიქრა ფერარიმ. გამაოცა, რომ ეს სახელი მისთვის არ იყო ნაცნობი. რასაც ვერ ვიტყვი დონ ელისეოს სახელზე.

– ა! – თქვა სამართალდამცველმა, – ეგ ორიენტალის კვარტალის ბანდიდან არის.

სხვა ოფიცერს უხმო, რომელიც ჩვენს რაიონზე იყო პასუხისმგებელი და თათბირი დაიწყო. ერთ-ერთმა მათგანმა საკმაოდ დამცინავად მკითხა:

– იმიტომ მოხვედი აქ ჩასაშვებად, რომ წესიერ მოქალაქედ მიგაჩნია თავი?

ვიგრძენი, რომ ვერ გამიგებდა და ვუპასუხე:

– დიახ, სენიორ, მე წესიერი არგენტინელი ვარ.

მიბრძანეს, ის გამეკეთებინა, რაც დავალბებული მქონდა, მაგრამ მოახლოებული პოლიციელების დანახვაზე არ დამესტვინა. გამომშვიდობებისას ერთ-ერთმა ოფიცერმა გამაფრთხილა:

– ფრთხილად იყავი. ხომ იცი, ჩამშვებებს რა ემართებათ.

პოლიციელები სკოლის მოსწავლეებივით ერთობოდნენ ჩემით. მე ვუპასუხე:

– დაე მომკლან. ეს ყველაზე უკეთესი იქნებოდა.

პარასკევს გათენებიდანვე სიხარულს ვგრძნობდი, რომ გადამწყვეტი დღე დადგა და სინდისის ქენჯნას იმის გამო, რომ სინდისის ქენჯნას არ განვიცდიდი. დრო დიდხანს გაიწელა. თითქმის არაფერი მიჭამია. სადამოს ათისთვის ყველანი გავემართეთ კვარტალთან, სადაც საბედისწერო ქარხანა იყო. ერთი არ გვახლდა თან. დონ ელისეომ შენიშნა, რომ ვიღაც ყოველთვის უმუხტოებს. მე ვიფიქრე, რომ ამ ამბების შემდეგ ალბათ სწორედ მას დააბრალებდნენ ყველაფერს, ვინც არ მოვიდა. ის-ის იყო წვიმამ გადაიღო. მეშინოდა, რომ ვინმე დარჩებოდა ჩემთან, მაგრამ მარტო დამტოვეს კართან სამხრეთ მხარეს. მალე პოლიციელებიც გამოჩნდნენ და მათთან ერთად ოფიცერიც. ფეხით მოდიოდნენ, ცხენების გარეშე, რომ ყურადღება არ მიეპყროთ. კარი ჩამტვრეული იყო, ასე რომ, უხმაუროდ შეაღწიეს შიგნით. ოთხმა გასროლამ გამაყრუა. გადავწყვიტე, რომ შიგნით, სიბნელეში, ყველამ ერთმანეთი დახოცა. მერე დავინახე გარეთ გამოსული პოლიციელები და ხელბორკილდადებული ბიჭები. ორმა პოლიციელმა ტყვიებით დაცხრილული ფრანსისკო ფერარი და დონ ელისეო ამარო გამოათრია.

წინასწარი გამოძიებისას ითქვა, რომ მათ წინააღმდეგობა გაუწიეს დაკავებისას და პირველებმა გახსნეს ცეცხლი. მე ვიცოდი, რომ ეს სიცრუე იყო, რადგან არასდროს მინახავს მათ ხელში რევოლვერი. პოლიციამ ისარგებლა შემთხვევით და ძველი ანგარიშები გაასწორა. მერე მე მითხრეს, რომ ფერარი გაქცევას ცდილობდა, მაგრამ ერთი ტყვია საკმარისი აღმოჩნდა... გაზეთებმა, რასაკვირველია, გმირად გამოსახეს, როგორც ალბათ არასდროს ყოფილა და როგორზეც მე ვოცნებობდი.

მე სხვებთან ერთად წამიყვანეს და ცოტა ხნის შემდეგ გამომიშვეს.

აველინო არედონდო

ეს მონტევიდეოში მოხდა 1897 წელს.

ყოველ შაბათს რამდენიმე მეგობარი კაფე „გლობოში“ ერთსა და იმავე უკანა მაგიდასთან იკრიბებოდა – ასე იქცევდნენ კარგად აღზრდილი, მაგრამ ღარიბი ადამიანები, რომლებიც აცნობიერებენ, რომ შინ მიპატიჟება არ არის მოსახერხებელი, ან სურთ დროებით მაინც დააღწიონ თავი ჩვეულ გარემოს.

ყველანი მონტევიდეოელები იყვნენ და თავდაპირველად არც ისე გაუიოლდათ პროვინციელ არედონდოსთან შეგუება, რომელსაც არ უყვარდა გულახდილობა და ვერც ზედმეტ შეკითხვებს ეგუებოდა. ოც წელზე ცოტა მეტის იყო – გამხდარი, ჯმუხი, არც ისე მაღალი და ალბათ ცოტა მოუხეშოც. მისი სახე ყურადღებას არ იქცევდა, რომ არა თვალები, ერთდროულად მთვლემარე და ენერგიული. საგალანტერეო მაღაზიაში მუშაობდა ბუენოს-აირესის ქუჩაზე, თავისუფალ დროს კი სამართალს სწავლობდა.

როცა მისი თანდასწრებით ომს კიცხავდნენ, რომელმაც ქვეყანა გააკოტრა, და ერთიანი აზრით, პრეზიდენტის მიერ იყო გახანგრძლივებული საშინლად უღირსი განზრახვით, არედონდო დუმდა. მაშინაც დუმდა, როცა სიმუნწის გამო აშაყირებდნენ.

სერო-ბლანკოსში შეტაკების შემდეგ მალევე არედონდომ მეგობრებს უთხრა, რომ მცირე ხნით უნდა დაეტოვებინა ისინი – მერსედესში უნდა გამგზავრებულიყო. ამ ცნობას არავინ შეუმფოთებია. ვიღაცამ ურჩია, ფრთხილად ყოფილიყო, იქ ხომ აპარისიო სარავიას გაუჩოები დაძრწოდნენ. არედონდომ ღიმილით უპასუხა, რომ ბლანკოსი არ ეშინოდა. სხვა მეგობარს, რომელიც პარტიაში იყო გაწევრებული, არაფერი უთქვამს.

ემწელებოდა თავის საცოლე კლარასთან დამშვიდობება. თუმცა მასაც თითქმის იგივე უთხრა, გააფრთხილა, რომ მისგან წერილებს არ დალოდებოდა, ასე გამოუცხადა, ძალიან ვიქნები დაკავებულიო. კლარამაც, რომელიც წერას სულაც არ იყო ჩვეული, ახსნა-განმარტებები გაუპროტესტებლად მოისმინა. ორივეს გულწრფელად უყვარდა ერთმანეთი.

არედონდო გარეუბანში ცხოვრობდა. მულატი ემსახურებოდა, რომელიც იმავე გვარს ატარებდა, რადგან მისი მშობლები არედონდოს ოჯახის მონები იყვნენ დიდებული ომის პერიოდში. შეიძლება მას ბოლომდე ნდობოდა და აველინომ განკარგულება გასცა: თუ ვინმე მიკითხავს, უთხარი, რომ სოფელში გავემგზავრეო. იმ დღეს თავისი უკანასკნელი ჯამაგირი მიიღო საგალანტერეო მაღაზიაში.

მერე მეორე ოთახში გადავიდა, რომელიც პატარა უბადრუკ ეზოში გადიოდა. ამაში დიდი აზრი არ იდო, თუმცა, მისი აზრით, უფრო გაუიოლდებოდა საკუთარი ნებაყოფლობითი განდევილობის დაწყება.

ვიწრო რკინის საწოლზე მწოლიარე, რომელზეც ახლა თავისუფლად შეეძლო დაესვენა, როგორც ადრე, ოდნავ სევდიანი უყურებდა ცარიელ წიგნების თაროს. ყველა თავისი წიგნი გაყიდა, „იურისპრუდენციის შესავალი“ კი. მხოლოდ ბიბლია დარჩა, რომელშიც ნაკლებად იხედებოდა და რომელიც ბოლომდე არც ჰქონდა წაკითხული.

ახლა ფურცელ-ფურცელ დაიწყო მისი შესწავლა, ხან ინტერესით, ხან მოწყენილად, და ამოცანად დაისახა, რომელიმე თავი შეესწავლა აღთქმიდან და ასევე ეკლესიასტეს დასკვნა. იმაში ჩაღრმავებას, რასაც კითხულობდა, არც კი ცდილობდა. თავისუფლად მოაზროვნე იყო, თუმცა ყოველ საღამოს უცილობლად კითხულობდა „მამაო ჩვენოს“, როგორც დედას დაპირდა მონტევიდეოში გამომგზავრებისას. დედისათვის მიცემული აღთქმის დარღვევას ვერ ბედავდა, ეშინოდა, ამას უიღბლობა არ მოეტანა მისთვის.

იცოდა, რომ დათქმული ჟამი ოცდახუთ აგვისტოს დილას დადგებოდა. ზუსტად იცოდა, რამდენი დღე რჩებოდა ვადამდე. როცა ჟამი მოვიდოდა, დროის მიმდინარეობა შეწყდებოდა, უფრო ზუსტად, უკვე სულერთი იქნებოდა, რა მოხდებოდა შემდეგ. ამ თარიღს ისე ელოდა, როგორც ელოდებიან ბედნიერებას ან გათავისუფლებას. თავისი საათი გააჩერა, რომ გამუდმებით არ ეცქირა მისთვის, მაგრამ ყოველ საღამოს, ზარის თორმეტი ყრუ დარტყმის გაგონებაზე, კალენდრის ფურცელს ახევდა და ფიქრობდა: „ერთი დღით ნაკლებია“.

თავდაპირველად ცდილობდა დღის გარკვეული განრიგი დაედგინა. მატეს სვამდა, სიგარეტს ეწეოდა, რომელსაც თვითონვე ახვევდა, ხელახლა კითხულობდა გარკვეული რაოდენობის ფურცლებს, ცდილობდა კლემენტინასთან საუბარს, როცა მას ლანგრით საკვები მოჰქონდა, იმეორებდა და სრულყოფდა თავის მომავალ სიტყვას, სანამ სანთელს ჩააქრობდა. კლემენტინასთან, ხანდაზმულ ქალთან საუბარი არც ისე იოლი იყო – მისი ყველა აზრი და მოგონება სოფლამდე მიდიოდა, სოფლის ცხოვრებამდე.

ჭადრაკიც ჰქონდა და პარტიებს ისე თამაშობდა, ბოლომდე არც მიჰყავდა. ერთი ეტლი აკლდა და მას ან ტყვიით ცვლიდა ან ჭანჭიკით.

დრო რომ მოეკლა, არედონდო ყოველ დილას, ჩვრითა და იატაკის ჯოხით შეიარაღებული ოთახს ალაგებდა და ობობებს ებრძოდა. მულატს არ მოსწონდა, რომ ის მსგავსი საქმიანობით იმცირებდა თავს, ეს სამუშაო მას ეკუთვნოდა, თანაც, მისი აზრით, არედონდო ამას უცოდინრად აკეთებდა.

ამჯობინებდა ალბათ, უფრო მოგვიანებით გაღვიძებოდა, როცა მზე უკვე შუბისტარზე იდგა, მაგრამ ალიონზე ადგომის ჩვეულება მის სურვილზე ძლიერი აღმოჩნდა. მეგობრები ენატრებოდა, აცნობიერებდა, თუმცაღა უნაღვლოდ, რომ ისინი მასზე ალბათ არ დარდობდნენ – ის ხომ ყოველთვის ჯიუტად დუმდა.

ერთხელ შუადღისას ერთ-ერთი მათგანი მოვიდა მის მოსანახულებლად, თუმცა სტუმარი მისაღებიდანვე გააცილეს. მულატი მას არ იცნობდა. არედონდომ ვერც გაიგო, ვინ მოვიდა. იოლი არ იყო მისთვის, გაზეთების აქტიური მკითხველისთვის, უარი ეთქვა ამ ეფემერული წვრილმანების შეგროვებაზე. ის არ გახლდათ მოაზროვნე ადამიანი და არ იცოდა რა იყო ეჭვი.

მისი დღეები და ღამეები ერთმანეთს ჰგავდა, მაგრამ განსაკუთრებით კვირაობით უჭირდა.

ივლისის შუალედისთვის გააცნობიერა, რომ ალბათ სწორად არ იქცეოდა, როცა ცდილობდა მოეკლა დრო, რომელიც გინდა-არ გინდა, მაინც თან წაგვიყვანს. სწორედ მაშინ მისცა თავისუფლება წარმოსახვას – ვრცელი აღმოსავლური მიწები წარმოიდგინა, ახლა სისხლით დაფარულნი, სანტა-ირენეს მთაგორიანი მხარეები, სადაც ფრანგებს უშვებდა, თავისი პატარა ცხენი, რომელიც ალბათ უკვე მოკვდა, მტერის ბული, რომელსაც საქონლის ჯოგი უშვებდა გადარეკვის დროს, დანჯღრეული დილიჟანსი, რომელიც ყოველ თვე მოდიოდა ფრაი-ბენტოსიდან საგალანტერეო საქონლით, ალ-აგრასიდა, სადაც ოცდაცამეტი გადმოსხდა, ხედავდა ერვიდეროს, მწვერვალებს, მთებსა და მინდვრებს, რომლითაც შუქურამდე ადიოდა კონცხთან, ლა-პრატის ორივე ნაპირზე მეორე ასეთი მთა არ არის. მთიდან ყურეზე მარტო მიაღწია იმ გორამდეც, რომელიც გერბზეა გამოსახული და დაეძინა.

ყოველ ღამე ნიავი უბერავდა და კარგად ეძინა. აველინო უძილობით არ იტანჯებოდა.

თავისი საცოლე მთელი გულით უყვარდა, მაგრამ საკუთარ თავს ჩააგონა, რომ მამაკაცმა ქალებზე არ უნდა იფიქროს, განსაკუთრებით მაშინ, როცა საზოგადოებას მოწყვეტილია. სოფელში ცხოვრებამ მოთმინებას მიაჩვია. რაც შეეხება მას, სხვა ადამიანს... ცდილობდა რაც შეიძლება ნაკლები ეფიქრა იმაზე, ვინც სძულდა.

ხანდახან მის ფიქრებს სახურავზე აკაკუნებული წვიმა უწევდა აკომპანირებას.

პატიმრისთვის ან უსინათლოსათვის დრო შეუმჩნევლად მიედინება, როგორც დინება ფრიალო კლდეზე. თავისი კარჩაკეტილობის ვადის შუალედში არედონდოს არაერთხელ მოუწია თითქოსდა შეჩერებული დროის ამ შეგრძნების გამოცდა. მათ ეზოში აუზი იყო, რომელშიც ბაყაყი ცხოვრობდა. აველინოს არაერთხელ მოსვლია აზრად, რომ ბაყაყის დრო, მარადიულობასთან მომიჯნავე, იყო სწორედ ის, რაც მას სწყუროდა.

როცა დადგენილი თარიღი მოახლოვდა, მოუთმენლობამ ისევ შეიპყრო. ერთ საღამოს თავი ვერ შეიკავა და ქუჩაში გავიდა. ყველაფერი სხვაგვარი მოეჩვენა, თითქოსდა გადიდებული ზომის. კუთხეს რომ მიაღწია, შუქი დაინახა და ტავერნაში შევიდა. თავაზიანობისთვის ჭიქა ღვინო მოითხოვა. რამდენიმე ჯარისკაცი დახლზე იდაყვებდაყრდნობილი საუბრობდა. ერთმა თქვა:

– ხომ იცით, რომ საბრძოლო მოქმედებებზე მოყოლა მკაცრად არის აკრძალული. გუშინ საღამოს ერთი ამბავი მოხდა, რომელიც გაგახალისებთ. ყაზარმის ამხანაგებთან ერთად „რასიოს“ რედაქციას ჩავუარეთ. ქუჩიდან შემოგვესმა, იქ შიგნით ვიღაც როგორ არღვევდა ამ ბრძანებას. ბევრი არ გვიფიქრია, შევედით. თვალთან თითს ვერ მიიტანდი, ისე ბნელოდა. მაგრამ ყბედის მიმართულებით გავუშვით ზალპი. როცა ხმა ჩაიწყვიტა, ვეცით, რომ ხელ-ფეხით გამოგვეთრია, მაგრამ რას ვხედავთ? მანქანა ყოფილა, რომელსაც „ფონოგრაფი“ ჰქვია და თავისით ლაპარაკობდა.

ყველა ახარხარდა.

არედონდო ჩუმად უსმენდა. იმავე ჯარისკაცმა ახლა მას მიმართა:

– აბა, რას იტყვი, მეგობარო? კარგი ხუმრობაა?

არედონდო დუმდა. ჯარისკაცმა სახე სახესთან მიუტანა და უთხრა:

– აბა, ახლავე იყვირე: „გაუმარჯოს ჩვენი ქვეყნის პრეზიდენტ ხუან იდიარტე ბორდას!“

არედონდოს წინააღმდეგობა არ გაუწევია. დამცინავი ტაშისკვრის ქვეშ გასასვლელისკენ გაემართა. უკვე ზღურბლთან უწია ბოლო შეურაცხყოფამ:

– ნახე ერთი, ქალაჩუნა! თავმენახულს ღმერთი იფარავს!

ჰო, ისე მოიქცა, როგორც მხდალი, მაგრამ იცოდა, რომ მხდალი არ იყო. და წყნარად წაბარბაცდა სახლში.

ოცდახუთ აგვისტოს აველინო არედონდომ ცხრის მერე გაიღვიძა. თავდაპირველად კლარაზე გაიფიქრა და მხოლოდ შემდეგ – თარიღზე. შვებით უთხრა საკუთარ თავს: „ბოლო მოელო ამ მტანჯველ ლოდინს! აღსრულდა დღე!“

აუჩქარებლად გაიპარსა – სარკეში სახე ისეთი იყო, როგორც ყოველთვის. მკვეთრი ფერის ჰალსტუხი ამოირჩია, საუკეთესო სამოსი. გვიან ისაუზმა. ნაცრისფერი ცა წვიმის მაუწყებელი იყო, მას კი მაინც მოწმენდილი ეჩვენებოდა. მსუბუქი ნალველით ტოვებდა საბოლოოდ თავის ნესტიან ოთახს. მისაღებში მულატი შეხვდა და ჯიბეში დარჩენილი უკანასკნელი პესო მისცა. რკინის საკეტზე ფერად-ფერადი რომბები დაინახა და გაოგნებულმა შენიშნა, რომ ორ თვეზე მეტი გავიდა, მას კი ამაზე არც

ერთხელ არ უფიქრია. სარანდის ქუჩისკენ გაემართა. საზეიმო დღე იყო, გამვლელები ცოტანი ჩანდნენ.

სამი საათიც არ იყო, როცა მატრისის მოედანზე აღმოჩნდა. ტაძარში სადღესასწაულო ლოცვა უკვე დასრულდა, ფართო კიბეებზე სამოქალაქო, სამხედრო და სასულიერო პირები ჩამოდიოდნენ. ამ შლაპების, რომელთაგან ზოგიერთი ხელშიც ეჭირათ, ქუდების, თასმების, იარაღის შემყურეს შეიძლებოდა მოგჩვენებოდა, რომ იქ ბევრი ხალხი იყო, მაგრამ სინამდვილეში ოცდაათ კაცზე მეტი არ იქნებოდა. არედონდოს შიში არ ჰქონდა, მაგრამ რაღაც მოწიწების მსგავსი იგრძნო. გამვლელებს ჰკითხა, რომელი იყო იქ პრეზიდენტი.

– აი ის, არქივისკოპოსის გვერდით, მიტრითა და კვერთხით რომაა, იმის, – უპასუხეს მას.

არედონდომ რევოლვერი ამოიღო და გაისროლა. იდიარტე ბორდამ რამდენიმე ნაბიჯი გადადგა, სახით ჩაემხო და უნებურად აღმოხდა: „მომკლეს“.

არედონდო მთავრობას ჩაჰბარდა. ძიებაზე განაცხადა:

– მე კოლორადო ვარ, ამის შესახებ სიამაყით ვაცხადებ. პრეზიდენტი იმიტომ მოვკალი, რომ ჩვენს პარტიას ღალატობდა და არცხვენდა. მეგობრებსა და საცოლეს განვეშორე, რომ ისინიც არ გამერია ამაში. არ ვკითხულობდი გაზეთებს, რათა არავის ეთქვა, თითქოს ვიღაც მიბიძგა ამისკენ. ეს სამართლიანობის აქტი მთლიანად ჩემი საქმეა. ახლა შეგიძლიათ გამასამართლოთ.

შესაძლოა, ასე მოხდა ეს მოვლენები, თუმცა იქნებ უფრო რთულადაც იყო საქმე. მაგრამ მე ასე წარმოვიდგინე.

იდუმალი სასწაული

და მოაკვდინა იგი ალაჰმა ასი წლით, მერე აღადგინა და უთხრა: „რამდენ ხანს დაჰყავი?“

მან უპასუხა: „დღე ან დღის ნაწილი“

ყურანი, II, 261

პრალაში ცელინტერგასეზე მცხოვრებ იარომირ ხლადიკს, დაუსრულებელი დრამა „მტრების“ ავტორს, ნაშრომისა „უკვდავების უარყოფა“ – კვლევისა იუდეურ ხელნაწერებზე, რომლებმაც ირიბი გავლენა მოახდინეს იაკობ ბემეზე, 1939 წლის თოთხმეტ მარტს ესიზმრა ხანგრძლივი საჭადრაკო პარტია. ერთმანეთს ორი მოჭადრაკე კი არ ეპაექრებოდა, არამედ ორი წარჩინებული საგვარეულო; თამაში

საუკუნეები გრძელდებოდა; ჯილდოს თანხა აღარავის ახსოვდა, თუმცა ხმები დადიოდა, რომ ის უშველებელი იყო, უთვალავიც კი; ფიგურებიანი დაფა საიდუმლო კოშკში იყო მოთავსებული. იარომირი (სიზმარში) ერთ-ერთი მტრული გვარის პირში აღმოჩნდა. საათის რეკვა თითოეულ სვლას აღნიშნავდა; მოსიზმრე წვიმის ქვეშ დარბოდა უდაბნოს ქვიშაში და თამაშის წესებს ვერ იხსენებდა. გაღვიძებულს თანაბარი მექანიკური გუგუნის შემოესმა. პრალაში გამთენიისას მესამე რეიხის ჯავშანსატანკო ნაწილების მოწინავე რიგები შემოვიდნენ.

რამდენიმე დღის შემდეგ მთავრობაში ენა მიიტანეს მასზე და ხლადიკი დააპატიმრეს. მას გესტაპოს არც ერთი ბრალდების უარყოფია არ შეეძლო: მის მარღვებში მართლაც ჩქეფდა ებრაული სისხლი, შრომა ბემეს შესახებ მართლაც პროებრაული ხასიათისა იყო, და მან ხელი მოაწერა პროტესტს ანშლუსის წინააღმდეგ.

იულიუს როტემ, ერთ-ერთმა სამხედრო ჩინოსანმა, ვის ხელშიც იყო ხლადიკის ბედი, გადაწყვიტა ის დაეხვრიტათ. სიკვდილით დასჯა ოცდაცხრა მარტის დილის ცხრა საათზე დანიშნეს – ამ გადავადებით სურდა ხელისუფლებას თავისი მიუკერძოებლობის დემონსტრირება.

ხლადიკი დაიზაფრა. თავდაპირველად ეჩვენებოდა, რომ სახრჩობელა თუ გილიოტინა არც ისე საზარელი იყო. შეუჩერებლად წარმოიდგენდა გონებაში მოსალოდნელ მოვლენებს და დანიშნულ დროზე ბევრად ადრე დღეში ასჯერ კვდებოდა, საკუთარი დაცხრილვის სცენას წარმოიდგენდა პრალის სხვადასხვა ეზოში, ჯარისკაცების რაოდენობა კი ყოველ ჯერზე იცვლებოდა და მას ხან შორიდან ესროდნენ, ხან მიბჯნით. უბადრუკ მაგიას აყოლილს – რათა მოსალოდნელი მოვლენების სასტიკი დეტალები წარმოედგინა, მათი განხორციელებისთვის ხელის შეშლის მიზნით – ბოლოს და ბოლოს მართლა გაუჩნდა შიში, მისი გამონაგონები წინასწარმეტყველური არ აღმოჩენილიყო. ხანდახან მოუთმენლად ელოდა აღსასრულს, რათა მალე მოღებოდა ბოლო წარმოსახვის ამო თამაშს. სადამოს, სიკვდილით დასჯის წინა დღეს, თავისი დაუმთავრებელი გალექსილი დრამა „მტრები“ გაახსენდა.

დრამაში დროის, ადგილისა და მოქმედების ერთიანობა იყო დაცული, გრადჩანებზე ვითარდებოდა მოქმედება, ბარონ რემერშტადტის ბიბლიოთეკაში, XIX საუკუნის მიწურულის ერთ-ერთ სადამოს. პირველ მოქმედებაში რემერშტადტს უცნობი სტუმრობს (საათი შვიდჯერ რეკავს, მზე ჩადის, ქარს ცეცხლოვანი უნგრული მელოდიის ბგერები მოაქვს). ამ ვიზიტორს სხვები მოჰყვებიან, რემერშტადტისთვის უცნობნი, თუმცა მათი სახეები თითქოს ეცნობა, უკვე უნახავს ისინი, შესაძლოა, სიზმარში. ბარონი ხვდება, რომ მის წინააღმდეგ შეთქმულება მოაწყვეს. ახერხებს ინტრიგებისთვის წინააღმდეგობის გაწევას.

შემდეგ მის საცოლეზე, იულია დე ვაიდენაუზეა საუბარი და იაროსლავ კუბინზე, რომელიც ერთ დროს თავისი სიყვარულით ახეზრებდა მას თავს. ახლა გაგიჟდა და

რემერშტადტად წარმოიდგინა თავი... ხიფათები მრავლდება და მეორე მოქმედებაში რემერშტადტი იძულებული ხდება ერთ-ერთი შეთქმული მოკლას.

იწყება უკანასკნელი მოქმედება. შეუსაბამობების რიცხვი იზრდება. ბრუნდებიან მოქმედი პირები, რომელთა როლი, თითქოსდა, ამოიწურა: მათ შორის მოკლულიც კრთება. სადამო არა და არ დგება. საათი შვიდს უჩვენებს, ფანჯრებში დაისის მზე ირეკლება, ჰაერში ცეცხლოვანი უნგრული მელოდია დაქრის.

პირველი ვიზიტორი ჩნდება და თავის რეპლიკას იმეორებს. რემერშტადტი მას გაკვირვების გარეშე პასუხობს. მაყურებელი ხვდება, რომ რემერშტადტი ეს უბედური იაროსლავ კუბინია. დრამა არ არის: ეს კვლავ და კვლავ დაბრუნებადი ბოდვაა, რომელსაც კუბინი უწყვეტად აღადგენს გონებაში...

ხლადიკმა პირველი მოქმედება დაასრულა და მესამეს ერთ-ერთი სცენა: პიესის ლექსითი ფორმა მას საშუალებას აძლევდა გამუდმებით შეესწორებინა ტექსტი, ხელნაწერთან შეუხებლად... სწრაფი სიკვდილის ზღურბლთან ხლადიკმა ღმერთს მიმართა თხოვნით, კიდევ ერთი წელი მიეცა, რომ დრამა დაემთავრებინა, რომელიც მისი არსებობის გამართლებად იქცეოდა. ათი წუთის შემდეგ დაეძინა. გამთენიისას სიზმარი ნახა: მან ღმერთი უნდა იპოვოს ბიბლიოთეკის ოთხასი ათასი ტომიდან ერთ-ერთის ერთ-ერთი გვერდის ერთ-ერთ ასოში, როგორც ბრმა ბიბლიოთეკარმა აუხსნა. მოულოდნელი დამაჯერებლობით შეეხო ხლადიკი ერთ-ერთ ასოს ინდოეთის რუკაზე, იქვე აღმოჩენილ ატლასში და შემოესმა ხმა: „შენ მოგეცა დრო შენი სამუშაოსთვის“. ხლადიკს გამოეღვიძა.

ორი ჯარისკაცი გამოჩნდა, რომლებმაც შიდა ბაღში წაიყვანეს. დასჯის დაწყებამდე, რომელიც ცხრა საათზე იყო დანიშნული, თხუთმეტობე წუთი დარჩენილიყო. ხლადიკი მორზე ჩამოჯდა. სერჟანტმა სიგარეტი შესთავაზა, ხლადიკმაც გამოართვა და მოსწია, თუმცა მანამდე არ მოეწია. წარუმატებლად ცდილობდა იმ ქალის სახის გახსენებას, რომლის ნაკვთები იულია დე ვაიდენაუში იყო არეკლილი. ჯარისკაცები გამწვრივდნენ, ხლადიკი გასროლას დაელოდა. საფეთქელზე წვიმის წვეთი დაეცა და ნაზად ჩამოგორდა ლოყაზე. ბრძანების ხმა გაისმა.

და აქ სამყარო გაირინდა. შაშხანები ხლადიკს იყო დამიზნებული, მაგრამ ხალხი უძრავად რჩებოდა. სერჟანტის ხელი, რომელმაც ბრძანება გასცა, გაქვავდა. ხლადიკს სურდა დაეყვირა, მაგრამ არ შეეძლო და მიხვდა, რომ პარალიზებული იყო. ერთბაშად ვერც გაიგო, რა მოხდა.

მან წელიწადი სთხოვა ღმერთს თავისი შრომის დამთავრებისთვის: ყოვლისშემძლე ღმერთმა ერთი წელი მისცა. ღმერთმა მისთვის იდუმალი სასწაული მოახდინა: მას დანიშნულ ვადაში მოკლავს გერმანული ტყვია, მაგრამ მის ტვინში ბრძანებიდან მის შესრულებამდე წელიწადი გავა. ხლადიკის გაოგნება მაღლიერებამ შეცვალა. თავისი დრამის დასრულებას შეუდგა, ტექსტს ცვლიდა, ამოკლებდა და აფერადებდა. უყვე

ყველაფერი მზადაა, ერთი ეპითეტიღა აკლია. ხლადიკი მას პოულობს: წვიმის წვეთი ლოყაზე გორდება. ოთხი შაშხანის ზალპი გაისმის, ხლადიკი აპირებს, რაღაც გაურკვეველი ამოიძახოს და ძირს ეცემა.

იარომირ ხლადიკი ოცდაცხრა მარტის დილას მოკვდა, ათ საათსა და ორ წუთზე.

ასტერიუსის სახლი

[21]

„და შვა დედოფალმა ქვეყნად ვაჟი, რომელსაც ასტერიუსი უწოდეს“

აპოლოდორი, ბიბლიოთეკა, III. 1.

ვიცი, ქედმაღლობას დამწამებენ და იქნებ, ადამიანების სიძულვილსაც, შესაძლოა, სიშმაგესაც. ეს ბრალდებები (რომლებსაც გამოც თავის დროზე პასუხს მოვითხოვ) სასაცილოა. მართალია, რომ სახლიდან არ გამოვდივარ, მაგრამ ისიც მართალია, რომ მისი კარები (რომელთა რაოდენობა უთვალავია) დღედაღამ ღიაა ადამიანებისთვის თუ მხეცებისთვის. ვისაც უნდა შემოვიდეს. აქ ვერ აღმოაჩენთ ვერც გამრყენელ ფუფუნებას, ვერც სასახლეების ფუჭ დიდებულებას, მხოლოდ სიმშვიდესა და მარტობას. და სახლს, რომლის დარიც მთელ დედამიწაზე არ არსებობს (ცრუობს, ვინც ამტკიცებს, რომ მსგავსი სახლი ეგვიპტეშიც არის). ჩემს ცილისმწამებლებსაც კი მოუწევთ იმის აღიარება, რომ სახლში არავითარი ავეჯი არ არის. კიდევ ერთი სიბრიყვეა, თითქოს მე, ასტერიუსი, პატიმარი ვარ. გავიმეორო, რომ აქ არც ერთი დაკეტილი კარი და არც ერთი საკეტი არ არის? გარდა ამისა, ერთხელ, შებინდებისას, ქუჩაში გავედი; და თუ ღამის დადგომამდე დავბრუნდი შინ, მხოლოდ იმიტომ, რომ ტეტია ხალხის სახეებმა შემაშინა – უფერულმა და ბრტყელმა, ხელისგულებივით. მზე უკვე ჩასულიყო, მაგრამ ბავშვის უწყვეტი ბღავილი და ბრბოს მავედრებელი ღრიალი იმას ნიშნავდა, რომ ამომიცნეს. ხალხი ლოცულობდა, გარბოდა, მუხლებზე ემხოზოდა, ზოგიერთი ორმაგი ცულის ტაძრის ფერხითით მიცოცავდა, სხვები ქვებს სწვდებოდნენ. ვიღაცა, მგონი, ზღვაშიც გადაეშვა. ტყუილად როდი იყო დედაჩემი დედოფალი, არ ძალმიძს მასაში გარევა, თუნდაც თავმდაბლობის გამო მომენდომებინა.

საქმე ის არის, რომ მე განუმეორებელი ვარ. არ მაინტერესებს, რა შეუძლია ერთ კაცს უამბოს სხვებს. როგორც ფილოსოფოსს, მიმაჩნია, რომ წერილის მეშვეობით არაფრის გადაცემა არ არის შესაძლებელი. ეს გამაღიზიანებელი და მდარე წვრილმანები არ უთავსდება ჩემს სულს, რომელიც დიადისთვის არის განკუთვნილი. ვერასდროს ვახერხებდი ერთი ასოს მეორისგან გარჩევას. რაღაც კეთილშობილური

მოუთმენლობა მიშლის ხელს, კითხვა ვისწავლო. ხანდახან ამის გამო ვდარდობ კიდეც – დღეები და ღამეები ისეთი გრძელია.

რა თქმა უნდა, გასართობი საკმარისი მაქვს. რქენისთვის მზად მყოფი ერკემალივით დავხეტილობ ქვის გალერეებში, სანამ ძალაგამოცლილი მიწას არ დავენარცხები. წყალსატევთან ჩრდილში ან დერეფნის მოსახვევთან ვიმალები და თავს ვიტყუებ, თითქოს ვინმე მეძებდეს.

ზოგიერთი სახურავიდან გადმოვმხტარვარ და თავიც მიმინარცხებია. ხანდახან თავს ვიძინარებ, თვალეზდახუჭული ვწევარ და ღრმად ვსუნთქავ (ისეც ხდება, მართლა ჩამეძინება და თვალებს რომ გავახელ, ვხედავ, დღის ფერი როგორ შეცვლილა). მაგრამ ყველა თამაშზე მეტად სხვა ასტერიუსობანა მიყვარს. ვითომ ის მესტუმრა, ჩემს სახლს ვათვალთვლებინებ.

საოცარი მოწიწებით ვეუბნები: „მოდით, იმ კუთხეში დავბრუნდეთ“, ან: „ახლა სხვა ეზოში გავიდეთ“, ან: „ასეც ვფიქრობდი, რომ ეს კარნიზი მოგეწონებოდა“, ან: „ეს ქვიშით სავსე ავზია“, ან: „ახლა ნახავ, როგორ იტოტება მიწისქვეშა გასასვლელი“. დროდადრო მეშლება კიდეც რაღაცები და მაშინ ორივე ერთად გულიანად ვიცინით.

მარტო ამ თამაშებს კი არ ვიგონებ, სახლზეც ვფიქრობ. სახლის ყველა ნაწილი ბევრჯერ მეორდება, ერთი ნაწილი ზუსტად მეორისნაირია. არ არის ერთი წყალსატევი, ეზო, ვარცლი, გუბე, არამედ უამრავი ვარცლი, ეზო, წყალსატევი, გუბე. სახლი სამყაროს ჰგავს, უფრო სწორად, ის არის სწორედ სამყარო. თუმცა როცა მბეზრდება ეზო გუბით და მტვრიანი ნაცრისფერი ქვით ნაგები გალერეები, ქუჩაში გამოვდივარ და ორმაგი ცულის ტამარს გავყურებ, ან ზღვას. ამას ვერ ვხვდებოდი, სანამ ერთ ღამესაც არ მომეჩვენა, რომ არსებობს უსასრულო რაოდენობის ზღვა და ტამარი. ყველაფერი მრავალჯერ მეორდება, უამრავჯერ, მაგრამ ორი რამ არის სამყაროში განუმეორებელი: ზემოთ – გაუგებარი მზე; ქვემოთ – მე, ასტერიუსი. შეიძლება, ვარსკვლავები, და მზე, და ეს უშველებელი სახლი, ჩემ მიერ შექმნილი, მაგრამ ამაში არ ვარ დარწმუნებული.

ყოველ ცხრა წელიწადში ერთხელ სახლში ცხრა ადამიანი ჩნდება, რათა ბოროტებისგან გავათავისუფლო. მათი ნაბიჯები ან ხმები მესმის ქვის გალერეების სიღრმეში და სიხარულით მივეშურები მათ შესახვედრად. მთელი პროცედურა სულ რამდენიმე წუთი გრძელდება. ერთმანეთის მიყოლებით ეცემიან, სისხლით გასვრასაც კი ვერ ვასწრებ. სადაც ვარდებიან, იქვე რჩებიან და მათი სხეულები მეხმარება, ეს გალერეა სხვათაგან გავარჩიო. არ ვიცი, ვინ არიან, მაგრამ ერთმა მათგანმა სიკვდილის წინ მიწინასწარმეტყველა, რომ ოდესმე ჩემი განმათავისუფლებელიც მოვა.

მას მერე არ მტანჯავს მარტოობა, ვიცი, რომ ჩემი განმათავისუფლებელი არსებობს და ბოლოს და ბოლოს ის ჩემს მტვრიან იატაკზეც დადგამს ფეხს. ნეტავ ჩემს

ყურთასმენას ამქვეყნად ყველა ხმა სწვდებოდეს, მის ნაბიჯებს გავარჩევდი. კარგი იქნებოდა, სადმე წავეყვანე, სადაც ნაკლები გალერეა და ნაკლები ეზოა. როგორი იქნება ჩემი განმათავისუფლებელი? – საკუთარ თავს ვეკითხები. ხარი იქნება თუ ადამიანი? ან იქნებ ადამიანისთავა ხარი? ან ისეთი, როგორიც მე ვარ?

დილის მზე თამაშობდა ბრინჯაოს ხმალზე. მასზე სისხლი აღარ დარჩენილიყო.

– დამიჯერებ, არიადნა? – თქვა თეზევსმა, – მინოტავრს თითქმის არ გაუწევია წინააღმდეგობა.

პედრო ენრიკეს ურენიას სიზმარი

სიზმარი, რომელიც პედრო ენრიკეს ურენიას ესიზმრა 1946 წლის ერთ-ერთ დღეს, რაოდენ უცნაურიც უნდა იყოს, გამოსახულებებისგან კი არ შედგებოდა, არამედ მდორე, თანაბარი საუბრისგან. ხმა, რომელიც სიტყვებს წარმოთქვამდა, მისი ხმა არ ყოფილა, თუმცა მისას კი ჰგავდა. მისი ტონი, თემის პათეტიკურობის მიუხედავად, აუღელვებელი და ჩვეულებრივი იყო. სიზმრის დროს, რომელიც მცირეხნიანი იყო, პედრო აცნობიერებდა, რომ თავის ოთახში ეძინა და ცოლიც გვერდით ეწვა.

სიზნელეში სიზმარმა მას უთხრა:

რამდენიმე ღამის წინ, კორდოვის კუთხეში შენ ბორხესთან ერთად განიხილავდი სევილიელი ანონიმის მოწოდებას:

„ო, სიკვდილო, მდუმარებაში მეწვიე, როგორც ისარი მოქრის.“

ორივემ იეჭვებდა, რომ ტექსტში რომელიღაც ლათინური ორიგინალის გამიზნული ექო გაისმის, მით უმეტეს, რომ მსგავსი გადმოცემები ეპოქის მანერებს შეესაბამებოდა, რომელიც უცხოა პლაგიატის ჩვენეული გაგებისთვის, უფრო კომერციულისთვის, ვიდრე მხატვრულის.

მაგრამ შენ არ ეჭვობდი, ვერ იეჭვებდი, რომ დიალოგი წინასწარმეტყველური იყო. რამდენიმე საათის შემდეგ კონსტიტუსიონის ბოლო პლატფორმაზე გაირბენ, ლა-პლატის უნივერსიტეტში შენი ლექციისკენ მიმავალი. მატარებელს მიასწრებ, პორტფელს საბარგო თაროზე მიაგდებ და ფანჯარასთან სავარძელზე მოეწყობი. ვილაც, ვისი სახელიც არ ვიცი, მაგრამ ვის სახესაც ნათლად ვხედავ, შენ ამ სიტყვებით მოგმართავს. შენ არ უპასუხებ, იმიტომ, რომ მკვდარი იქნები... შენ მოასწარი გამომშვიდობება, როგორც ყოველთვის, ცოლთან და შვილებთან. შენ ვერ გაიხსენებ ამ სიზმარს, რამეთუ დავიწყება აუცილებელია ამ მოვლენების აღსასრულებლად.

ჯვარზე გაკრული ქრისტე

ფეხებით მიწას ეხება. ერთი სიდიდის ჯვრებია. ქრისტე შუაშია. ის მესამეზეა. მკერდს შავი წვერი უფარავს. სახე ისეთი არ აქვს, როგორც გრავიურებზე – იუდეური მკაცრი სახე. მე მას ვერ ვხედავ და ჩემი სიცოცხლის ბოლომდე ყველგან დაუღალავად დავძებნი. სულ მისუსტებული მდუმარედ იტანჯება. შუბლი ეკლის გვირგვინით აქვს დასერილი. არ ესმის ხალხის აბუჩად აგდება, რომელიც პირველად როდი უყურებს სიკვდილს, მისას თუ სხვისას. ყველაფერი ერთიანია. ის ჯვარზეა. ბოდვამი ხედავს სამეფოს, რომელიც შესაძლოა ელოდება მას და იმას, რომელთან მიახლოებაც ვერ შეძლო. და არაფერი უწყის მან თეოლოგიასა და გნოსტიციზმზე, მიუწვდომელ სამებაზე, ტაძრებზე, ოკამას სამართებელსა და ლიტურგიაზე, მეწამულ შესამოსელსა და მიტრაზე, და გუტრუმის ხმლით მონათვლაზე, ინკვიზიტორებსა და მსხვერპლთა სისხლზე, ბოროტ ჯვაროსნებზე, ჟანა დ'არკზე და პაპებზე, რომლებიც იარაღს ანათებენ. მან იცის: ის ღმერთი არ არის, არამედ ადამიანი, და სწრაფი სიკვდილი არ ტანჯავს. მხოლოდ ლურსმნები აწამებენ. ის რომელი არ არის. არც ბერძენი. წყნარად კვნესის. მან მეტაფორების საუცხოო წრე და პატიების არსი დაგვიტოვა, რომლითაც შეიძლება ყოფიერებისთვის ბოლოს მოღება (ეს აზრი ციხეში ჩაიწერა ერთმა ირლანდიელმა). დაუდგრომელი სულით ის სიკვდილს ეძებს. ბინდი ჩამოწვა. ის უკვე მკვდარია. უძრავ ხორცზე ბუზი დაცოცავს. რა სარგებელი მაქვს მე იმით, რომ ის იტანჯებოდა – როცა მე როგორც ვიტანჯებოდი, ისევე ვიტანჯები?

Everything and Nothing

(ყველაფერი და არაფერი)

თავისთავად ის არავინ იყო. სახის მიღმა (რომელიც სხვებს არ ჰგავდა ეპოქის უგვან პორტრეტებზეც კი) და უთვალავი, მოჩვენებითი, დაუკავშირებელი სიტყვების მიღმა მხოლოდ სიცივე იმალებოდა, სიზმარი, რომელიც არავის ესიზმრებოდა.

თავიდან ეჩვენებოდა, თითქოს ყველა სხვა ადამიანი ასეთივე იყო, მაგრამ მეგობრის ჩარევამ, რომელთანაც თავის სიცარიელეზე სცადა დალაპარაკება, დაარწმუნა სიმცდარეში და ერთხელ და სამუდამოდ აიძულა საკუთარ თავში გაერკვია, რომ არ შეიძლება სხვებისგან განსხვავებული იყო. ფიქრობდა განკურნება წიგნებში ეძებნა, რისთვისაც – თანამედროვის მოწმობით – ცოტა ლათინური ისწავლა და კიდევ უფრო ცოტა – ბერძნული; მოგვიანებით გადაწყვიტა, რომ მიზანს მიაღწევდა, თუ ადამიანთა საერთო საცხოვრებლის უმარტივეს წესს შეასრულებდა და ივნისის ერთ გრძელ დღეს ანა ჰეტუეის[22] მკლავებს ეზიარა.

ოცდარომელიდაც წელს ლონდონში ჩავიდა. ნების საწინააღმდეგოდ უკვე ესწავლა ვიღაცად წარმოედგინა თავი, რათა არ გაეცა, რომ ის – არავინ იყო; ლონდონში შეხვდა ხელობა, რომლისთვისაც იყო შექმნილი, მსახიობის ხელობა, რომელიც სცენაზე სხვის წარმოსასახად გამოდის ადამიანთა კრებულის წინ, რომლებიც მზად არიან თავი მოიკატუნონ, თითქოსდა მართლაც სხვად მიაჩნიათ იგი. ჰისტრიონის[23] შრომამ მას შეუდარებელი სიხარული მოუტანა, იქნებ ცხოვრებაში პირველიც კი; მაგრამ უკანასკნელი ლექსიც გაისმოდა, სცენიდან ბოლო გვამი გაიტანეს – და ისევ ავსებდა არარეალურობის ამაზრზენი გემო. ის აღარ იყო ფერექსი ან თემურ ლენგი და ისევ არავინ ხდებოდა.

მოწყენილობის გასაქარვებლად სხვა გმირებისა და სხვა საშინელი ამბების გამოგონება დაიწყო. და აი, სანამ მისი სხეული ლონდონის ფაცხებსა და ბორდელებში ასრულებდა იმას, რაც სხეულს ევალება, მასში მობინადრე სული იყო ცეზარი, ავგურების გაფრთხილებისადმი ყრუ, ჯულიეტა, რომელიც მის სულში მობინადრე ტოროლას წყევლიდა და მაკბეტი, რომელიც ჯადოქრებს ესაუბრებოდა. ამქვეყნად არავინ ყოფილა იმდენი ადამიანი, როგორც ეს კაცი, რომელმაც ეგვიპტელი პროთეის მსგავსად შეძლო, რეალობის ყველა სახე ამოეწურა. ხანდახან, ამა თუ იმ სიუჟეტის კუნჭულში საბედისწერო აღიარებას ტოვებდა, დარწმუნებული იმაში, რომ მას ვერ აღმოაჩენდნენ; ასე აღმოხდება რიჩარდს, რომ ის მსახიობია, რომელიც უამრავ როლს თამაშობს, იაგო კი უცნაურ სიტყვებს წამოისვრის „მე – ეს მე არ ვარ“. ცხოვრების, სიზმრისა და წარმოდგენების სიღრმისეული იგივეობა მას შთააგონებდა ტირადებს, რომლებიც მოგვიანებით ცნობილი გახდა.

ოცი წელი გაატარა თავისი სიზმრების მართვით, მაგრამ ერთ დილასაც ზიზღი და შიში იგრძნო, შიში იმისა, რომ ყოფილიყო ყველა ეს მეფე, ხმლით განგმირული, და უბედური შეყვარებული, რომლებიც ხვდებიან, შორდებიან და კვდებიან მჟღერი რეპლიკებით. იმავე დღეს გაყიდა თეატრი, ერთი კვირის შემდეგ კი მშობლიურ ქალაქში იყო, სადაც ისევ იპოვა მდინარე და თავისი ბავშვობის ხეები და უკვე აღარ ადარებდა მათ სხვებს, მითოლოგიური მინიშნებებითა და ლათინური სახელებით მორთულთ, რომლებსაც მისი მუზა ასხამდა ხოტბას. მაგრამ აქაც საჭირო იყო ვიღაცად ყოფნა და ის იქცა საქმეებისგან განდგომილ მეწარმედ, რომელსაც გარკვეული ქონება ჰქონდა და ახლა მხოლოდ სესხებით, დავებითა და მოგებიდან მოკრძალებული პროცენტებით იყო დაკავებული. ამ ამპლუაში უკარნახა ჩვენთვის ცნობილი ანდერძი, რომლიდანაც განგებ არის ამოჭრილი პათოსისა და ლიტერატურულობის ყოველგვარი კვალი. ლონდონელი მეგობრები იშვიათად სტუმრობდნენ მას, განმარტოებულს და მათ წინაშე კვლავინდებურად თამაშობდა პოეტის როლს.

ისტორია დასძენს, რომ სიკვდილამდე ან მას მერე ის ღვთის წინაშე წარდგა და მას მიმართა სიტყვებით: – მე, რომელიც ამოდ ვიყავი უამრავი ადამიანი, მინდა ვიქცე ერთადერთად – საკუთარ თავად.

და შემოქმედის თვალეზმა მას ქარიშხლიდან უპასუხა: – მეც არ ვარ მე: მე გამოვიგონე ეს სამყარო, როგორც შენ შენი ქმნილებები, ჩემო შექსპირო, და ჩემი სიზმრის ერთ-ერთი ნიშანი შენ ხარ, ჩემი მსგავსი, რომელიც ხარ არსი ყველაფერი და არაფერი.

ბორხესი და მე

მოვლენები – მისი ხვედრია, ბორხესის. მე ბუენოს-აირესში დავხეტივალე და უკვე ლამის მექანიკურად ვჩერდები, სადარბაზოს თალსა და კარის გისოსებს რომ შევავლო თვალი; ბორხესის შესახებ ფოსტიდან ვიგებ, მის გვარს ვხედავ მასწავლებლების სიაში თუ ბიოგრაფიულ ლექსიკონში. მე მიყვარს ქვიშის საათები, გეოგრაფიული რუკები, XVIII საუკუნის გამოცემები, ეტიმოლოგიური შტუდიები, ყავის გემო და სტივენსონის პროზა; ის იზიარებს ჩემს მიდრეკილებებს, ოღონდაც ისეთი თვითკმაყოფილებით, რომ ეს უკვე როლს ემსგავსება. არ ღირს ფერების გამუქება: ჩვენ მტრები არ ვართ – მე ვცხოვრობ, ცოცხალი ვრჩები, რომ ბორხესმა შეძლოს თავისი ლიტერატურის შექმნა და მისით ჩემი არსებობა დაამტკიცოს. თამამად ვაღიარებ, რაღაც-რაღაც გვერდები გამოუვიდა, მაგრამ ეს გვერდები მე ვერ მიშველიან, მათ შორის საუკეთესოს ხომ არა საკუთარ თავს, ან სხვებს, არამედ მხოლოდ და მხოლოდ ენასა და ტრადიციას უნდა უმადლოდეს. ასეა თუ ისე განწირული ვარ გასაქრობად და იქნებ ჩემი რაღაც ნაწილი მაინც გადარჩეს მასში. ნაწილ-ნაწილ ვაძლევ მას ყველაფერს, თუმცა ვიცი მისი ავადმყოფური ლტოლვა გადაჭარბებისა და გამომგონებლობისადმი. სპინოზა ამტკიცებდა, რომ არსებითი მიისწრაფვის დარჩეს იმად, რაც არის: ქვა – მარადიულად იყოს ქვა, ვეფხვი – ვეფხვი. მე მიწერია დავრჩე ბორხესად, და არა მე-დ (თუკი ვარსებობ საერთოდ), თუმცა გაცილებით იშვიათად ვცნობ საკუთარ თავს მის წიგნებში. ერთხელ ვცადე მისგან გათავისუფლება და გარეუბნების მითოლოგია დროსა და სივრცესთან თამაშებით შევცვალე. ახლა ეს თამაშებიც ბორხესს ეკუთვნის, მე კი რაღაც ახალი უნდა მოვიგონო. ამიტომაც ჩემი ცხოვრება – გაქცევაა, და ყველაფერი ჩემთვის – დანაკარგია, ყველაფერი მივიწყებას მიეცემა ან მას, სხვას.

მე არ ვიცი, ჩვენ ორთაგან რომელი წერს ამ გვერდს.

დელია ელენა სან-მარკო

ერთმანეთს ონსეს მოედანთან გზაჯვარედინზე დავშორდით. ქუჩის გადაღმდიდან გადევნებდი თვალს. მოტრიალდი და გამოსამშვიდობებლად ხელი დამიქნიე.

ჩვენ შორის ადამიანებისა და მანქანების მდინარე მოედინებოდა; ჩვეულებრივი სალამოს ხუთი საათი დგებოდა და რა ვიცოდი, რომ ეს მდინარე ნალვლიანი გადაულახავი აქერონი[24] იყო. მეტად აღარ გვინახავს ერთმანეთი, ერთი წლის შემდეგ კი შენ გარდაიცვალე. და ახლა მეხსიერებაში იმ სურათს ვაცოცხლებ, ვაცქერდები და ვხვდები, რომ ის ცრუობდა და ჩვეულებრივი გამომშვიდობების მიღმა უსასრულო განშორება იმალებოდა.

დღეს ვახშმობის შემდეგ შინ დავრჩი და იმ იმედით, რომ ყოველივე ამაში გავერკვეოდი, უკანასკნელი შეგონება წავიკითხე, პლატონმა რომ მასწავლებელს შთაუწერგა. წავიკითხე, რომ სულს ძალუმს სხეულის გამანადგურებელი სიკვდილის თავიდან აცილება.

ახლა აღარ ვიცი, რა არის ჭეშმარიტება – ახლანდელი დამლუპველი კომენტარი თუ მაშინდელი უეშმაკო გამომშვიდობება.

რამეთუ თუ სულები არ კვდებიან, მათ განშორებაში მართლაც უადგილოა პათოსი.

გამომშვიდობება ნიშნავს უარყო განშორება, ეს ნიშნავს: დღეს, თავს ვაჩვენებთ, თითქოს ვემშვიდობებით, მაგრამ, რასაკვირველია, ხვალ შევხვდებით. ადამიანებმა დამშვიდობება გამოიგონეს, რადგან იცოდნენ, რომ ისინი ასე თუ ისე უკვდავნი არიან, თუმცა კი მიაჩნიათ, თითქოს შემთხვევითნი და წამიერნი იყვნენ.

დელია, ერთხელ – რომელ მდინარესთან? – ჩვენ დავაკავშირებთ ამ ფუჭი დიალოგის სიტყვებს და ერთმანეთს ვკითხავთ, ერთ-ერთ ფერდობში ჩაკარგულ ერთ-ერთ ქალაქში მართლა კი ვიყავით ოდესმე ბორხესი და დელია?

მიცვალებულთა დიალოგი

ეს კაცი სამხრეთ ინგლისიდან გამოცხადდა, 1877 წლის ზამთრის დილას. აწითლებული სახითა და ბრგე აღნაგობით უმრავლესობამ ინგლისელად ჩათვალა, თუმცადა მართლაც პირწავარდნილი ჯონ ბული იყო. შლაპა ეხურა მაღალი გვირგვინით და უცნაური ნაქსოვი ლაბადა შემოესხა, რომელიც მკერდზე ჰქონდა გადადებული. მას აშკარა მოუთმენლობით ელოდა მამაკაცების, ქალებისა და ბავშვების ჯგუფი. ზოგიერთების ყელს წითელი ზოლი კვეთდა, სხვები უთავონი იყვნენ და სიფრთხილით მიაბიჯებდნენ, ბარბაცით, როგორც სიბნელეში მოსიარულენი. უცხოს შემოევლნენ, უკანა რიგებიდან ლანძღვაც ისმოდა, თუმცა ჩაბუდებული შიში ბრბოს აკავებდა და მეტს ვერავინ ბედავდა. მაშინ წინ გამოვიდა ადამიანი, ერთი შეხედვით სამხედრო, მოყვითალო-მომწვანო კანითა და მუგუზალებივით თვალებით; აწეწილ ქოჩორსა და ჯაგარივით წვერს თითქოს მისი სახე შეეჭამა. ათ-თორმეტ სასიკვდილო ჭრილობას მისი ტანი დაესერა, როგორც

ზოლებს ვეფხვის ტყავი. უცნობი წამით შეკრთა, თუმცა მაშინვე შემხვედრი ნაბიჯი გადადგა და ხელი გაუწოდა.

– უკიდურესად სამწუხაროა სიმამაცის ნიმუშის ხილვა, რომელიც მოღალატეთა მახვილით არის განგმირული, – ორატორულად წარმოთქვა მან, – სამაგიეროდ, რა ღრმა კმაყოფილებით შეიტყობ, რომ მკვლელებმა შენი ბრძანებით გამოისყიდეს თავიანთი ბინძური საქმე და გამარჯვების მოედანზე ჩამოახრჩვეს.

– თუ სანტოს პერესსა და ძმებ რეინაფეებს გულისხმობ, მაშინ იცოდე, რომ ახლა მათი მადლიერიც კი ვარ, – აუჩქარებლად და დამაჯერებლად უპასუხა დასერილმა.

თანამოსაუბრემ მას შეხედა, თითქოს ოხუნჯობას თუ ეშმაკობას ეჭვობდა. კიროგამ განუმარტა:

– შენ არასდროს გესმოდა ჩემი, როსას. ან კი რა გაგებაზეა ლაპარაკი, როცა ასეთი განსხვავებული ბედი გვერგო? შენ ქალაქის მართვა გხვდა წილად, რომელიც ევროპისკენ არის სახით მიმართული და ახლა მსოფლიოში სახელგანთქმული გახდი, მე კი – ამერიკის ჯურღმულისთვის ბრძოლა დატაკ მიწაზე დატაკ გაუჩოებთან ერთად. ჩემი სამფლობელო შუბები და შემახილებია, ქვიშა და თითქმის უსახელო გამარჯვებები მივარდნილ მხარეებში. ვინ გაიხსენებს მათ სახელებს? მე ცოცხალი ვარ და დიდხანს დავრჩები ბევრის მეხსიერებაში მხოლოდ იმიტომ, რომ ადამიანებმა, რომელთაც ცხენები და ხანჯლები ჰქონდათ, ეტლში მომკლეს, ბარანკა იაკოში. და ამ არაჩვეულებრივ სიკვდილს შენ უნდა გიმადლოდე. თავის დროზე შენს საჩუქარს ვერ ვაფასებდი, მაგრამ შემდგომმა თაობებმა ის არ დაივიწყეს... თუ შენ არ იცი დახვეწილი გრავიურებისა და მომაჯადოებელი წიგნის შესახებ, რომელიც მოგვიანებით ცნობილმა კაცმა დაწერა, სანხუანელმა?

როსასმა, რომელსაც უკვე თავი ხელში აეყვანა, ზიზღით შეხედა.

– რომანტიკოსი, – გადაუგდო, – შთამომავლების პირფერობა მეტად არ ღირს, ვიდრე თანამედროვეთა აღტაცება, მას კი არაფრის ფასი არ აქვს და სულ რამდენიმე მონეტად შეიძლება მისი ყიდვა.

– ყველაფერი ვიცი, რასაც იტყვი, – შეეპასუხა კიროგა, – 1852 წელს ბედმა, დიდსულოვნების თუ ბოლომდე შენი გამოცდის სურვილით, მამაკაცისთვის ღირსეული სიკვდილი გამოგიგზავნა – ბრძოლის ველზე დალუპვა. შენ აჩვენე, რომ არ იყავი ამ ძღვენის ღირსი, ბრძოლისა და სისხლის შეგემინდა.

– შემეშინდა? – ჩაეკითხა როსასი, – მე, რომელმაც სამხრეთში ცხენები მოათვინიერა და მერე მთელი ქვეყანა მოარჯულა?

კიროგას აქ პირველად ჩაეცინა.

– ჰო-ჰო, – კბილებში გამოსცრა, – თუ შენი მოხელეებისა და ხელქვეითების მოუსყიდველ მოწმობას ვენდობით, უნაგირზე შემჯდარი სასწაულებს სჩადიოდი. მაგრამ იმხანად კონტინენტზე – ასევე უნაგირზე – სხვა სასწაულებიც ხდებოდა, მათ ჩაკაბუკო და ხუნინი, პალმა რედონდა და კასე-როსი ეწოდებოდა.

როსასმა სახის შეუცვლელად მოუსმინა და უპასუხა:

– სიმამაცის გამოჩენის საჭიროება არ მქონია. ჩემი, როგორც შენ თქვი, სასწაულები ის იყო, რომ ჩემზე გაცილებით უფრო მამაცი ადამიანები იბრძოდნენ და იხოცებოდნენ ჩემს გადასარჩენად. თუნდაც შენი ბოლოს მომღები სანტოს პერესი. სიმამაცე ამტანობის საკითხია. ერთი მეტს იტანს, მეორე – ნაკლებს, მაგრამ ადრე თუ გვიან ნებისმიერი სუსტდება.

– შესაძლოა, – თქვა კიროგამ, – მაგრამ მე განვვლე ცხოვრება და სიკვდილი მივიღე და აქამდე არ მცოდნია, რა იყო შიში. დღესაც მივდივარ მათ შესაგებებლად, ვინც წამშლის და სხვა სახესა და სხვა ბედს მომცემს, რადგან ისტორია უკვე გაძღა ძალადობით. არ ვიცი, ვინ იქნება ის სხვა და რა დამემართება მე, მაგრამ ერთი კი მწამს: ის უშიში იქნება.

– ჩემთვის კი საკმარისია, საკუთარ თავად ყოფნა, – თქვა როსასმა, – არ მინდა სხვად ვიქცე.

– ქვებსაც სურთ, ყოველთვის ქვებად დარჩნენ, – უპასუხა კიროგამ, – და უკუნითი უკუნისამდე რჩებიან ქვებად, სანამ ფერფლად არ იქცევიან. სიკვდილს რომ ვეგებებოდი, შენსავით ვფიქრობდი, მაგრამ აქ ბევრ რამეს სწავლობ. მიმოიხედე, ჩვენ ორივენი უკვე სხვანაირები ვართ.

თუმცა როსასი არ უსმენდა და თითქოს ხმამაღლა ფიქრობსო, ისე თქვა:

– ალბათ შენ მკვდრად არსებობისთვის ხარ შექმნილი, თორემ რატომ მეჩვენება ეს ადგილები და ეს კამათი სიზმრად, მხოლოდ სიზმრად, რომელიც მე კი არა, ვიღაც სხვას, ჯერ კიდევ არდაბადებულს ესიზმრება?..

მეტი სიტყვაც არ უთქვამთ, რადგან იმ წამს ვიღაცამ უხმო მათ.

ტყვე

ამბობენ, რომ ეს ამბავი ხუნინში თუ ტაპალკაში მოხდა. თავდასხმის შემდეგ ბავშვი დაიკარგა, ჭორების თანახმად, ინდიელებმა მოიპარეს. მშობლები ეძებდნენ, თუმცა უიმედოდ; წლების შემდეგ რომელიღაც ჯარისკაცმა, რომელიც ქვეყნის შიდა რაიონებიდან მოევლინათ, მათ უამბო ცისფერთვალეა ინდიელზე, სავარაუდოდ

მათ ვაჟზე. ბოლოს და ბოლოს ახლობლები შეხვდნენ მას (რა ვითარებაში, ამაზე ქრონიკა დუმს, მე კი არ მსურს იმის გამოგონება, რაც არ ვიცი) და თავი დაარწმუნეს, თითქოს სწორედ ის დაკარგული იყო. მიყრუებულ ადგილას, ბარბაროსებს შორის ხელახლა დაბადებული კაცი ვეღარ არჩევდა მშობლიური ენის სიტყვებს, თუმცა მორჩილად და გულგრილად დართო ნება, შინამდე მიეცილებინათ. იქ გაჩერდა, ალბათ იმიტომ, რომ ყველა გაჩერდა. კარს შეხედა, თითქოსდა გაუგებრად. უცებ დაიხარა, წამოიყვირა, შიგნით შევარდა, ორივე ფართო ეზო გადაკვეთა და სამზარეულოში მიიმალა. დამაჯერებლად შეყო ხელი მიმქრალი კერის ქვეშ და დანა გამოიღო, რქოვანი სახელურით, რომელიც ბავშვს დაემალა. თვალები სიხარულით აუელვარდა, მშობლებს კი ცრემლები წამოსცვივდათ, ბოლოს და ბოლოს რომ იპოვეს შვილი.

როგორც ჩანს, ამ მოგონებას სხვებიც მოჰყვა, თუმცა ინდიელმა ვერ შეძლო ოთხ კედელში გაძლება და ერთხელაც ისევ წავიდა თავის ჯურღმულებში. როგორ მინდა ვიცოდე, რა იგრძნო იმ თავბრუდამხვევ წამს, როცა წარსული და აწმყო შეერწყა ერთმანეთს. იქნებ გარდაცვლილი ვაჟი იმ აღტაცებაში აღდგა და მოკვდა, ან იქნებ, როგორც ჩვილმა თუ ძაღლმა, მშობლებისა და სახლის შეცნობა დაიწყო.

ანარეკლი

1953 წლის ივლისის ერთ დღეს ჩაკოს ერთ-ერთ პატარა დასახლებაში მგლოვიარე კაცი გამოჩნდა. აწოწილი იყო, გამხდარი, ინდიელთა სისხლი იგრძნობოდა მასში და ბრიყვის უძრავი სახე ჰქონდა, ნიღბის მსგავსი; ადგილობრივები თავაზიანად ექცეოდნენ, ოღონდ მას კი არა, არამედ იმას, ვის როლსაც ის ასრულებდა ან რადაც მართლაც იქცა. მან რანჩო აირჩია ზედ მდინარესთან, რამდენიმე მეზობლის ქალის დახმარებით ფიცრები მიაღწურსმა, სკივრი შეკრა, ზემოდან კი მუყაოს კუბო შემოდო ქერათმიანი თოჯინით. მერე ძაღალ შანდლებში სანთლები აანთეს, გარშემო ყვავილები შემოუწყვეს. ძაღლე მთელი დასახლება შეიკრიბა. მოუთმენელი მოხუცები, გაოგნებული ბავშვები, მოჯამაგირეები, რომლებიც მოწიწებით შეჰყურებდნენ კორპის ყვითელ მუზარადს, კუბოს გასწვრივ მიედინებოდნენ და ნაღვლიანად იმეორებდნენ: „თანაგირძნობთ, გენერალო!“ ახალჩამოსული კი დათრგუნვილი სახით იდგა, თავდახრილი, ორსულივით მუცელზე გადაეჯვარედინებინა ხელები, თუმცა მტკიცედ პასუხობდა: „ასეთია ბედი. ყველაფერი გავაკეთეთ, რაც შეიძლებოდა“. თუნუქის ყულაბაში ორ-ორი პესო ვარდებოდა და ბევრმა ეს გზა არაერთხელ გაიარა.

კი მაგრამ, რა ადამიანმა (მკითხვენ ალბათ) ჩაიფიქრა და გაითამაშა ეს სამგლოვიარო ფარსი? ფანატისკოსმა, შეშლილმა, ცინიკოსმა? თუ მას სჯეროდა, რომ საფლავთან ქვრივის მწუხარე როლის შესრულებით მართლაც პერონად იქცეოდა? ისტორია

არადამაჯერებელია, თუმცა ის მართლაც მოხდა ამ ცხოვრებაში და თანაც მრავალჯერ განმეორებულა, სხვადასხვა მსახიობითა და სხვადასხვა ადგილას. ეს საუკეთესო სარკეა იმ უცნაური, არარეალური დროის, ეს სიზმარია, ეს დრამა ტრაგედიაში, ეს შესავალი პიესაა „ჰამლეტში“. რა თქმა უნდა, გლოვის გამთამაშებელი არ იყო პერონი და არც ქერათმიანი თოჯინა ყოფილა – მისი ცოლი ევა დუარტე, თუმცა არც თვით პერონი და ევა არ იყვნენ უბრალოდ პერონი და ევა, ისინი ყველანი უცნობი და მივიწყებული ანონიმები გახლდნენ (რომელთა სახელები და სახეები არც კი არის მნიშვნელოვანი), განაპირებში მცხოვრები მიმდობი ხალხის სახეიროდ რომ თამაშობდნენ.

მოწმე

ღორების სადგომში, ახალაშენებული ქვის საყდრის გვერდით, ადამიანი გაცრეცილი თვალებითა და გაცრეცილი წვერით, სიმყრალეში იწვა და მშვიდად ელოდა სიკვდილს, ისე, როგორც ძილს ელიან. დღე თავისი საიდუმლო კანონებით ამოძრავებდა და ხლართავდა ჩრდილებს ღარიბულ ჯურღმულში; კედლის მიღმა მოხნული ველები იყო, ღორღით გადავსებული თხრილი და მგლის ნაკვალევი ბნელ ქვიშნარზე, ტყის პირას. კაცს ეძინა და ყველასგან მიტოვებული სიზმრებს მისცემოდა. ღვთისმსახურებამ გამოაღვიძა. ინგლისის სამეფოში ზარების რეკვა უკვე მწუხრის ჩვეულებად ქცეულიყო, მაგრამ კაცს ჯერ კიდევ ბავშვობაში ენახა ოდინის სახე, წმინდა შიში და აღტაცება უშნო ხის კერპის მიმართ, რომელიც რომაული მონეტებითა და ნაჭრებით, მსხვერპლად მოტანილი ცხენებით, ძაღლებითა და ტყვეებით იყო შემკული. დილამდე ვერ მიაღწევს, მოკვდება და მასთან ერთად სამუდამოდ წავა კერპთაყვანისმცემელთა წესჩვეულებების უკანასკნელი ცოცხალი მოწმობა. ამ საქსის სიკვდილთან ერთად სამყარო ოდნავ უფრო გაღარიბდება.

ყველაფერი, განსახლებული სივრცე და ვიღაცის სიკვდილთან ერთად დასასრულს მიახლოებული, შეიძლება ტირილამდე გაღელვებდეს, მაგრამ რაღაც – ნაკვთებისა და ფერების უსასრულო რაოდენობა – თითოეულის სიკვდილთან ერთად კვდება, თუ თეოსოფების რწმუნების თანახმად, არ არსებობს სამყაროს მეხსიერება. ჟამთასვლაში იყო დღე, როცა ქრისტეს მნახველი უკანასკნელი თვალები ჩაქრა; ვიღაცის სიკვდილთან ერთად გაქრა ბრძოლები ხუნინთან და ელენას ვნება. რა გაქრება იმ წამს, როცა არ ვიქნები მე, რომელ მგზნებარე თუ ოდნავ შესამჩნევ ჩრდილს დაკარგავს სამყარო? მასედონიო ფერნანდესის ხმას? შეფერილ უდაბურ მიწის ნაგლეჯს სერანოსა და ჩარკასს შორის? გოგირდის კოლოფს წითელი ხის საწერი მაგიდის უჯრაში?

ლოცვა

ვიმეორებ და ათასჯერ გავიმეორებ, ღმერთო, ჩემთვის მშობლიურ ორ ენაზე ვიტყვი „მამაო ჩვენო“, და კიდევ და კიდევ ვიტყვი, მაგრამ კვლავ ვერ ჩავწვდები ბოლომდე.

1969 წლის ივლისში, პირველად ამ დილით ბოლოს და ბოლოს სხვა ლოცვას ვიტყვი, ჩემსას, იმას კი არა, რომელსაც მემკვიდრეობით ვიღებთ.

მე დამჭირდება ზეგულახდილობა, უცნაური, ადამიანებისთვის უჩვეულო. იმას ხომ არ მოვითხოვ, რომ თვალები არ დამეხუჭოს.

უაზრობაა. ისინი მათაც კი ეხუჭებათ, ვინც ხედავს, მილიონობით ადამიანს, – უბედურებს, უჭკუოებსა და ბოროტებს. დროის მდინარება ხომ მიზეზებისა და შემთხვევითობების შედეგთა ჯაჭვია და ვინმესთვის დანდობის თხოვნა იგივეა, რომ ბედის ამ რკინის ჯაჭვიდან ერთი რგოლი ამოიღონ. არ არის რგოლი – ჯაჭვიც გაწყდება. არავის აქვს ამის თხოვნის უფლება. მე ვერ დავიჯერებ, რომ შეიძლება ცოდვები მომეტევოს.

ვიღაც სხვა მიუტევებს, მაგრამ მე ვიცი, რომ საკუთარი თავის ხსნა მხოლოდ მე ხელმეწიფება.

სიზარმაცისა და მერყეობისგან გამათავისუფლოს? მაგრამ მე თავს ვიმიედებ, რომ თვითონ გავთავისუფლდები მათგან, თუ საჭირო გახდება. მოვახერხებ სიმამაცის გამოვლენას, რომლის ნიშანწყალიც არ მაქვს, შევძლებ მოთმინების გამოვლენას, რომელიც ჩემში არ არის, და თავს ვაიძულებ ისეთი რამის სწავლასაც კი, რის შესახებაც ცოტა რამ ვიცი ან მხოლოდ ვხვდები. კიდევ მინდა, რომ მომიგონონ როგორც მეგობარი, უფრო ხშირად, ვიდრე როგორც პოეტი.

მინდა, რომ ვიღაც სხვამ, დუნბარის, ფროსტის რიტმს აყოლილმა, შუაღამისას სისხლმდინარე ხის ჯვრის მაცქერალმა, გაიხსენოს, რომ პირველად ის ჩემგან გაიგონა. დანარჩენი არ მალეღვებს, მჯერა, მივიწყება არ დაიგვიანებს. ჩვენ ისიც კი არ ვიცით, რას ემყარება ჩვენი სამყარო – იქნებ ჩვენს კეთილ აზრებსა და სამართლიან საქმეებს? – ვერასდროს გავიგებთ.

მინდა მთლიანად მოვკვდე, მინდა მასთან – ჩემს სხეულთან ერთად მოვკვდე.

ბუენოს-აირესი

რა არის ბუენოს-აირესი?

ეს პლასა დე მაიოა, სადაც დაღლილები და ბედნიერები დაბრუნდნენ, საკუთარი ბრძოლის მოგების შემდეგ.

ეს ცეცხლების ლაბირინთია, როცა ქალაქს ფრენით ვუახლოვდებით, შიგნით კი: ეს ქუჩაა, მოსახვევი, ეს ბოლო ეზო, ეს მშვიდი ნივთები.

ეს ადგილია, სადაც ჩემი ერთ-ერთი წინაპარი სიკვდილით დასაჯეს.

ეს დიდი ხეა ხუნინის ქუჩაზე, რომელიც თავისდა უნებურად, სიგრილესა და ჩრდილს იმეტებს ჩვენთვის.

ეს ქოხმახების გრძელი ქუჩაა, სადაც გარდატყდება და სამუდამოდ იკარგება დასავლეთის ქარი.

ეს სამხრეთის ნავმისადგომია, რომელსაც კოსმოსი მოსჭიდებია,

ეს კარია რომელიღაც ნომრით, სადაც ათი დღე და ღამე გავატარე, უძრავი. ვიხსენებ, როგორც მარადიულობას.

ეს ბრინჯაოს მხედარია, რომელმაც მიწას ესროლა ჩრდილი. ჩრდილი მიწაზე დაცოცავს, დღის განმავლობაში წრეს ასრულებს.

ეს იგივე ძეგლია წვიმის ქვეშ.

ეს პერუს ქუჩის კუთხეა, სადაც ხულიო კესარ დაბოვე ამბობდა, რომ ბავშვის ჩასახვა, მისთვის ამ საზარელ ცხოვრებაში გამოსვლისთვის ხელის შეწყობა – დანაშაულის ტოლფასია.

ეს ელვირა დე ალვიარია თავის უსასრულო რომანს მიმჯდარი, რომელიც იწყება სიტყვებით სუფთა რვეულიდან, მერე კი – გაურკვეველია.

ეს მახვილია, რომელიც ადრე მეომრებს ემსახურებოდა, დღეს კი არა იმდენად მახვილია, რამდენადაც მოგონება.

ეს დღეა, როცა ვტოვებთ ქალს, და დღე, როცა ქალი გვტოვებს ჩვენ.

ეს თალია ბოლივარის ქუჩაზე, რომლის უკან – ბიბლიოთეკაა.

ეს დაქმუქნილი ფულიცაა და გაცვეთილი დაგეროტიპიც – დროის საკუთრება.

ეს მარადიული პიესაა, სადაც პაულ გროსასი გარდაიცვალა.

ეს უკანასკნელი სარკეა, რომელმაც მამაჩემის სახე აირეკლა.

ეს ქრისტეს სახეა, რომელიც შემწყნარებლობის ერთ-ერთ ხომალდზე დამტვრეული ვნახე, მტვერში.

ეს მაღალი სახლია, სადაც მე და ჩემი ცოლი უიტმენს ვთარგმნიდით, რომლის გავლენა (დიდება ღმერთს!) ამ გვერდზეც კია.

ეს ლუგონესია, კუპეს ფანჯარაში მაცქერალი, თუ როგორ კარგავენ საგნები ფორმას და იმაზე მაფიქრალი, რომ აღარ არის საჭირო მათი სიტყვებით მოხსენიება, რამეთუ ეს უკანასკნელი გზაა.

ეს უკაცრიელი ღამეა, დაკეტილი კაფე თერთმეტის შესახვევში, სადაც განსვენებული მაკედონი ფერნანდესი მეუბნებოდა, რომ სიკვდილი არ არსებობს.

აღარ მსურს გაგრძელება, ეს მეტისმეტად ჩემია, პირადი. ეს ნივთები მეტისმეტად დამოუკიდებელი არიან, რომ მათგან ქალაქი ავაგო.

ბუენოს-აირესი ეს სხვა ქუჩაა, რომელზეც არავინ დადის, ეს ის ვაშლის გულია, სწორედ ის უკანასკნელი ეზო, რომლებმაც შენობები დაასრულეს, ეს ჩემი მტერია, თუკი არსებობს საერთოდ ასეთი, მე მას (კაცმა რომ თქვას, ასევე საკუთარ თავს) ვუძღვნი ლექსებს, ეს ის ძველი წიგნის მაღაზიაა, რომელსაც ისევ და ისევ პოულობ, ეს ის არის, რაც გაქრა და ის, რაც იქნება, ეს იქ, წინ – უსასრულობაა. ეს ცენტრია, გარეუბანი, ქალაქის განაპირი, შეუმჩნეველი და სასურველი, არასდროს არც ჩემი და არც შენი.

ყვითელი ვარდი

არც იმ და არც შემდეგ ღამეს ცნობილი ჯამბატისტა მარინო, ერთსულოვნად გავრცელებული ხმების თანახმად (თუ მის საყვარელ სახეს გამოვიყენებთ), ახალ ჰომეროსად და ახალ დანტედ აღიარებული, არ გარდაცვლილა, მაგრამ მაშინ მომხდარი უძრავი და უხმო მოვლენა მის ცხოვრებაში მართლაც უკანასკნელად დარჩა. წლებითა და დიდებით შემკული ადამიანი ფართო, ამოკვეთილსვეტებიან ესპანურ საწოლზე კვდებოდა. იოლი წარმოსადგენია რამდენიმე ნაბიჯში უდრტვინველი, დაისისკენ გამავალი აივანი, მის ქვეშ კი ბალის მარმარილო და გალავანი, კვადრატულ წყალში ტერასების გაორებული შვერილები.

ქალის ხელს ლარნაკში ყვითელი ვარდი ჩაედო. მწოლიარე უცილობელ და ვადიარებ, უკვე მობეზრებულ სტრიქონებს ბუტბუტებდა:

ბალის მეწამული, მოფერილი მინდვრები,

გაზაფხულის საუნჯე, აპრილის თვალი...

და უცებ გონება გაუნათდა. მარინომ ვარდი დაინახა, ისეთი, როგორც ის ადამს ენახა სამოთხეში და მიხვდა, რომ ის საკუთარი მარადიულობით ცოცხლობდა, და არა

ჩვენი სიტყვებით. ჩვენ ძალგვიძს მისი გამოხატვა, აღწერა, მაგრამ არა მისი ანარეკლის. ჩამწკრივებული ძველი წიგნები, რომლებიც ოქროს ფენენ შებინდებულ დარბაზს – სამყაროს სარკე კი არ არის (ასე იმშვიდებდა თავს ის ქედმაღლურად), არამედ რაღაც ისეთი, რაც სამყაროსთვის არის დამახასიათებელი, და მხოლოდ.

განჭვრეტა მარინოს სიკვდილის ზღურბლზე ეწვია, და რა საინტერესოა – აუარა თუ არა მან გვერდი ჰომეროსსა და დანტეს.

Dreamtigers

ბავშვობაში ვეფხვებზე ვგოჟდებოდი – პარანის ჭაობების თუ ამაზონის ლაქიან კატებს არ ვგულისხმობ, არამედ ზოლიან, აზიურ, სამეფო ვეფხვებს, რომლებთან შერკინებასაც შეძლებ მხოლოდ შეიარაღებული, ისიც სპილოს ზურგზე შემოდებულ კომკურაზე ამხედრებული. საათობით ვეყუდე ზოოპარკის გალიებთან; მოცულობით ენციკლოპედიებსა და ბუნებრივი ისტორიის წიგნებს ვაფასებდი ვეფხვების დიდებულების სადარად (ახლაც მახსოვს ის სურათები, არადა, ქალის სახის ან ღიმილის შეუცდომლად წარმოდგენა არ შემიძლია). ბავშვობამ გაიარა, ვეფხვები და გატაცება დაბერდნენ, თუმცა ჯერ კიდევ ცოცხლობენ ჩემს სიზმრებში. ამ ღრმა, აბლანდულ ქსელებში ყველაზე ხშირად სწორედ ისინი მხვდებიან, და აი, როგორ ხდება ეს: ჩამინებული ამა თუ იმ სიზმრით ვერთობი და უცებ ვხვდები, რომ სიზმარს ვხედავ. მაშინ ვფიქრობ: ეს უკვე სიზმარია, ჩემი ნების სუფთა ახირება, და რაკი ჩემი ძალაუფლება უსაზღვროა, ახლა ვეფხვს გამოვიძახებ.

ო გამოუცდელია! სიზმრებს არ ძალუძთ სასურველი ცხოველის შექმნა. ვეფხვი ჩნდება, მაგრამ როგორი? – ან ფიტულის მსგავსი, ან ფეხზე ძლივს მდგარი, ან უხეში ფორმის, ან შეუძლებელი ზომების, ან მაშინვე მიეფარება თვალს, ან უფრო ძალს ან ფრინველს მაგონებს.

1983 წლის 25 აგვისტო

პატარა სადგურის საათი გუშინდელი ღამის თერთმეტ საათს უჩვენებდა. სასტუმროსკენ დავიძარი. როგორც არაერთხელ, აქ სიმშვიდესა და შვებას ვგრძნობდი, ისეთი განცდა მეუფლებოდა, რომელსაც დიდი ხნის ნაცნობ ადგილებში აღმოჩენილი განიცდი. ფართო ჭიშკარი ღია დამხვდა, იქაურობა ბინდში ჩადირულიყო. ჰოლში შევედი, სადაც მქრქალი სარკეები ბუნდოვნად აირეკლავდნენ

ყვავილებსა და ინტერიერის დეტალებს. საოცარია, მაგრამ მეპატრონემ ვერ მიცნო. სარეგისტრაციო წიგნი გამომიწოდა. კალამი ავიღე, ბრინჯაოსფერ სამელნეში ჩავაწე და გადაშლილ ფურცლებზე გადახრილი პირველ მოულოდნელობას შევეჯახე მათ შორის, რაც ამ ღამით მელოდა. ჩემი სახელი, ხორხე ლუის ბორხესი, წიგნში უკვე ჩაწერილი იყო და მელანი ჯერ არც კი შემშრალიყო. მეპატრონემ მომმართა:

– მეგონა, თქვენ უკვე ახვედით თქვენს ნომერში, – მაგრამ უფრო ყურადღებით რომ შემომხედა, მომიბოდიშა, – მაპატიეთ, სენიორ. ის, სხვა, თქვენ ძალიან გგავთ, თუმცა თქვენ უფრო ახალგაზრდა ხართ.

– რომელი ნომერი აქვს? – ვკითხე მე.

– მან მეცხრამეტე მოითხოვა, – იყო პასუხი.

სწორედ ამის მეშინოდა.

კალამი მაგიდაზე დავაგდე და სწრაფად ავირბინე კიბის საფეხურები. მეცხრამეტე ნომერი მეორე სართულზე იყო, მიტოვებულ და უბადრუკ შიდა ეზოში გადიოდა ფანჯრები, როგორც მახსოვდა, იქ პლაჟის ძელსკამიც იდგა. ეს ყველაზე დიდი ოთახი იყო სასტუმროში. კარს მივაწექი. დამემორჩილა. ჭერის ქვეშ ჭალი ანათებდა. მის დაუნდობელ შუქში საკუთარი თავი ვიცანი. ვიწრო რკინის საწოლზე ვიწექი მე, მოხერხებული და დასივებული, და მობათქაშებულ ჭერს შევცქეროდი. ხმა გავიგონე. მთლად ჩემი არა – ობერტონების გარეშე, უსიამოვნო, მაგნიტოფონის ჩანაწერის მსგავსი.

– საკვირველია, – თქვა მან, – ჩვენ ორნი ვართ და თან ერთი. თუმცა სიზმარში არაფერს ძალუმს გაოცების გამოწვევა.

უსუსურად ვკითხე:

– მაშე ეს ყველაფერი სიზმარია?

– თანაც უკანასკნელი, – ჟესტით მიმანიშნა ცარიელ შუშის ბოთლზე, რომელიც პატარა მაგიდის მარმარილოს თავსახურზე იდგა, – ალბათ უამრავი სიზმრის ნახვა მოგიწევს, სანამ ამ ღამემდე მოაღწევ. შენი კალენდრით დღეს რა რიცხვია?

– ზუსტად არ ვიცი, – დაზაფრულმა ვუპასუხე, – მაგრამ გუშინ სამოცდაერთი წელი შემისრულდა.

– როცა უძილობა ამ ღამემდე მოგიყვანს, ოთხმოცდაოთხი შეგისრულდება. დღეს 1983 წლის ხუთი აგვისტოა.

– რა დიდხანს მომიწევს ლოდინი... – ჩავიჩურჩულე.

– მე კი თითქმის არაფერი დამრჩა, – თქვა მკვეთრად, – სიკვდილი შეიძლება ნებისმიერ მომენტში დადგეს, და მიუწვდომელში ჩავიკარგები, სადაც სხვა სიზმრები მელის. მოუცილებელი ფიქრი, სარკეებითა და სტივენსონით შთაგონებული.

სტივენსონის ხსენებამ ჩემთვის გამომშვიდობებასავით გაიჟღერა და არა საუბრისკენ მოწოდებდა. მე ვიყავი ადამიანი, საწოლზე მწოლიარე, და მისი მესმოდა. შექსპირად რომ იქცე და დაუვიწყარი სტრიქონები წერო, არ არის საკმარისი მხოლოდ ტრაგიკული მომენტები. ყურადღება რომ გადამეტანინებინა, ვუთხარი:

– ვიცოდი, რომ ეს დაგემართებოდა. სწორედ აქ, მრავალი წლის წინათ, პირველი სართულის ერთ-ერთ ოთახში ჩვენ მსგავსი თვითმკვლელობის მონახაზი გავაკეთეთ.

– ჰო, – ჩაფიქრებულმა დამიდასტურა, თითქოსდა მოგონებებში ჩაძირულიყო, – მაგრამ კავშირს ვერ ვხედავ. იმ მონახაზში ადროგამდე ვიღებდი ბილეთს და სასტუმრო „ლას დელისიასში“ მეცხრამეტე ნომერში ავდიოდი, ყველაზე შორეულში. სწორედ იქ ვუსწორებდი ანგარიშს ცხოვრებას.

– ამიტომაც ვარ მე აქ, – ვუთხარი მე.

– აქ? ჩვენ ყოველთვის აქ ვართ. აქ გხედავ სიზმარში, მანუს ქუჩაზე მდებარე სახლში. აქ დავდივარ ოთახში, რომელიც დედას ეკუთვნოდა.

– ოთახში, რომელიც დედას ეკუთვნოდა, – გავიმეორე, ისე, რომ გაგება არ მიცდია, – მე შენ გხედავ სიზმარში მეცხრამეტე ნომერში, რომელიც შიდა ეზოს თავზე მდებარეობს.

– რომელს რომელი ესიზმრება? მე ვიცი, რომ მესიზმრები, მაგრამ არ ვიცი, შენ თუ გესიზმრები. სასტუმრო ადროგაში კარგა ხანია დაანგრის. ოცი თუ ოცდაათი წლის წინათ.

– ეს მე ვხედავ სიზმარს, – გამომწვევად წამოვიძახე.

– შენ წარმოდგენაც კი არ გაქვს, რა მნიშვნელოვანია ამის გარკვევა – ერთი ადამიანი ხედავს სიზმარს თუ ორნი ესიზმრებიან ერთმანეთს.

– მე ბორხესი ვარ, რომელმაც შენი სახელი ნახა სასტუმროს მობინადრეების წიგნაკში და აქ ამოვიდა.

– ბორხესი მე ვარ, და მე მანუს ქუჩაზე მოვიკალი თავი, – მცირე ხანს გაჩუმდა, ის, სხვა, და მერე დასძინა, – მოდი შევამოწმოთ. რა იყო ყველაზე საზარელი ჩვენს ცხოვრებაში?

მისკენ დავიხარე და ერთდროულად ავლაპარაკდით. ვიცოდი, რომ ორივე ვცრუობდით.

მსუბუქმა ღიმილმა გაანათა მობერებული სახე. ვგრძნობდი, რომ მისი ღიმილი ჩემის ანარეკლი იყო.

– ჩვენ ვცრუობთ, – შენიშნა მან, – იმიტომ, რომ ორ სხვადასხვა ადამიანად ვგრძნობთ თავს და არა ერთად. სინამდვილეში ჩვენ ერთი ადამიანიც ვართ და ორიც.

საუბარი მომბეზრდა და გულწრფელად გამოვუტყდი ამაში. მერე დავამატე:

– ნუთუ შენ 1983 წელს არაფერი გაქვს საამბოში იმ წლების შესახებ, რომლების განვლაც მე მომიწევს?

– მაინც რა გითხრა, საბრალო ბორხეს? კვლავ გაგრძელდება შენს თავზე უბედურებების დატყდომა, რასაც უკვე მისჩვევიხარ. სახლში მარტო დარჩები. დაიწყებ წიგნების გადარჩევას ასოების გარეშე და შეეხები ბარელიეფს სვედენბორგის პროფილით, ხის ლანგარს, რომელზეც ჯვრის ორდენი დევს. სიბრმავე – ეს სიბნელე არ არის, ეს მარტოობის სახესხვაობაა. შენ ისევ ისლანდიაში აღმოჩნდები.

– ისლანდიაში! ისლანდიაში ზღვებს შორის!

– რომში კიტსის სტრიქონების მტკიცებას დაიწყებ, რომლის სახელიც, ისევე როგორც სხვა სახელები, მარადიული არ არის.

– რომში არასდროს ვყოფილვარ.

– კიდევ ბევრი რამ მოხდება. შენ ჩვენს საუკეთესო ლექსს, ელეგიას დაწერ.

– სიკვდილის წინ... – ფრაზა არ დამიმთავრებია, სახელის თქმის შემემინდა.

– არა, არა, ის შენზე დიდხანს იცოცხლებს.

გავჩუმდით. ის განაგრძობდა.

– დაწერ წიგნს, რომლის შესახებაც ამდენს ვოცნებობდით. 1979 წლისთვის კი მიხვდები, რომ შენი ეგრეთ წოდებული ნაწარმოები სხვა არაფერია, თუ არა მონახაზების რიგი, სხვადასხვაგვარი მონახაზების, და უარს იტყვი ქედმაღლურ ცდომილებაზე – დაწერო დიდებული წიგნი. ცდომილებაზე, რომელიც გოეთეს „ფაუსტმა“, „სალამბომ“, „ულისემ“ შთაგვაგონა... მე საოცრად ბევრი დავწერე.

– და ბოლოს და ბოლოს მივხვდი, რომ წარუმატებლობა განვიცადე.

– უარესი. მივხვდი, რომ ეს ხელოსნური სამუშაოა ამ სიტყვის ყველაზე დამამძიმებელი მნიშვნელობით. ჩემი კეთილი განზრახვები პირველ გვერდებს არ გასცდენია, მერე ჩნდებოდა ლაბირინთები, დანები, ადამიანი, რომელიც თავს ანარეკლად მიიჩნევდა, ანარეკლი, რომელიც რეალურობას იჩემებდა, ღამის ვეფხვები, ბრძოლები, რომლებიც სისხლში რჩება, ხუან მურანია, დაუცხრომელი და

უსინათლო, მასედონიოს ხმა, გემი მიცვალებულთა ფრჩხილებით, საღამოობით ძველი ინგლისურის გაკვეთილები.

– ეს კუნსტკამერა[25] ჩემთვის ნაცნობია, – შევნიშნე ღიმილით.

– გარდა ამისა, ცრუ მოგონებები, სიმბოლოების ორმაგი თამაში, ხანგრძლივი გადათვლები, სინამდვილის აღქმის სიმსუბუქე, არასრული სიმეტრიები, რაც სიხარულით აღმოაჩინეს კრიტიკოსებმა, მოხმობები, არა ყოველთვის აპოკრიფულები.

– წიგნი გამოაქვეყნე?

– მელოდრამატული აზრი მეწვია – გამენადგურებინა, შესაძლოა, ცეცხლისთვისაც კი მიმეცა. ბოლოს და ბოლოს მადრიდში გამოვეცი ფსევდონიმით. წიგნი უნიჭო მიზამვად მიიჩნიეს, ავტორი კი იმაში დაადანაშაულეს, რომ ის მხოლოდ ცნობილი მწერლის პაროდირება იყო.

– არაფერია გასაკვირი, – ჩავერიე, – თითოეული მწერალი იმით ამთავრებს, რომ საკუთარი თავის უნიჭო მოწაფედ იქცევა.

– ეს წიგნი სხვათა რიცხვშია და მან აქ მომიყვანა. ყველაფერი დანარჩენი კი – ბებრული უსუსურებაა, რწმენა, რომ შენთვის მოზომილი ვადა გავლილია...

– მე არ დავწერ ამ წიგნს, – დავიჟინე.

– დაწერ. ჩემი სიტყვები შენს მეხსიერებაში დარჩება მხოლოდ როგორც სიზმრის მოგონება.

მაღიზიანებდა მისი მენტორული ტონი, დაეჭვების გარეშე, სწორედ ისეთი, როგორითაც ლექციებზე ვსაუბრობდი. მაღიზიანებდა, რომ ჩვენ ასეთი მსგავსები ვიყავით და რომ ის ღიად სარგებლობდა დაუსჯელობით, რასაც მას სიკვდილის სიახლოვე ანიჭებდა. ანგარიში რომ გამესწორებინა, ვკითხე:

– შენ ასეთი დარწმუნებული ხარ, რომ კვდები?

– კი, – მიპასუხა, – შვებას და სიმშვიდეს ვგრძნობ, რაც არასდროს განმიცდია. სიტყვები არ არსებობს, რომ ჩემი განცდები გადმოგცე. შეიძლება აღწერო მხოლოდ გაზიარებული გამოცდილება. რატომ გაღიზიანებს ასე ჩემი სიტყვები?

– იმიტომ, რომ მეტისმეტად მსგავსები ვართ. მეზიზღება შენი სახე – ჩემის კარიკატურა, მეზიზღება შენი ხმა, ჩემის უბადრუკი მიზამვა, მეზიზღება გამოხატვის შენეული ქედმაღლური მანერა, იმიტომ, რომ ის ჩემია.

– მეც, – მიპასუხა მან, – ამიტომაც გადავწყვიტე თავის მოკვლა.

ბაღში მოკლედ წაიმღერა ჩიტმა.

– უკანასკნელია, – ჩაილაპარაკა მან.

ჟესტით მიხმო თავისთან. მისი ხელი ჩემსას ეძებდა.

მე უკან დავიხიე, შემეშინდა, რომ ერთმანეთს შევერწყმოდით. მან მითხრა:

– სტოიკოსები გვასწავლიან: ცხოვრებაზე არ უნდა დაიჩვილო, ციხის კარი ღიაა. ყოველთვის ვგრძნობდი ამას, მაგრამ სიზარმაცე და სიმბდალე მაჩერებდნენ. ორი კვირის წინ და პლატაში „ენეიდას“ მეექვსე წიგნის შესახებ ვკითხულობდი ლექციას. უცებ, ჰეგზამეტრების ხმამაღლა წარმოთქმისას, მივხვდი, რა უნდა გამეკეთებინა. გადაწყვეტილება მივიღე. ამ მომენტიდან თავი უვნებლად ვიგრძენი. ჩემი ბედი შენად იქცევა, შენ მოულოდნელ აღმოჩენას გააკეთებ ლათინურისა და ვირგილიუსის წყალობით, სრულიად მიივიწყებ ამ საინტერესო წინასწარმეტყველურ დიალოგს, რომელიც ორ სხვადასხვა ადგილას და ორ სხვადასხვა დროში ხდება. როცა ისევ ნახავ ამ სიზმარს, ჩემად იქცევი და ჩემი სიზმარი გახდება.

– მე არ დამავიწყდება ეს სიზმარი და ხვალვე ჩავიწერ.

– ის ღრმად ჩაიბეჭდება შენს მეხსიერებაში სხვა სიზმრების შრეების ქვეშ. მისი ჩაწერისას შენ მოისურვებ იგი ფანტასტიკურ მოთხრობად აქციო. მაგრამ ეს ხვალ კი არ მოხდება, არამედ მრავალი წლის შემდეგ.

ლაპარაკი შეწყვიტა და მივხვდი, რომ მკვდარი იყო. რალაცნაირად მეც მასთან ერთად მოვკვდი; დანაღვლიანებული დავიხარე ბალიშზე, მაგრამ საწოლზე აღარავინ იყო.

ოთახიდან გამოვევარდი. იქ არც შიდა ეზო აღმოჩნდა, არც მარმარილოს კიბე, არც დიდი მთვლემარე სახლი, არც ევკალიპტები, არც ქანდაკებები, არც შადრევნები, არც ფართო ჭიშკარი ადროგას დასახლების მამულში. იქ სხვა სიზმრები მელოდა.

უანგარო მკვლელი ბილ ჰარიგანი

არიზონის მიწები პირველია, რაც წარმოსახვაში ჩნდება; არიზონისა და ახალი მეხიკოს მიწები, ეს მიწები, ბრწყინვალე ფუნდამენტით – ოქროსა და ვერცხლის, მოჩვენებითი და განმაცვიფრებელი მიწები, პირქუში ფერდობებისა და ნაზი ფერების მიწები, მიწები ფრინველების მიერ გასუფთავებული ჩონჩხების თეთრი ელვარებით. ამ მიწებში – მეორე, რაც წარმომესახება – მკვლელი ბილის სახეა: ცხენს შეზრდილი მხედრის, ბიჭისა ბოროტი პისტოლეტებით, რომლებიც უდაბნოს აყრუებდა და ბრმა ტყვიებს გზავნიდა, დიდ მანძილზეც კი რომ მოჯადოებულებით კლავდა.

მეტალით გაჯერებული უდაბნო დამწვარი და ელვარეა. თითქმის ბიჭი, რომელიც ოცდაერთი წლისა მოკვდა და რომელსაც არ აუნაზღაურებია ადამიანური

მართლმსაჯულების ანგარიში ოცდაერთი დაღუპული სულისთვის – „რომ არაფერი ვთქვათ მექსიკელებზე“.

ლიფსიტობის სტადია

1859 წელს სადღაც ნიუ-იორკის მიწისქვეშა ჯურღმულებში მოევლინა ქვეყანას ადამიანი, რომელსაც დიდებამ და შიშმა ბილი მკვლელის მეტსახელი მიანიჭა. ამბობენ, რომ სიცოცხლე მას ირლანდიელის დაღლილმა საშომ მისცა, თუმცა ზანგებს შორის გაიზარდა. ამ სიბინძურისა და შავი ფერების ქაოსში მას მედიდურ სიხარულს ანიჭებდა თავისი ჭორფლი და ჟღალი ქოჩორი. იმით მოჰქონდა თავი, რომ თეთრკანიანად დაიბადა, ბოლმიანი იყო, ბოროტი და მუხთალი. თორმეტი წლისა Swamp Angels[26]-ის ბანდაში გაერია – ზეციური ქმნილებების, რომლებიც ბინძურ არხებს შორის საქმიანობდნენ.

დამდამობით, რომელიც მწველი ნისლით იყო გაჯერებული, ამ მყრალი ლაბირინთიდან ჩნდებოდნენ, შემთხვევით გერმანელ მეზღვაურს აედევნებოდნენ, ზურგში წიხლის ჩაცემით ძირს ანარცხებდნენ, საცვლებამდე ძარცვავდნენ და სხვა სანადირო ადგილისკენ მიაშურებდნენ. მათ ჭაღარა ზანგი, გეზ ჰაუზერ ჯონსი მეთაურობდა, რომელსაც ცხენების შელოცვის უნარი ჰქონდა.

ისეც ხდებოდა, მობრეცილი ფარდულის სხვენიდან, რომელიც წყლის არხის სიახლოვეს იდგა, ქალი გამვლელს ვედრით ნაცარს შეაყრიდა. კაცი ხელებს იქნევდა და სული ეხუთებოდა. მაშინვე ეცემოდნენ „ჭაობის ანგელოზები“, სარდაფში მიათრევდნენ და მთლიანად ასუფთავებდნენ.

ასეთი იყო ბილ ჰარიგანის, მომავალი მკვლელი ბილის სწავლის წლები. მის ყურადღებას არ ეპარებოდა თეატრალური სანახაობებიც, მოსწონდა კოვბოური მელოდრამების ყურება (ალბათ ყოველგვარი წინათგრძნობის გარეშე, რომ თავისი ბედის სიმბოლოსა და ნიშანს ხედავდა).

Go West![27]

ბაუერის გადავსებულ თეატრებში (სადაც მაცურებელი გუგუნებდა „ასწიე ჩვარი!“, როცა ფარდა ოდნავ აგვიანებდა) მელოდრამები სროლებითა და კოვბოებით იყო სავსე, და ეს ძალიან მარტივად აიხსნება: მაშინ ამერიკას მგზნებარედ იტაცებდა დასავლეთი. ჩამავალი მზის კიდესთან სეკვოია ჩანდა, რომელიც ცულს არ ცნობდა, და ბაბილონურად უშველებელი ბიზონის ფიზიონომია, შლაპა მაღალი გვირგვინით და ბრაიჰემ იანგის[28] დიდი სარეცელი; წითელკანიანი ხალხის წესჩვეულებები და მძვინვარება, უდაბნოების უღრუბლო ცა, თვალუწვდენელი პრერიები, დალოცვილი მიწები, რომელთა სიახლოვე გულს უფრო ძალუმად აძგერებდა, ზღვის სიახლოვესავით. შორეული დასავლეთი იზიდავდა. მწირების უწყვეტი ყიალი ავსებს იმ წლებს: ათასობით ამერიკელის ხეტიალი, რომლებიც დასავლეთს მოედვნენ. ამ

პროცესიას შეერწყა წყლიდან ყოველთვის მშრალად ამოსული ბილ ჰარიგანი, რომელიც 1872 წელს ციხის კამერიდან გაიქცა.

მექსიკელის მკვლელობა

ისტორიას (რომელიც ზოგიერთი კინორეჟისორის მსგავსად არ იცავს სცენების მიმდევრობას) ახლა ტავერნაში გადავყავართ, რომელიც ყოვლისშემძლე უდაბნოში ჩაკარგულა, როგორც ღია ზღვაში. მოქმედების დრო – 1873 წლის ავღრიანი ღამე; მოქმედების ადგილი – ლიანო-ესტაკადო (ნიუ-მეხიკო). მიწა თითქმის არაბუნებრივად ხავერდოვანია, ცა კი ლეგა ღრუბლებით არის დასერილი, ქარისა და ნახევარმთვარის თანხლებით. პერიოში – ძროხის თეთრი თავის ქალა, სიბნელეში კოიოტის კივილი და თვალეზი, მშვენიერი ცხენები, სინათლის ზოლი ტავერნის კარიდან. შიგნით, დახლზე იდაყვდაყრდნობილი, დაღლილი ძლიერი ბიჭები აღმგზნებ სასმელებს სვამენ და ხმაურიანად აჟღარუნებენ დიდ ვერცხლის მონეტებს, არწივისა და გველის გამოსახულებებით. რომელიღაც მთვრალი მოსაწყენ სიმღერას დუდღუნებს. ვიღაცა ლაპარაკში უამრავ „ეს“-ს ურევს, ალბათ ესპანურად თუ საუბრობს, მაგრამ ისინი, რომლებიც ამ ენაზე ლაპარაკობენ, საძაგელი ადამიანები არიან. ბილ ჰარიგანი, ჯურღმულების წითური ვირთხა – დახლთან მსმელთა შორის არის. მან უკვე გამოსცალა რამდენიმე ჭიქა, მაგრამ კიდევ ერთი უნდა, ალბათ იმიტომ, რომ არც ერთი სენტავო არ დარჩა. მას ამ ფერდობების ადამიანები ახშობენ. მისთვის ისინი ბრწყინვალენი არიან, იღბლიანები, შმაგები, საოცრად მოხერხებულები, ველური ცხენებისა და ურჩი ულაყების მომთვინიერებლები.

სქოლიო

[1] ინდიელი ხალხი სამხრეთ ამერიკაში და მათივე ენა.

[2] ყველაზე დაბალი კასტის წარმომადგენლები ინდოეთში.

[3] სამყარო-გველი, რომელიც თავის ვარსკვლავურად მბრწყინავ სხეულს კლავნის (ფრანგ.).

[4] (ესპ. gaucho) – სოციალური, მათ შორის ხანდახან სუბეთნიკური ჯგუფი არგენტინაში, ურუგვაიში.

[5] ნიკოლას პარედესი, ბუენოს-აირესის ერთ-ერთი ცნობილი ხულიგანი, რომელიც საუკეთესოდ ფლობდა დანას.

[6] მორელი ბორხესის ნოველა „სასტიკი განმათავისუფლებელის“ პერსონაჟია.

[7] ბორდელი.

[8] შაქრის ლერწმის არაყი.

[9] არგენტინული ცეკვა.

[10] პარაგვაული ჩაის სახელწოდება და ასევე ჭურჭლის, რომელშიც მას ხარშავენ.

[11] პარაცელსიუსი (ნამდვილი სახელი ფილიპ აურეოლ ტეოფრასტ ბომბასტ ფონ გოგენჰაიმი), XV საუკუნის ცნობილი გერმანელი ალქიმიკოსი, ექიმი და ოკულტისტი.

[12] კაბალა – იუდაიზმის ეზოთერიული მიმდინარეობა, რომელიც XII საუკუნეში გაჩნდა.

[13] გრიზებახი – ბორხესი იყენებს გერმანელი მწერლისა და ლიტერატურის ისტორიკოსის გვარს.

[14] არსებობდე – ნიშნავს იყო გამოქვეყნებული.

[15] ჩრდილოეთ სასტუმრო.

[16] ნაციონალური ბრაზილიური თამაში ბანქოთი.

[17] იგივე ტავერნა.

[18] ბუენოს-აირესის ესპანური ენის ერთგვარი ჟარგონი.

[19] ბერძნების წარმოდგენებში გიგანტური ორთავა გველი, რომლის მეორე თავი კუდზეა.

[20] იგივე ტავერნა.

[21] ასტერიუსი - მინოტავრის სახელი.

[22] ანა ჰეტეუეი – შექსპირის ცოლი.

[23] ლათ. histrio, ეტრუსკული ister-იდან – მსახიობი.

[24] ბერძნ.) მდინარე მიწისქვეშა სამეფოში.

[25] ერთგვარი იშვიათი მუზეუმი.

[26] „ჭაობის ანგელოზები“.

[27] დასავლეთისკენ (ინგლ.).

[28] ბრაიემ იანგი (1801-1877) ამერიკელი მორმონების რელიგიური თემის მეთაური. ხალხი მას მრავალცოლიანობას მიაწერდა.